

უნივერსალური პარტნიორი საქმიანი ადამიანებისთვის

ბიზნესი კანონმდებლობა



№2 აპრილი-მაისი 2016



№2 April-May 2016

www.b-k.ge
info@iverioni.com.ge



Business & Law

ბიზნესი და კანონმდებლობა

№2 აპრილი- მაისი 2016

საქართველო

ანალიტიკურ-პრაქტიკული ჟურნალი
რეგისტრირებულია 2008 წლიდან

WWW.B-K.GE

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა ყოველთვის არ ემთხვეოდეს ავტორისას. უამრავი სტატიების უინაარსუზო და მონაცემთა სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

ნაქვემოთ მისაღწივად:

თბილისი, კოსტავას ქ. 6. სართული 3.
ტელ: 293-53-20, 599 56-14-57, 599 34-64-27
ვებ გვერდი: www.b-k.ge
e-mail: info@iverioni.com.ge, gfaafm@gmail.com

საბანკო რეკვიზიტები:

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“;
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ა/ა GE30BG000000850902700; ს/კ 404956455.

გამომცემელი:

საქართველოს აუდიტორთა, ხელაღმართა და უინანსური მენავერთა უაღრანსია, სანიფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „ივერიონი“

რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე:

ზაურ ნაჭყვიაძე

მთავარი რედაქტორი:

იური პაპასუხა, ეკ. მეცნ. აკად. დოქტორი, პროფესორი

პასუხისმგებელი რედაქტორი:

ილიანა ალაშვილი

ტექნიკური რედაქტორი:

ლევან ბოჭორიშვილი

სამეცნიერო საბჭო:

ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

იანა მესხია, ნოდარ ჭითანავა, ელგუჯა მექვაბიშვილი, პაატა კოლუაშვილი, ნოდარ ხადური, ნატო კაკაშვილი, ნანა შონია, დავით ჯალაღონია, თემურ ხომერიკი, კოტე აბულაძე, ნიკოლოზ ჩიხლაძე, ლარისა თაკალანძე, გიორგი დავთაძე, ლია ელიავა, დავით ჭიოტაშვილი, სულიკო ფუტყარაძე, დემნა კვარაცხელია, ანზორ მესხიშვილი, ბორის ჭიჭინაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი
ანდრეას სილაგაძე.

სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
ჯემალ ბახუაძე.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ბურბან ნაჭყვიაძე.

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
მამუკა თავაძე.

როზარტ მ. მაკაძე (აშშ ფაქტევილის სახელმწიფო
უნივერსიტეტის, პროფესორი)

ვინსენტ რ. ჯონსონი (სანტ-მარის უნივერსიტეტის სამართლის
პროფესორი, სან ანტონიო, ტეხასი, აშშ)

ანტონი მ. დენსი (ნორტვესტრალის უნივერსიტეტის უმაღლესი სკოლის
პროფესორი, პრესკოტის ველი, არიზონა, აშშ)

ბერნარდ ზიბლერი (ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი),

იოჰან ფიშერი (ბონის უნივერსიტეტის პროფესორი),

ალი ალერზევი (ბაქოს სახ. უნივერსიტეტის პროფესორი).

მარი ლანგი (EFAA-ს ტექნიკური დირექტორი).

ანნა კარმანსკა (პროფესორი, EFAA-ს გამგეობის წევრი,
ვარშავის კომერციის უმაღლესი სკოლის ბუღალტრული
აღრიცხვის კათედრის ხელმძღვანელი).

ალექსანდრე რუზი (რუსეთის ფედერაციის ბუღალტრულ ექსპერტთა და
ფინანსურ აუდიტორთა გილდიის გამგეობის თავმჯდომარე, აუდიტორულ
საკონსულტაციო ჯგუფის „რუფაუდიტ/ინაუდიტ ალიანსის“ გენერალური
დირექტორი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე).

ლილია ბრიგორი (ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი,
მოლდოვეთის ეკონომიკური მეცნიერებათა აკადემიის
ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი).

ფადრიკო დიომედა (დოქტორი, EFAA-ს პრეზიდენტის
საგანგებო მრჩეველი).

რობინ იარპერსი, (პროფესორი, ASSA-ის საგანგებო მრჩეველი).

BUSINESS & LAW

№2 APRIL-
MAY 2016

SCIENTIFIC,
ANALYTICAL-PRACTICAL JOURNAL
Referenced since 2008

WWW.B-K.GE

The Journal is governed by free press principles. The editorial board point of view may not necessarily agree with the point of view expressed by the authors. Therefore the Editorial Board does not pledge any responsibility on the content of the articles submitted by the Authors.

ADDRESS OF EDITORIAL BOARD:

Tbilisi, Kostava str. 6.

Tel: 293-53-20, 599 56-14-57, 599 34-64-27

URL: www.b-k.ge

e-mail: info@iverioni.com.ge, gfaafm@gmail.com

Bank details:

JSC Bank of Georgia

Bank code: BAGAGE22

c/a GE30BG000000850902700 i/c 404956455

PUBLISHERS:

**THE FEDERATION OF AUDITORS, ACCOUNTANTS
AND FINANCIAL MANAGERS OF GEORGIA;
INFORMATION – ANALYTICAL AGENCY
„IVERIONI“**

CHAIRMAN OF THE BOARD OF EDITORS:

ZAUR NACHKEBIA

EDITOR - IN – CHIEF

IURI PAPASQUA, Doctor of Economics, Professor

EDITOR – IN – CHARGE

ILONA ADAMIA

TECHNICAL DIRECTOR:

LEVAN BOCHORISHVILI

EDITORIAL BOARD:

DOCTORS OF ECONOMICS, PROFESSORS:

Iasha Meskhia, Nodar Chitanava, Elguja Mekvabishvili, Paata Koguashvili, Nodar Khaduri, Nato Kakashvili, Nana Shonia, Davit Djalagonia, Temur Khomeriki, Kote Abuladze, Nikolodz Chikhladze, Larisa Takalandze, Giorgi Gavgadze, Lia Eliava, Davit Chiotashvili, Suliko Futkaradze, Demna Kvaratskhelia, Giorgi Rusiashvili, Anzor Meskhishvili, Boris Chichinadze.

Member-correspondent of the Georgian Academy of Sciences

AVTANDIL SILAGADZE

Doctor of Law and Politics Sciences

JEMAL GAKHOKIDZE

Doctor of Legal Sciences, Professor

GURAM NACHKEBIA

Doctor of Pedagogical Sciences

MAMUKA TAVKHELIDZE

Fayetteville State University Professor

ROBERT MCGEE (USA)

Professor of Law, St. Mary's University (San Antonio, Texas, USA)

VINCENT R. JOHNSON,

The Graduate School, Northcentral University,
(Prescott Valley, Arizona, USA)

ANTONY W. DNES

Berlin University Professor

BERNARD ZIGLER (GERMANY)

Bonn University Professor,

IOHAN FISHER (GERMANY)

Baku State University, Professor

ALI ALERZEVI (AZERBAIJAN)

MARIE LANG, Technical Director of EFAA

ANNA KARMAŃSKA, Professor, EFAA Board Member,
Warsaw School of Economics.

ALEXEY RUF, Chairman of the Board of Guild of Accountant
Experts and Financial Auditors of Russian Federation.

LILIA GRIGOROI, Ph. D.in Economics, Head of Accounting Department,
Academy of Economic Sciences of Moldova.

FEDERICO DIOMEDA, doctor, Special Adviser to the President of EFAA.

ROBIN JARVIS, Professor, Special Adviser,
Association of Chartered Certified Accountants.

შინაარსი

დავით ჯალაღონია, იური პაპასქუა

ბადასასადაბის რეალური გუნება და ფაქტობრივი გადახდალი ----- 5

ალექსანდრე ჩხიტაური

საბადასასადაო დავის განხილვის სამართლებრივი თავისებურებანი ----- 9

ვასილ ხანიშვილი

არარეზიდენტი პირის მიერ წყაროს ქვეყანაში პასიური საქმიანობით

მიღებული შემოსავლების საბადასასადაო დაგებვის რეჟიმები ----- 14

ორმაგი დაგებვის თავიდან აცილების

თეორიულ-მეთოდოლოგიური ნაწილობრივი ----- 18

პაატა კოლუაშვილი

უპატრონო მიწა, სიზნები და სტარტუა მდგარი ახალი ჯაყობები! ----- 28

თეიმურაზ ხევისთავის სინდრომი, ანუ უცხოელთა

საჯიჯგნადმიგებული ქართული მიწა! ----- 31

თ. ლაჭყეზიანი, დ. ბაიდაური, მ. კილაძე

აგრარული საქტორის განვითარება „მწვანე“ ეკონომიკის პირობებში ----- 33

ლევან კოკია

სტაბილურობის პირობის სპეციფიკა ნავთობისა

და გაზის სართაშორისო გადაზიდვის ხელშეკრულებებში ----- 37

მანანა ხარხელი

რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტის გამოკვლევა და მის საფუძველზე

განვითარების სტრატეგიის არჩევა კახეთის რეგიონის მაგალითზე ----- 41

გადასახადების რეალური ბუნება და ფაქტობრივი გადამხდელი

გადასახადის არსზე, დანიშნულებაზე, მისი ადმინისტრირების ფორმებზე და მეთოდებზე, ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ ბევრი დაინერა, და ცხადია, რომ ქვეყნის ბიუჯეტისთვის გადასახადების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მომავალში კიდევ უფრო მეტი დაინერება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნაშრომის მიზანია, გადასახადების რეალური ბუნების გათვალისწინებით, წარმოვადგინოთ შეხედულებები და მოსაზრებები გადასახადების ფაქტობრივ გადამხდელთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ გადასახადებით დაბეგვრა განიხილება, როგორც იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის შემოსავლების განაწილების სისტემა. თავის მხრივ, გადასახადები კი, სახელმწიფოს ბიუჯეტის სასარგებლოდ კონკრეტული ადამიანების და მეურნე სუბიექტების შემოსავლების ნაწილის სამართლებრივი დათმობაა საზოგადოებრივი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით. გადასახადები, როგორც გადანაწილებით ურთიერთობათა სპეციფიკური ფორმა, წარმოადგენს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სფეროს განუყოფელ ნაწილს. ამასთან, „გადასახადებს გააჩნია ორმაგი ბუნება—გამოდის წარმოებით ურთიერთობათა სპეციფიკურ ფორმად (გადასახადების საზოგადოებრივი შინაარსი) და წარმოადგენს ფულად ფორმაში ეროვნული შემოსავლის ნაწილს (მატერიალური შინაარსი)“ [1, გვ.4]. თუმცა, ვიზიარებთ ბევრი მკვლევარის აზრს, იმასთან დაკავშირებით, რომ გადასახადის დაყვანა მხოლოდ ფულად ურთიერთობამდე, მიზანშეუწონელია. მიგვაჩნია, რომ გადასახადი უპირატესად ფინანსურ ურთიერთობათა ერთობლიობაა, რომლის ფორმირება წარმოებს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) გადანაწილების პროცესში, მიმართულია საერთო სახელმწიფოებრივი ფონდის შესაქმნელად და უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ამასთან ერთად, იგი ქვეყნის ეროვნული შემოსავლის და ეროვნული სიმდიდრის ნაწილია.

გადასახადი თავისი შინაგანი არსით, როგორც საზოგადოებრივად აუცილებელი მოვლენა, წარმოადგენს ფინანსურ, ეკონომიკურ კატეგორიას. გადასახადები წესდება ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მიერ ცალმხრივად, უსასყიდლოდ, ბიუჯეტის სასარგებლოდ და არ უკავშირდება სახელმწიფოს მხრიდან შემხვედრ კონკრეტულ ვალდებულებებს. ამასთან, განკუთვნილია ხელისუფლების საერთო კონსტიტუციური ვალდებულებათა შესრულების დასაფინანსებლად.

საგადასახადო კანონმდებლობის (კოდექსის) მიხედვით, „გადასახადი არის უპირობო ფულადი შე-



დავით ჯვალალონია
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ პროფესორი



იური პაპასჭუა
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ ასოცირებული პროფესორი

ნატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე“, ხოლო „გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელსაც აქვს ამ კოდექსით დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულება“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, პირის ქვეშ იგულისხმება ფიზიკური ან იურიდიული პირი, სსკ-ით, კი საწარმო ან ორგანიზაცია [2, გვ.4].

გადასახადების რეალური ბუნების გასარკვევად და ამ გადასახადების ფაქტიური გადამხდელის დასაზუსტებლად, ჩვენს მიერ შესწავლილია მენარმე პირებზე დანესებული გადასახადები.



ფიზიკურ, მათ შორის, მენარმე ფიზიკურ პირს (ინდივიდუალური მენარმე), ან იურიდიულ პირს, სანარმოს ან ორგანიზაციას, საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, გადასახადის გადახდის ვალდებულება ეკისრება ეკონომიკური საქმიანობიდან დასაბეგრი შემოსავლის/მოგების მიღების შემთხვევაში. რაც ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკურ მოძღვრებასა და საგადასახადო კანონმდებლობაში გადასახადის გადამხდელად წარმოდგენილია ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული ყველა პირი, მათ შორის, ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მენარმე სუბიექტი. ერთი შეხედვით, ეს ასეც არის. თუმცა, მიგვაჩნია, რომ არც ერთი მენარმე სუბიექტი არ წარმოადგენს გადასახადის ფაქტიურ გადამხდელს, ყველა გადასახადს (გადასახდელსაც, მოსკრებელსაც) კი, ახლად შექმნილი ღირებულების, რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თუ შესრულებული სამუშაოს უშუალო მომხმარებელი, მოსახლეობა იხდის.

საქართველოში, აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათის მატარებელი ექვსი გადასახადია. მათ შორის: **საშემოსავლო გადასახადი; მოგების გადასახადი; დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ); აქციზი; იმპორტის გადასახადი და ქონების გადასახადი. დღგ, აქციზი და იმპორტის გადასახადი არაპირდაპირი გადასახადებია, საშემოსავლო/მოგების და ქონების გადასახადი კი პირდაპირ გადასახადს მიეკუთვნება.**

არაპირდაპირ გადასახადებთან დაკავშირებით მეტი სიცხადეა საგადასახადო კოდექსში და ისინი განმარტებულია, როგორც „გადასახადი, რომელიც დგინდება მიწოდებული (იმპორტირებული) საქონლის ან/და განუული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი (იმპორტიორი) ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შეძენისას (იმპორტისას).

არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს (იმპორტიორს) ან/და მომსახურების გამწვევს, რომელიც ამ კოდექსის მიზნებისათვის გადასახადის გადამხდელად იწოდება“ [3, გვ.4]. იგულისხმება, რომ გადასახადის გადამხდელზე აგენტის ფუნქციის დაკისრებული. თუმცა, გადასახადის ფაქტობრივი გადამხდელი პროდუქციის, საქონლის/მომსახურების უშუალო მომხმარებელია. აქედან იკვეთება, რომ არაპირდაპირი გადასახადის გადამხდელს მენარმე სუბიექტი არ წამოადგენს. ამდენად, გასარკვევია საკითხი, თუ ვინ იხდის საშემოსავლო/მოგების და ქონების გადასახადებს?

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მენარმე სუბიექტი არც ამ გადასახადების გადამხდელია. ნათქვამის საილუსტრაციოდ და შესაბამისი დასკვნების გასაკეთებლად მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი:

საშემოსავლო გადასახადი ორი სახისაა. პირველს, პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ დაქირავებული პირების შრომის ანაზღაურება, მათ შორის: ხელფასზე, დანამატზე, პრემიაზე, სხვა სარგოსა თუ განაცემზე დანეხებული საშემოსავლო გადასახადი. დამქირავებლის მიერ აღნიშნული გადასახადის დაკავება ხდება გადახდის წყაროსთან. დამქირავებელი ამ შემთხვევაში, ასრულებს მხოლოდ ეკონომიკური აგენტის ფუნქციას და, შესაბამისად, პროდუქციის, საქონლის/მომსახურების უშუალო მწარმოებლის/შემსრულებლის შრომის ანაზღაურების დაკავებულ ნაწილს რიცხავს ბიუჯეტის ანგარიშზე. ამკარაა, რომ დაქირავებული პირის შრომის ანაზღაურებიდან დაკავებულ და ქვეყნის ბიუჯეტში გადახდილი საშემოსავლო გადასახადს მენარმე სუბიექტი კი არა, დაქირავებული პირი იხდის. ამასთან, შრომის ანაზღაურება, რომელიც დამქირავებელმა გასცა დაქირავებულზე მთლიანად გამოსაქვითი ხარჯია და აისახება ფაქტობ-

საგადასახადო პოლიტიკა

რივად რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თუ შესრულებული სამუშაოს თვითღირებულებაში, რომელიც დამქირავებელ პირს დაქირავებული პირის მეშვეობით შექმნილი პროდუქციის/მომსახურების/სამუშაოს რეალიზაციის შემდეგ სრულად უბრუნდება;

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელად განიხილებიან აგრეთვე მენარმე ფიზიკური პირები (ინდივიდუალური მენარმეები). სსკ-ით „**გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის**“. „ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან“ [4, გვ.4]. აქ იგულისხმება ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი შრომითი, მატერიალური თუ არამატერიალური ხარჯი, რაც მენარმე პირმა გასწია ეკონომიური საქმიანობის ფარგლებში და ექვემდებარება მისი ორგანიზებით ან მის მიერ უშუალოდ შექმნილი პროდუქციის, საქონლის/მომსახურების სრულ თვითღირებულებაში ასახვას. ამასთან, განუვლი ხარჯები მას სრულად უბრუნდება და პროდუქციის/მომსახურების/სამუშაოს რეალიზაციის შედეგად ღებულობს ნამეტსაც. გადასახადის სახით კი ის ბიუჯეტში იხდის მისთვის ყოველგვარი ხარჯის გამოქვითვის ზევით მომხმარებლის მიერ ანაზღაურებული შემოსავლის მხოლოდ ნაწილს. სხვა დანარჩენი ნაწილი კი რჩება მის განკარგულებაში და შეუძლია მოიხმაროს საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. აქაც აშკარაა, რომ მის მიერ ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადი მომხმარებლის მიერაა გადახდილი. **მოგების გადასახადი** სახელშეცვლილი საშემოსავლო გადასახადია მენარმე იურიდიული პირებისთვის. „**საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი მოგება. იგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის**“ [5, გვ.4]. ისევე, როგორც მენარმე ფიზიკური პირის შემთხვევაში, იურიდიული მენარმის ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია ამ შე-

მოსავლის მიღებასთან. იურიდიული პირიც ბიუჯეტში იხდის ყოველგვარი ხარჯის გამოქვითვის ზევით მომხმარებლის მიერ მისთვის ანაზღაურებული თანხის იმ 15%-ს, რომელიც სსკ-ითაა დაწესებული, იმ განსხვავებით, რომ გადასახადის ეს სახე გაყოფილია ორ ნაწილად: დასაბეგრი მოგებიდან გადასახადის გადახდის შემდგომ, დივიდენდის სახით განაწილებელი მოგებაც ექვემდებარება დაბეგვრას, თუმცა წყარო უცვლელი რჩება და ყველა ნიშნის მიხედვით, გასანაწილებელი მოგების ნაწილიც პროდუქციის, საქონლის/მომსახურების საბოლოო მომხმარებელმა გადაუხადა მენარმე იურიდიულ პირს;

საქართველოს საგადასახადო კოდექსით, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი, იხდის **ქონების გადასახადს**. საგადასახადო მიზნებისთვის ქონების ქვეშ იგულისხმება და დაბეგვრის ობიექტია მენარმე პირის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხული აქტივები, დაუმონტაჟებელი მონოპოლიზებული, დაუმთავრებელი მშენებლობა, ლიზინგით მიღებული ქონება, აგრეთვე მიწა (არასასოფლო-სამეურნეო, სასოფლო-სამეურნეო და ა.შ).

შეიძლება ითქვას, რომ ქონების გადასახადს ორჯერ (და მეტადაც) ახდენენ მენარმის მიერ შექმნილი პროდუქციის, საქონლის/მომსახურების საბოლოო მომხმარებელს: ქონების (ძირითადი საშუალებების და მიწის) გადასახადი გამოსაქვითი ხარჯია და პროდუქციის თვითღირებულებაში ცალკე მუხლად აისახება. ამ გზით, მომხმარებელი პროდუქციის, საქონლის/მომსახურების ყიდვისას უკვე სრულად ანაზღაურებს მენარმე სუბიექტის ქონების გადასახადს; ეს ქონება წარმოების პროცესში ცვდება. ამორტიზაციის კვალობაზე ცვეთა ნაწილ-ნაწილ (ან ამ ქონების ღირებულება სრულად) შეიტანება პროდუქციის, საქონლის/მომსახურების თვითღირებულებაში და ექვემდებარება გამოქვითვას; ამორტიზაციით, მენარმე პირი იბრუნებს ძირითადი საშუალების (აქტივის) შეძენაზე განუვლ ყველა დანახარჯს. „**აქტივების ღირებულებაში შეიტანება მათი შესყიდვის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგმის ხარჯები (დანახარჯები), აგრეთვე სხვა ხარჯები (დანახარჯები), რომლებიც ზრდის მათ ღირებულებას, გარდა ისეთი**



ხარჯებისა (დანახარჯებისა), რომელთა პირდაპირ გამოქვითვის უფლება აქვს გადასახადის გადამხდელს, ხოლო აქტივების უსასყიდლოდ მიღებისას – ამ აქტივების საბაზრო ფასი“ [6, გვ.4];

ქონებასთან დაკავშირებით, პროდუქციის საბოლოო მომხმარებელი მენარმე სუბიექტს უნაზღაურებს არა მარტო აქტივის პირვანდელ ღირებულებას, არამედ წარმოების პროცესში მასზე განეულ მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების ხარჯებსაც. ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯები თვითღირებულებაში აისახება, ხოლო კაპიტალური რემონტის ხარჯები, რომელიც არსებითად აუმჯობესებს ძირითადი საშუალების ხარისხობრივ მაჩვენებლებს, კაპიტალიზაციას ექვემდებარება და მასზე წარმოებს ცვეთის დარიცხვა. ასე, რომ ძირითადი საშუალებების და ყველა სხვა აქტივების (მარაგების) ღირებულებასაც (ცვეთისა და ხარჯის კვალობაზე) და ყველა სხვა დანახარჯსაც მომხმარებელი იხდის.

მეტიც, ნებისმიერი ინვესტიცია, როგორც ფორმითაც არ უნდა იყოს ის განხორციელებული, საბოლოოდ, მატერიალურ ან არამატერიალურ აქტივად ყალიბდება და მათ ღირებულებას მომხმარებელი უბრუნებს ინვესტორს.

ამრიგად, როგორც ზემოაღნიშნულიდან ცხადი ხდება, ფაქტობრივად, მენარმე სუბიექტის გადასახდელად მხოლოდ ორი პირდაპირი გადასახადი: საშემოსავლო/მოგების და ქონების გადასახადი მოიაზრება, თუმცა ბიზნესს წარმოების და გაფართოებული კვლავწარმოების ყველა დანახარჯს საბოლოო პროდუქტის მომხმარებელი (მოსახლეობა) უნაზღაურებს და აქედან, მენარმე სუბიექტი ასრულებს რა საგადასახადო აგენტის ფუნქციას, მიღებული თანხის მხოლოდ ნაწილს უთმობს ბიუჯეტს გადასახადების სახით.

აღნიშნულის არსობრივი გააზრება აუცილებელია, მით უმეტეს მაშინ, როცა გადასახადების ცვლი-

ლება ან საერთოდ, მისგან განთავისუფლება დგება დღის წესრიგში. საკითხის გადაწყვეტისას უთუოდ გასათვალისწინებელია ის, რომ გადასახადების გაზრდა პირდაპირ აისახება მოსახლეობის მსყიდველობით უნარიანობაზე. გადასახადების გადასახადისგან განთავისუფლებით კი საბოლოო ჯამში, უფრო მეტად ბიზნესის მენილეების მოგება (წილის ღირებულება) იზრდება. თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ბიზნესის მენილეებიც მომხმარებლები არიან და ამგვარად მონაწილეობენ საერთო სიკეთეების განაწილების პროცესში, მათი განსაკუთრებული შეღავათი ისაა, რომ ისინი ბიზნესის ორგანიზებისთვის გადასახადების გადაუხდელად იზრდიან კაპიტალს (რეალურ და პოტენციურ შესაძლებლობას ახალი უპირატესობის მოსაპოვებლად), ხოლო სხვა მომხმარებლები კი იხდიან გადასახადებს უპირატესად სხვისი კეთილდღეობის ასამაღლებლად და მხოლოდ ამის შემდგომ - პირადი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ფაქტობრივად, გადასახადისგან განთავისუფლებით ხელი ემართებათ მდიდარ გადამხდელს, რომელთა კაპიტალი პირადი მოხმარების ხარჯებზე გაცილებით მეტია.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. [1, 2, 3, 4, 5, 6] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია, 2016;
2. ბასარია რ. გადასახადის არსის და საგადასახადო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი; „გადასახადები“, 2012 №7;
3. Малашиха Г., Метатеория прибыли, Тбилиси, 2007;
4. ფუტყარაძე ს., საქართველოს საგადასახადო სისტემა და მისი სრულყოფის პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, ბათუმი, 2012 http://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_3293_1.pdf;
5. Rs.ge.

A REAL NATURE OF THE TAXES AND THE ACTUAL TAXPAYER

David Jalaghonia

Academic doctor of Economic science, professor of SSU.

Yuri Papisqua

Academic doctor of Economic science, associated professor of SSU.

RESUME

This scientific work is about a generally acknowledged results of the taxes' economic essence and nature. It's stated, that taxation is considered as an income distribution system between juridical and physical persons and the taxes – as a legal partial cession of concrete persons' and business subjects' incomes in benefit of the state for satisfying the public demands.

Together with the physical persons, business subjects are also considered as taxpayers. According to a tax code of Georgia, only two taxes are considered as a direct taxes of a business subject – revenue and property taxes, however, according to authors' opinion, all the expenses of business production and expanded reproduction are refunded by the consumers (population) of the final product and because of this business subject performs as a fiscal agent, leaving only a part of the received sum to budget as a tax.

Authors validly think, that rethinking the essence of aforementioned information is essential, especially when a change in taxes or even dismissal from it is an actual possibility.

საგადასახადო დავის განხილვის სამართლებრივი თავისებურებანი

საგადასახადო სისტემის სამართლებრივი რეგულირება მოიცავს ერთი მხრივ, საგადასახადო სისტემისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, მეორე მხრივ, საგადასახადო სისტემაში შემავალი გადასახადების აკრეფასთან და გადახდასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, გადასახადის გადამხდელისა და საგადასახადო ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, მესამე მხრივ, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისთვის პასუხისმგებლობას, გასაჩივრების წესსა და პირობებს. ასევე ზოგადი და კერძო ხასიათის ინსტიტუციონალურ ნორმებს, პრინციპებს და გადასახადებით დაბეჯვის საკითხებზე საკანონმდებლო აქტების მწყობრ სისტემას.



გადასახადების სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება:

პირველი, საგადასახადო კოდექსის ნორმებით დაწესებული სამართლებრივი პროცედურებით, როგორცაა: საგადასახადო სამართალდარღვევის, პასუხისმგებლობის, საგადასახადო დავების განხილვის წესები და სხვა პროცესუალური სამართლებრივი ნორმები;

მეორე, საგადასახადო კოდექსის გარდა, გადასახადების სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება ძირითადად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით, სისხლის სამართლის კოდექსით. „სამენარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონით, რომელთა საფუძველზეც, საგადასახადო კოდექსთან ერთად მოწესრიგებულია მენარმის ანუ გადამხდელის სამენარმეო საქმიანობის შემოწმების ყველა სამართლებრივი პროცედურა; გადასახადების სამართლებრივი რეგულირება გამოიხატება ასევე საგადასახადო დავის განხილვის ფორმებსა და წესებშიც, რაც სრულიად ახალია საგადასახადო სამართლის მიმართულებით.

ადმინისტრაციული წარმოება საგადასახადო დავის განხილვისას ხასიათდება სპეციფიკურობით.

საგადასახადო კოდექსის საფუძველზე დარეგულირებულია საგადასახადო სამართალდარღვევის და პასუხისმგებლობისთვის სამართლებრივი პროცედურები, საგადასახადო დავების განხილვის წესების სახით. საგადასახადო კოდექსით დადგენილი სამართლებრივი ნორმები, საგადასახადო დავის განხილვისას პრაქტიკაში გადამხდელისთვის ურთულესი პროცედურაა და ზოგჯერ სამენარმეო საქმიანობის ხელშემშლელ ფაქტორად ვლინდება.

საგადასახადო კოდექსით დადგენილი პროცედურები საგადასახადო დავის დაწყებისას ითვალისწინებს, 30 კალენდარულ დღეში გადამხდელის მიმართ

უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებას, ქონებასა და საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადებას. თუ გადამხდელს დავის დაწყებისას არ გააჩნია ქონება და ვერ წარადგენს საბანკო ან სადაზღვევო გარანტიას, მაშინ გადამხდელის საბანკო ანგარიშები დაყადაღდება, შესაბამისად ეზღუდება საფინანსო ოპერაციების განხორციელება.

საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, შემცირდა საგადასახადო დავების რიცხვი, ვინაიდან ინოვაციას წარმოადგენს საგადასახადო შეთანხმების ინსტიტუტი. გადამხდელსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის საგადასახადო შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, საგადასახადო დავა წყდება.

საგადასახადო დავა

საგადასახადო დავის დაწყების მატერიალური საფუძველია საგადასახადო ორგანოს ან გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი ვალდებულების დარღვევა.

საგადასახადო დავის დაწყების ფორმალური საფუძველია:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. კოდიფიცირებული/2015 წელი

საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო აგენტისათვის ან სხვა ვალდებული პირისთვის წარდგენილი, „საგადასახადო მოთხოვნა“; საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო აგენტისათვის ან სხვა ვალდებული პირისათვის ამ კოდექსის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (გარდა იმ აქტებისა, რომლებიც ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება) წარდგენა.

საგადასახადო დავის დაწყების ფორმები:

დავის დაწყება საქართველოს ფინანსთა სა-



მინისტროს სისტემაში განხილვის წესით; დავის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ.

დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით შედეგება 2 ეტაპისაგან: დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში; დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში (შემდგომში – საბჭო).

თუ პირმა დავის გადაწყვეტის ფორმად აირჩია მისი გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით, მას უფლება აქვს, დავის გადაწყვეტის ნებისმიერ ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოში იმავე ვადაში, რომელშიც მას უფლება აქვს, გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, მიუხედავად იმისა, მითითებულია თუ არა ამის თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შეტანილ საჩივარში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო დავის მიმდინარეობისას, აგრეთვე „საგადასახადო მოთხოვნისა“ და საგადასახადო ორგანოს, შემოსავლების სამსახურისა და საბჭოს გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრებისთვის საჭირო ვადების განსაზღვრისას გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო კოდექსი და მის შესაბამისად გამოცემული სხვა სამართლებრივი აქტების დებულებები.

საგადასახადო ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება ნიშნავს მის საფუძველზე გამოცემული „საგადასახადო მოთხოვნის“ გასაჩივრებას და პირიქით.

საგადასახადო დავის დაწყება არ აჩერებს საგადასახადო ორგანოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას, გარდა საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

პირის საჩივარი მთლიანად ან ნაწილობრივ არ განიხილება, თუ:

არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან

განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ; სასამართლოს წარმოებაშია საქმე იმავე მხარეებს შორის დავაზე, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით; არსებობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება შემოსავლების სამსახურში იმავე პირის მიმართ იმავე საგანზე საჩივრის არგანხილვის თაობაზე ან საბჭოს გადაწყვეტილება საბჭოზე საჩივრის არგანხილვის შესახებ; მიმდინარეობს საგადასახადო დავა იმავე საგანზე იმავე პირის საჩივართან დაკავშირებით; საჩივარი შეიტანა ქმედუუნარო პირმა; საჩივარი შეიტანა არაუფლებამოსილმა პირმა; არ არსებობს დავის დაწყების ფორმალური საფუძვლები; გასულია საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადა; საჩივრის ხარვეზი არ გამოსწორდა ამ კოდექსით დადგენილი წესით; გასაჩივრებულ „საგადასახადო მოთხოვნაში“ ასახულია აღიარებული გადასახადები და საგადასახადო ვალდებულებები. საჩივარი არ განიხილება ასეთი თანხების ნაწილში. მომჩივანს ან მის წარმომადგენელს სხდომის ჩატარების დრო და ადგილი ეცნობება არსებული ტექნიკური საშუალებებით (მათ შორის, ტელეფონით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით და სხვა). თუ ვერ ხერხდება მომჩივანთან ან მის წარმომადგენელთან დაკავშირება, დავა მათი მონაწილეობის გარეშე განიხილება. თუ საჩივარი არ აკმაყოფილებს კოდექსის მოთხოვნებს, აგრეთვე საჩივარს არ ერთვის გასაჩივრებული „საგადასახადო მოთხოვნა“, საგადასახადო ორგანოს შესაგებელი, წერილობითი შეტყობინება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან საგადასახადო/საბაჟო ორგანოს მიერ გამოცემული სხვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, შემოწმების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გასაჩივრებული აქტების მომჩივნისთვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან საჩივარი ხელმოუწერელია, მომჩივანს წერილობით მიეთითება მათ შესახებ და ხარვეზების გამოსასწორებლად მიეცემა არანაკლებ 5 კალენდარული დღისა. ამ პერიოდში დავის განხილვა ჩერდება. თუ ხარვეზი აღმოჩნდა

საგადასახადო პოლიტიკა

დავის განხილვის მიზნით ჩატარებულ სხდომაზე და შესაძლებელია მისი დაუყოვნებლივ გამოსწორება, დავის განმხილველი ორგანოს თანხმობით ხარვეზი შეიძლება გამოსწორდეს სხდომის მიმდინარეობისას. საჩივრის წარდგენისათვის ამ კოდექსით დადგენილი ვადა დაცულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მომჩივანმა ამ კოდექსით დადგენილ ვადაში საჩივარი წარადგინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში. საგადასახადო დავის განახლება ან/და აღიარებული „საგადასახადო მოთხოვნის“ გადახედვა შეიძლება მხოლოდ ახლად აღმოჩენილი ან გამოვლენილი გარემოებებისა და ფაქტების წარმოდგენის შემთხვევაში, კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში. ამასთანავე, დავა განახლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გასაჩივრებული საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გამოცემისას გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ მისთვის სასარგებლო გარემოებების ან ფაქტების წარუდგენლობა მისი ბრალით არ მომხდარა.

საგადასახადო დავის დაწყების წესი

თუ პირი უარს აცხადებს „საგადასახადო მოთხოვნის“ შესრულებაზე ან არ ეთანხმება კოდექსით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, იგი ვალდებულია „საგადასახადო მოთხოვნის“/ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს ან საბჭოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემში საგადასახადო ორგანოს მეშვეობით გაუგზავნოს წერილობითი საჩივარი, თუ დავის გადაწყვეტის ფორმად ირჩევს მის გადაწყვეტას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით, ან საგადასახადო ორგანოს გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება, თუ დავის გადაწყვეტის ფორმად ირჩევს მის გადაწყვეტას სასამართლოს მიერ.

საჩივრისა და მისთვის დართული მასალების ყველა გვერდი უნდა დაინომროს და საჩივრის ბოლოში, ხელის მოწერამდე სიტყვიერად უნდა მიეთითოს შევსებული ფურცლების საერთო რაოდენობა. მოდავე მხარე ვალდებულია ხელი მოაწეროს საჩივრისა და მისთვის დართული მასალების ყველა გვერდზე.

საგადასახადო დავის დაწყების თარიღად ითვლება: **საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის შესაგებლის გაგზავნის თარიღი, ხოლო შესაგებლის გაუგზავნელობის შემთხვევაში – მისი გაგზავნის ვადის ბოლო დღე;** პირის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისთვის საჩივრის ან შეტყობინების გაგზავნის თარიღი. დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა მიიჩნევა პირის მიერ „საგადასახადო მოთხოვნის“ ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღიარებად, იგი აღსასრულებლად მიიქცევა და „საგადასახადო მოთხოვნასა“ და აღნიშნულ აქტზე ვადისა და დადგენილი მოთხოვნების დაუცველად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შეტანილი საჩივარი განუხილველი რჩება, ხოლო სასამართლოში შეტანილ სარჩელზე წყდება საქმის წარმოება დასაშვებობის მოთხოვნების დარღვევის გამო.

საგადასახადო დავის დაწყების შემთხვევაში გადამხდელს ეზღუდება საკუთრების უფლება, გარკვეული ფულადი თუ ნებისმიერი ქონების დაყადაღების შემთხვევაში, ასევე ეზღუდება ფულადი და ქონებრივი საშუალებების საკუთარი ბიზნეს-ინტერესებისთვის გამოყენების შესაძლებლობა, რითაც მიუღებელ შემოსავლებთან და შესაბამისად, მენეჯმენტის განუხორციელებლობასთან ერთად დადგება მისი ბიზნესის შესაძლო ლიკვიდაციის პროცესი, ვინაიდან საგადასახადო დავა შეიძლება, როგორც სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს 3 წლამდე გაგრძელდეს. აგრეთვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არგუმენტირებული მუხლით იზღუდება გადამხდელის კონსტიტუციური უფლებები.

ამდენად, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ საგადასახადო კოდექსში გადამხდელთა უფლებები



საგადასახადო დავის შემთხვევაში შეზღუდულია, ხოლო საგადასახადო ორგანოს უფლებები კი გამკაცრებული ადმინისტრირებით „უკიდევანოდ“ გაფართოებულია. თუ ქვეყანაში არსებულ პრაქტიკას გავითვალისწინებთ, ასეთ პირობებში გადამხდელი არც სასამართლოს მხრიდან იქნება დაცული.

საგადასახადო დავებთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა წარმოადგენს იმის ნათელ მაგალითს, რომ სასამართლოს მხრიდან, სახელმწიფოებრივი მიდგომის ანუ ბიუჯეტთან დაკავშირებული დავების გამო, გარკვეული ზეგავლენით, სასამართლოები ხშირად ტენდენციურ გადანყვეტილებებს იღებენ.¹

საგადასახადო დავებთან დაკავშირებით ზოგიერთი ინსტანციის სასამართლო ყოვლად დაუსაბუთებელ გადანყვეტილებებს იღებდა. აღნიშნული უკანონო გადანყვეტილებით კი საშუალო ბიზნესში ადგილობრივი წარმოების სფერო მნიშვნელოვნად განადგურდა.

საგადასახადო დავებთან დაკავშირებით სასამართლოში დამკვიდრებული მავნე პრაქტიკაზე მეტყველებს სტატისტიკაც, კერძოდ: 2011 წლის ცხრა თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოში სულ შევიდა 2078 ამ კატეგორიის საჩივარი. საგადასახადო ორგანოების მიერ შევიდა 1884, ხოლო ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ 194. საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ დამთავრდა 1731 დავა, ფიზიკური და იურიდიული პირების გამარჯვებით კი 340. 3 საქმე დამთავრდა მორიგებით.²

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ნინო გვენეტაძის განცხადებით, შვეიცარიის ელჩის მიერ გამოთქმული პრეტენზიის საფუძველზე, საგადასახადო დავებსა და მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემებთან დაკავშირებული სამართალწარმოების საქმეების შესწავლა დაიწყო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გვენეტაძემ განუცხადა, ის შვეიცარიელ დიპლომატ გიუნტერ ბეხლერთან, რომელსაც ერთხელ უკვე შეხვდა, მორიგი აუდიენციის პრობლემასაც ვერ ხედავს.

„ამის პრობლემას ვერ ვხედავ, თუ ეს საჭიროება იქნება. ჩვენ სამართალწარმოების პრაქტიკის მოკვლევა, გაანალიზება, განზოგადება და სარეკომენდაციო წინადადებების შემუშავება დავისახეთ მიზნად. პროცესი მიმდინარეობს“.

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებებით შემცირებულ უნდა იქნას თითოეულ სასამართლო ინსტანციაში საგადასახადო დავების განხილვის ვადა, რაც ჩვენი აზრით, ერთი მხრივ, ხელსაყრელია საგადასახადის გადამხდელთათვის და მეორე მხრივ, სირთულეებს უქმნის საქმის განხილვისას მართლმსაჯულებას.

საყურადღებოა საგადასახადო დავების პრობლემური საკითხები სასამართლო პრაქტიკის მიხედვით. კერძოდ, საგადასახადო ორგანოების მიერ ქონებაზე ყადაღის დადებისა და სასამართლოში მისი განხილვის პრობლემური საკითხები. უზენაესი

სასამართლოს მოსამართლის ქალბატონ მათა ვაჩაძის მიერ მიჩნეულ იქნა, რომ ყადაღის დადება, ზოგადად, არის საგადასახადო ორგანოს ფუნქცია და არა სასამართლოს ფუნქცია. ყადაღა არის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და იგი ისევე უნდა იყოს დასაბუთებული, როგორც ყველა სხვა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

მისი აზრით საგადასახადო კოდექსის 241.7 მუხლის დანაწესი ამოვარდნილია დადგენილი წესრიგიდან, რადგან ის სასამართლოს აკისრებს საგადასახადო ორგანოს ფუნქციას. მიაჩნია, რომ საგადასახადო კოდექსის 241.7 მუხლი ზოგად წესრიგში უნდა იყოს მოქცეული. უნდა ხდებოდეს ყადაღის, როგორც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩვეულებრივი წესით გასაჩივრება და განხილვა და არა სასამართლოს მიერ ყადაღის დადების დადასტურება. ყადაღის დადასტურების დროს სასამართლო მხოლოდ ყადაღის დადების ფორმალურ კანონიერებას ამოწმებს.²¹ 1

ამრიგად, ყოველივე აღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კოდექსი, ლიბერალიზაციისკენ არის მიმართული, ჩვენი აზრით, ზედმეტად გართულებულია საგადასახადო დავების განხილვის წესი.

საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისთვის არსებობს პასუხისმგებლობის შემდეგი სახეები: **გადასახადის შემცირებისთვის, დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისთვის, გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობის პერიოდში თანხების სხვა მიზნებზე მიმართვისთვის, დღგ-ს გადამხდელთა პასუხისმგებლობა გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის, საურავი ვადაგასულ საგადასახადო გადასახადებზე. პასუხისმგებლობა გადახდის წყაროსთან გადასახადის დაუკავებლობისთვის, საბანკო დანესებულებების საგადასახადო პასუხისმგებლობა, სალარო-აპარატის გამოყენების წესის დარღვევისთვის, საბუღალტრო საქმის წარმოების დარღვევისთვის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, ადმინისტრაციულ საპროცესო და სისხლის სამართლის კოდექსებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობები.**

საგადასახადო კოდექსის გარდა, საგადასახადის სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსებით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, დანესებულია და რეგულირდება ისეთი სამართალდარღვევების მიმართ პასუხისმგებლობები, როგორცაა: **მუხლი 164-ე-სამენარმეო საქმიანობის, გადასახადის გადამხდელად აღრიცხვაზე აყვანის წესების დარღვევა** და სხვა

საქართველოს საგადასახადო კოდექსით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით და „**სამენარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ**“ კანონით მოწეს-

1 მ. კორძაძე, „დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლის სისტემის სამართლებრივი ასპექტები“, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, 2004, № XI-XII, გვ. 144.

2. სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები) www.library.court.ge

2 სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები) www.library.court.ge

საგადასახადო პოლიტიკა

რიგებულია მენარმის, ანუ გადამხდელის სამენარმეო საქმიანობის შემონახვის ყველა სამართლებრივი პროცედურა, რაც პირდაპირაა დაკავშირებული საგადასახადო ურთიერთობებთან. ასევე მოწესრიგებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საგადასახადო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსით.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საგადასახადო სამართალდარღვევების ზრდამ სამენარმეო და ეკონომიკურ სფეროში გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკისთვის უარყოფითი შედეგი, რომლის გასაჯანსაღებლად დროული იქნება ისეთი საკანონმდებლო დოკუმენტის მიღება, როგორცაა კანონი „საგადასახადო ამნისტიის შესახებ“.

ყოველივე აღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყანაში ეფექტური, სამართლებრივად გამართული საგადასახადო სამართლებრივი სისტემის შექმნა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ამასთან, საგადასახადო სამართლებრივი სისტემა სხვა არაფერია თუ არა: საკანონმდებლო ბაზის, ადმინისტრირების მექანიზმის, საგადასახადო დავების განხილვის ეფექტური სისტემის და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების ერთდროული და ეფექტური მოქმედება.

საგადასახადო დავის ადმინისტრაციული წესით გადაწყვეტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დავის გადაწყვეტის მთელი პროცედურა მიმდინარეობს მხოლოდ საგადასახადო ორგანოებში. დავების გადაწყვეტის აღნიშნული ფორმა ვერ უზრუნველყოფს საგადასახადის გადამხდელთა უფლებების სრულყოფილ დაცვას და სწორედ ამიტომ საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობა აუცილებლად მიიჩნევს დავების გადატანას აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებს გარეთ, კერძოდ კი – სასამართლო ორგანოებში.

როგორც წესი, საგადასახადის გადამხდელისა და საგადასახადო ორგანოს დავების განხილვა საგადასახადო ადმინისტრაციებში წარმოადგენს მხოლოდ დავის გადაწყვეტის პირველ სტადიას. მთელ რიგ ქვეყნებში, მაგალითად გერმანიაში, აუცილებელია დავის საგანი განხილული იქნეს, უპირველეს ყოვლისა, საგადასახადო ადმინისტრაციებში, რათა შემდგომში მიღებულ იქნეს საქმე სასამართლო განხილვაზე. აღნიშნული პროცედურა საკმაოდ ეფექტურია, ვინაიდან დავების ნაწილი წყდება საგადასახადო ადმინისტრაციებში გადამხდელთა სასარგებლოდ, ხოლო გადამხდელთა ნაწილი რწმუნდება სარჩელის (მოთხოვნის) უსაფუძვლობაში, რაც საბოლოო ჯამში განტვირთავს სასამართლო ორგანოებს დაუსაბუთებელი დავების განხილვისაგან.

დავების განხილვის მიზნით საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო ადმინისტრაციები შექმნილია სპეციალური ქვედანაყოფები. მაგალითად, აშშ-ის შემოსავლების სამსახურის, საფრანგეთის მთავარი საგადასახადო სამმართველოს შემადგენლობაში მოქმედებენ შესაბამისი სამსახურები; დანიაში მოქმედებს სპეციალური საგადასახადო სასამართლო, რომელიც



შედის საგადასახადო ორგანოების სისტემაში. აშშ-ის საგადასახადო

სამსახურის საჩივრების განხილვის სამმართველოს ძირითადი ფუნქციაა სასამართლო პროცესის გარეშე გადაწყვიტოს საგადასახადო დავები სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების საფუძველზე.

საგადასახადო დავის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიჩნეულია დავის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ. საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში, მაგალითად აშშ-ში და გერმანიაში შექმნილია სპეციალური საგადასახადო სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ დაბეგვრის სფეროსთან დაკავშირებულ დავებს.

საქართველოში საგადასახადო დავები, მათი განსაკუთრებულობების მიუხედავად, არც ისე იშვიათია. სწორედ ამიტომ საგადასახადო დავების გადასაწყვეტად სპეციალური მოსამართლეების დანიშვნას გააჩნია დიდი მნიშვნელობა ამ საქმეების ობიექტური და კვალიფიციური განხილვის მიზნით.

ამასთან, საგადასახადო დავების განხილვის გამარტივებისა და საგადასახადო კანონმდებლობის ერთგვაროვანი გამოყენების მიზნით მიზანშეწონილია გამარტივდეს ადმინისტრაციული გასაჩივრების პროცედურა.

ალექსანდრე ჩხიტაური,
სამართლის დოქტორი,
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორის თანაშემწე

არარეზიდენტი პირის მიერ წყაროს ქვეყანაში პასიური საქმიანობებით მიღებული შემოსავლების საბადასახადო დაბეგვრის რეჟიმები

არარეზიდენტი პირების მიერ წყაროს ქვეყანაში პასიური საქმიანობებიდან მიღებულ შემოსავლებს მიეკუთვნება **დივიდენდის, პროცენტის და როიალტის** სახით მიღებული შემოსავლები.

საქართველოს მიერ ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულს სახელმწიფოებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულია არარეზიდენტი პირების მიერ საქართველოში პასიური საქმიანობით მიღებული შემოსავლების დაბეგვრის რეჟიმები.

აღნიშნული ხელშეკრულებების ანალიზიდან ირკვევა, რომ არარეზიდენტი პირების მიერ წყაროს ქვეყანაში (საქართველო) მიღებულ დივიდენდზე, პროცენტზე და როიალტზე, დაწესებულია დაბალი საგადასახადო განაკვეთები, ხშირ შემთხვევაში კი, მიუხედავად საქართველოში ანალოგიური შემოსავლების მიმართ არსებული დაბალი საგადასახადო განაკვეთებისა, ასეთი სახის შემოსავლები საერთოდ განთავისუფლებულია დაბეგვრის რეჟიმისგან. საქართველოს საგადასახადო იურისდიქციის ფარგლებში არარეზიდენტი პირების მიერ მიღებული შემოსავლების დაბეგვრის ასეთი რეჟიმის არსებობა, ანალოგიური შემოსავლების მიმართ საკუთარ რეზიდენტ პირებზე დაწესებული დაბეგვრის საგადასახადო რეჟიმის გათვალისწინებით, შეიძლება ჩაითვალოს, როგორც დისკრიმინაციული გამოვლენა. რაც, ერთი მხრივ, ზიანს აყენებს ქვეყნის ბიუჯეტს, მეორე მხრივ, კი სტიმულს უკარგავს ადგილობრივ მენარმეს.

როდესაც ვმსჯელობთ არარეზიდენტი პირების მიერ წყაროს ქვეყანაში საქმიანობით მიღებული შემოსავლების დაბეგვრის საგადასახადო რეჟიმებზე, მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ მიმართულებით არსებული გამოცდილების გათვალისწინება [5; 13-15]. არარეზიდენტი პირები (ისინი იზრდება, როგორც „გადამხდელი არარეზიდენტი“), რომლებიც შემოსავალს ღებულობენ აშშ-ში არსებული წყაროდან, ექცევიან ორ სხვადასხვა საგადასახადო რეჟიმში. ასეთ საგადასახადო რეჟიმებად განიხილება:

ა) საგადასახადო რეჟიმი, რომელიც დაკავშირებულია სამენარმეო საქმიანობასთან;

ბ) საგადასახადო რეჟიმი, რომელიც დაკავშირებულია პასიურ საქმიანობასთან.

პირველ შემთხვევაში არარეზიდენტი პირი კორპორაციის მიერ მიღებულ მოგებაზე (ფიზიკური პირის შემთხვევაში კი, მიღებულ შემოსავლებზე), იბეგრება აშშ-ის რეზიდენტი პირების მსგავსად. აშშ-ის შიდა შემოსავლების კოდექსის 872, 882 მუხლებით, აღნიშნული წესი ცნობილია, როგორც - **engaged in the U.S. trade or business** - ამერიკის ვაჭრობაში და ბიზნესში ჩართული პირების დაბეგვრის რეჟიმი.

არარეზიდენტი პირების მიერ აშშ-ში პასიური საქმიანობით მიღებული შემოსავლების საგადასახადო



ვასილ ხანიშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების დოქტორანტი

რეჟიმების განსაზღვრისას დაცული უნდა იქნას ორი პირობა:

ა) მკაცრად უნდა განისაზღვროს არარეზიდენტი პირის მიერ წყაროს ქვეყანაში მიღებული პასიური შემოსავლის სახეები;

ბ) როდესაც არარეზიდენტი პირის მიერ პასიური საქმიანობით მიღებული შემოსავალი მიკუთვნებულია სამენარმეო საქმიანობით მიღებულ შემოსავლებთან, არარეზიდენტი პირი უნდა დაიბეგროს აშშ-ის რეზიდენტი პირის მიერ სამენარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლების მსგავსად.

პასიური შემოსავლების სახეების განმსაზღვრელი ძირითადი კრიტერიუმია, საქმიანობის პასიური ხასიათი. მათ მიეკუთვნება: **პროცენტი, დივიდენდი, როიალტი, საალიმენტო გადასახადი** და სხვა. აშშ-ში ასეთი გადასახადები ცნობილია, როგორც ფიქსირებული (განსაზღვრული) შემოსავლები, ან შემოსავლები, რომლებიც ყოველწლიურად ან პერიოდულად ექვემდებარება განსაზღვრას (**fixed or determinable annual or periodic income FDAP income**). აშშ-ში მოქმედი წესით განსაზღვრულია, რომ ასეთი გზით მიღებული შემოსავალი არარეზიდენტმა პირმა არ უნდა შეიტანოს აშშ-ში სამენარმეო საქმიანობით მიღებულ შემოსავლებში. თუკი, არარეზიდენტი პირის მიერ წყაროს ქვეყანაში (აშშ) პასიური საქმიანობით მიღებული შემოსავლები მიკუთვნებულია სამენარმეო საქმიანობით მიღებულ შემოსავლებთან, მაშინ არარეზიდენტი პირი დაიბეგრება, როგორც აშშ რეზიდენტი პირის მიერ სამენარ-

საგადასახადო პოლიტიკა

მეო საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ წყაროს ქვეყანაში (საქართველო) პასიური საქმიანობით (დივიდენდი, პროცენტი, როიალტი) მიღებული დასაბეგრი შემოსავლების ადმინისტრირების და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ მოქმედი მექანიზმის (მოდელის) ეკონომიკური შემადგენლის შემდგომი სრულყოფის მიზნით, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები რეზიდენტ და წყაროს ქვეყანაში დაბეგვრის არსებული სისტემების დაზუსტება უმცირესი საგადასახადო განაკვეთის განსაზღვრის მეთოდით, რაც გულისხმობს არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ წყაროს ქვეყანაში (საქართველო) მიღებული შემოსავლების დაბეგვრას ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის ანალოგიური შემოსავლების მიმართ დაწესებული საგადასახადო განაკვეთებიდან უმცირესი საგადასახადო განაკვეთით.

ზოგადად, საგადასახადო ტვირთის რეზიდენტი ქვეყნის და წყაროს ქვეყნის საგადასახადო იურისდიქციებზე სამართლიანი გადანაწილებისა და სამოდელო კონვენციებით განსაზღვრული არადისკრიმინაციული წესის მიხედვით, არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ წყაროს ქვეყანაში მიღებული შემოსავლების უმცირესი საგადასახადო განაკვეთის განსაზღვრის მეთოდით დაბეგვრისას შესაძლებელია არსებობდეს შემდეგი სამი მიდგომა:

1. ორივე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, წყაროს ქვეყანაში და რეზიდენტ ქვეყანაში ამ შემოსავლების მიმართ არსებული ერთნაირი საგადასახადო განაკვეთების პირობებში, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ტერიტორიულობის პრინციპიდან გამომდინარე, არარეზიდენტი პირი წყაროს ქვეყანაში მიღებული შემოსავლების (მოგების) ნაწილში, აუცილებლად დაიბეგვრება მხოლოდ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში (შემოსავლის წყაროს ქვეყანა) არსებული საგადასახადო განაკვეთით. ამასთან, პირველი ხელშემკვრელი სახელმწიფო (რეზიდენტი ქვეყანა), თავისი იურისდიქციის ფარგლებში არსებული საგადასახადო წესით, პირის მიერ წყაროს ქვეყანაში მიღებული შემოსავლების დაბეგვრისას გაითვალისწინებს რა პირის მიერ წყაროს ქვეყანაში გადახდილ გადასახადებს, ყოველგვარი დაბეგვრის გარეშე მოახდენს წყაროს ქვეყანაში გადახდილი გადასახადის ჩათვლას;

2. თუ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში

(წყაროს ქვეყანა) საკუთარი რეზიდენტი პირის მიერ მიღებული ცალკეული სახის შემოსავლზე დაწესებული საგადასახადო განაკვეთი აღემატება პირველ ხელშემკვრელი სახელმწიფოს (რეზიდენტი) მიერ თავის ქვეყანაში საკუთარ რეზიდენტ პირებზე ანალოგიური შემოსავლების (მოგების) მიმართ დაწესებულ საგადასახადო განაკვეთს, მაშინ არარეზიდენტი პირი წყაროს ქვეყანაში (საქართველო) დაიბეგვრება უმცირესი საგადასახადო განაკვეთით, ანუ პირველ ხელშემკვრელ სახელმწიფოში (რეზიდენტი ქვეყანა) შესაბამისი შემოსავლების მიმართ დაწესებული საგადასახადო განაკვეთით. ამასთან, პირველმა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ პირს უნდა ჩაუთვალოს წყაროს ქვეყანაში (საქართველო) გადახდილი გადასახადი;

3. თუ მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში (წყაროს ქვეყანა) საკუთარი რეზიდენტი პირის მიმართ მიღებულ შემოსავლებზე დაწესებული საგადასახადო განაკვეთი ნაკლებია პირველ ხელშემკვრელი სახელმწიფოს (რეზიდენტი) მიერ საკუთარ რეზიდენტ პირებზე ანალოგიური შემოსავლების მიმართ დაწესებულ საგადასახადო განაკვეთზე, მაშინ არარეზიდენტი პირი დაიბეგვრება საქართველოში (წყაროს ქვეყანა) შესაბამისი შემოსავლების მიმართ დაწესებული საგადასახადო განაკვეთით. ასეთ შემთხვევაში, პირველ ხელშემკვრელ სახელმწიფოს ეძლევა უფლება თავისი რეზიდენტი პირის მიერ წყაროს ქვეყანაში მიღებული შემოსავალი დაბეგვროს საგადასახადო განაკვეთებს შორის არსებული სხვაობით. ამასთან, პირს წყაროს ქვეყანაში (საქართველო) გადახდილი გადასახადი ჩაუთვალოს დასაბეგრი შემოსავლის გაანგარიშებისას.

აღნიშნული მიდგომების გათვალისწინებით არარეზიდენტი პირისთვის წყაროს ქვეყანაში და რეზიდენტ ქვეყანაში საგადასახადო რეჟიმების განსაზღვრისათვის, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების სრულყოფის ეკონომიკური მექანიზმის მოდელი სქემატურად შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: (იხ. სქემა 1).

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების სრულყოფის მექანიზმის მოდელის საფუძველზე შესაძლებელია შეიქმნას ალგორითმი, რომელიც თვალსაჩინოს გახდის არარეზიდენტი პირის მიერ წყაროს ქვეყანაში მიღებული შემოსავლების დაბეგვრის რეჟიმებს, უმცირესი საგადასახადო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, როგორც წყაროს, ასევე, რეზიდენტ ქვეყანაში.



ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მექანიზმის მოდელის მათემატიკური ალგორითმის ასაგებად, არარეზიდენტი პირის მიერ წყაროს ქვეყანაში მიღებული შემოსავლის დაბეგვრის რეჟიმისთვის შემოვიტანოთ შემდეგი აღნიშვნები:

P_1 – საგადასახადო განაკვეთის პროცენტი წყაროს ქვეყანაში;

P_2 – საგადასახადო განაკვეთის პროცენტი რეზიდენტ ქვეყანაში;

ამ აღნიშვნების გათვალისწინებით წყაროს ქვეყანაში და რეზიდენტ ქვეყანაში საპროცენტო საგადასახადო განაკვეთების მიხედვით არარეზიდენტი პირის დაბეგვრისთვის გვექნება შემდეგი საგადასახადო რეჟიმები. თუ:

1) $P_1 = P_2$ მაშინ, არარეზიდენტი პირის მიერ წყაროს ქვეყანაში მიღებული შემოსავალი დაიბეგრება P_1 პროცენტითანი საგადასახადო განაკვეთით. რეზიდენტ ქვეყანაში კი, შესაბამისი შემოსავლის მიმართ იგი განთავისუფლებულდება დაბეგვრის რეჟიმისაგან. თანაც, რეზიდენტი ქვეყანა თავის რეზიდენტ პირს ჩაუთვლის წყაროს ქვეყანაში ამ შემოსავალზე გადახდილ გადასახადს. გამოდის, რომ ამ შემთხვევაში არარეზიდენტი პირის მიერ გადახდილი გადასახადის თანხა წყაროს ქვეყანაში ტოლი იქნება aP_1 , სადაც, a არარეზიდენტი პირის მიერ წყაროს ქვეყანაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალია. ამასთან, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ტერიტორიულობის პრინციპითდან გამომდინარე, დაბეგრილი თანხის გადახდა მოხდება წყაროს ქვეყანაში (საქართველო).

2) $P_1 > P_2$ მაშინ, არარეზიდენტი პირის მიერ წყაროს ქვეყანაში მიღებული შემოსავალი დაიბეგრება P_2 პროცენტითანი საგადასახადო განაკვეთით. ამასთან, რე-


ზიდენტი ქვეყანა თავის რეზიდენტ პირს, ერთი მხრივ, ჩაუთვლის წყაროს ქვეყანაში ამ შემოსავალზე გადახდილ გადასახადს, მეორე მხრივ კი, წყაროს ქვეყანაში (საქართველო) მიღებულ შემოსავალს არ დაბეგრავს თავის ქვეყანაში. გამოდის, რომ ამ შემთხვევაში არარეზიდენტი პირის მიერ წყაროს ქვეყანაში გადახდილი გადასახადის თანხა ტოლია aP_2 , სადაც, a არარეზიდენტი პირის მიერ წყაროს ქვეყანაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალია. ამასთან, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ტერიტორიულობის პრინციპითდან გამომდინარე, დაბეგრილი თანხის გადახდა მოხდება წყაროს ქვეყანაში (საქართველო).

3) $P_1 < P_2$ მაშინ, არარეზიდენტი პირის მიერ წყაროს ქვეყანაში მიღებული შემოსავალი დაიბეგრება P_1 პროცენტითანი საგადასახადო განაკვეთით. ამასთან, რეზიდენტი ქვეყნის მიერ მოხდება წყაროს ქვეყანაში არარეზიდენტი პირის მიერ გადახდილი გადასახადის - aP_1 -ის ჩათვლა და პირს დამატებით მოუწევს გადაიხადოს $P_2 - P_1$ საგადასახადო განაკვეთით განსაზღვრული გადასახადის თანხა. ამ შემთხვევაში არარეზიდენტი პირის მიერ გადახდილი გადასახადის მთლიანი თანხა წყაროს ქვეყანაში და რეზიდენტ ქვეყანაში ერთად, ტოლი იქნება: $aP_1 + a(P_2 - P_1) = aP_2$, ამასთან, aP_1 , ანუ, არარეზიდენტი პირის მიერ შემოსავლის წყაროს ქვეყანაში გადახდილი ეს თანხა რჩება წყაროს ქვეყანაში და წარმართება წყაროს ქვეყნის ბიუჯეტში, ხოლო $a(P_2 - P_1)$ თანხის გადახდევინება ხდება პირის რეზიდენტ ქვეყანაში და მიემართება რეზიდენტი ქვეყნის ბიუჯეტში. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ არარეზიდენტი პირი ორივე შემთხვევაში იბეგრება - $\max(P_1, P_2)$ საგადასახადო განაკვეთით.

თვალსაჩინოებისთვის, ეს ალგორითმი სქემატუ-

სქემა 1.

არარეზიდენტი პირის მიერ საქართველოში მიღებული შემოსავლების დაბეგვრის რეჟიმების მოდელი წყაროს და რეზიდენტ ქვეყნებში



ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ეკონომიკური მოდელი

არარეზიდენტი პირის დასაბეგრი შემოსავალი ხელშემკვრელ სახელმწიფოებში	საგადასახადო განაკვეთები ხელშემკვრელ სახელმწიფოებში		არარეზიდენტი პირის დაბეგვრა წყაროს ქვეყანაში მომქმედი საგადასახადო განაკვეთით	არარეზიდენტი პირის დაბეგვრა რეზიდენტ ქვეყანაში	
	მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფო (წყაროს ქვეყანა)	პირველი ხელშემკვრელი სახელმწიფო (რეზიდენტი ქვეყანა)		დასაბეგრი საგადასახადო განაკვეთი	ჩასათვლელი თანხა
დივიდენდი:					
I ვარიანტი	P ₁ %	P ₂ %	P ₁ %	I ვარიანტი არ იბეგრება	ჩაუთვლის aP ₁
II ვარიანტი	P ₁ %	P ₂ %	P ₂ %	II ვარიანტი არ იბეგრება	ჩაუთვლის a P ₂
III ვარიანტი	P ₁ %	P ₂ %	P ₁ %	III ვარიანტი P ₂ %- P ₁ %	ჩაუთვლის aP ₁
პროცენტი:					
I ვარიანტი	P ₁ %	P ₂ %	P ₁ %	I ვარიანტი არ იბეგრება	ჩაუთვლის aP ₁
II ვარიანტი	P ₁ %	P ₂ %	P ₂ %	II ვარიანტი არ იბეგრება	ჩაუთვლის a P ₂
III ვარიანტი	P ₁ %	P ₂ %	P ₁ %	III ვარიანტი P ₂ %- P ₁ %	ჩაუთვლის aP ₁
როიალტი:					
I ვარიანტი	P ₁ %	P ₂ %	P ₁ %	I ვარიანტი არ იბეგრება	ჩაუთვლის aP ₁
II ვარიანტი	P ₁ %	P ₂ %	P ₂ %	II ვარიანტი არ იბეგრება	ჩაუთვლის a P ₂
III ვარიანტი	P ₁ %	P ₂ %	P ₁ %	III ვარიანტი P ₂ %- P ₁ %	ჩაუთვლის aP ₁

რად შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ (იხ. სქემა 2).

მიგვაჩნია, რომ არარეზიდენტი პირის მიერ წყაროს ქვეყანაში მიღებული შემოსავლების დაბეგვრა, ხელშემკვრელ სახელმწიფოებში ანალოგიური შემოსავლების მიმართ დანესებული უმცირესი საგადასახადო განაკვეთის მეთოდით, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში და, მათ შორის, საქართველოშიც ინვესტიციების

მოზიდვას, და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, რამდენადაც როგორც წესი, უცხოური კაპიტალი ყოველთვის მიედინება დაბალი საგადასახადო იურისდიქციის ქვეყნებში, მეორე მხრივ კი, მიგვაჩნია რომ, ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდის გამოყენების პირობებში ყოველმხრივ დაცული იქნება საქართველოს პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ინტერესებიც.

ლიტერატურა:

1. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სა- მოდელი კონვენცია, 2008 წლის 17 ივლისი;
2. „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით სარგებლობისა და არარეზიდენტისათვის საქართველოში გადახდილი გადასახადის დაბრუნების წესი“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის, ბრძანება №633;
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
4. Типовая конвенция Организации Объединенных Наций об избежании двойного налогообложения в отношении между развитыми и развивающимся странами, пересмотренное издание 2011 года, „организации Объединенных Наций“;
5. Фокин А. В., Международное налогообложение пассивных доходов (процентов, дивидендов, роялти) Американский опыт.; Монография, издательство, Wolters kluwer Москва Волтерс Клувер 2009, 216 ст.;

TAXATION REGIMES OF INCOMES EARNED BY NON-RESIDENT PERSON'S PASSIVE BUSINESS IN A SOURCE COUNTRY

Vasil Khanishvili

Ph.D student of Business and economics faculty of Sokhumi State University.

RESUME

The article is about issues concerning taxation regimes of incomes earned by non-resident person's passive business in a source country. It's recognized, that dividends, shares, and royalties represent the incomes from non-resident persons' passive business in a source country. Such incomes are taxed with a low income tax, in most cases, they are not even being taxed. In a source country it's recommended to tax incomes with the lowest tax rate in order to improve taxation regimes and an economic model of tax avoidance for non-resident person's income from passive business in a source country is represented.

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების თეორიულ-მეთოდოლოგიური წანამძღვრები

საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის უზრუნველყოფის მთავარ ინსტრუმენტად მიჩნეულია სახელმწიფოთა შორის ბილატერალური (ორმხრივი) ხელშეკრულებები. ამავდროულად, მათი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას, ინვესტიციების მოზიდვას და, შესაბამისად, ქვეყნის ბიუჯეტში მეტი ფულადი რესურსების მობილიზებას. თუმცა, ფაქტობრივად, ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული ხელშეკრულებები, უარყოფით გავლენას ახდენენ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე. მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში საქართველო აქტიურად ჩაერთო ამ პროცესში. 2008 წლიდან ინტენსიურ ფაზაში გადავიდა ბილატერალური შეთანხმებების გაფორმება იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს გააჩნია ეკონომიკური ინტერესები.



ვასილ ხანიშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების დოქტორანტი

საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის თავიდან არიდების შესახებ სახელმწიფოთა შორის შეთანხმებების თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლად იქცა **ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და ორგანიზაციის (OECC)** საბჭოს მიერ 1955 წლის 25 თებერვალს მიღებული პირველი რეკომენდაცია. სწორედ მაშინ, ქვეყნების მიერ, რომლებიც ამჟამად წარმოადგენენ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს, ხელმოწერილ იქნა 70 ორმხრივი (ბილატერალური) ზოგადი კონვენცია.

აღნიშნული კონვენციის მიღების წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს 1921 წლის ერთა ლიგის მიერ დაწყებული მუშაობა საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების კონცეფციის შესაქმნელად. ერთა ლიგის მიერ დაწყებული მუშაობის შედეგად: 1928 წელს დასრულდა პირველი სამოდელო ბილატერალური კონვენცია; 1943 წელს მიიღეს მეხიკოს სამოდელო კონვენცია; 1946 წელს - ლონდონის სამოდელო კონვენცია. თუმცა აღნიშნული კონვენციები სრულყოფილად ვერ ასახავდნენ იმ ძირითად პრინციპებს, რომელიც აუცილებელი იყო ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად და ბევრი პრობლემური საკითხი საერთოდ გადაუწყვეტელი რჩებოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, მკვეთრად გაიზარდა ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის არეალი. აქედან გამომდინარე, ნათლად გამოიკვეთა საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის პრევენციის მნიშვნელობა. სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნებისთვის ცხადი გახდა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისთვის ბილატერალური კონვენციების მიღებისა და საერთაშორისო შეთანხმებების მიღწევის გარდაუვალობა.

ამასთან, აუცილებელი გახდა უკვე არსებული კონვენციებთან ჰარმონიზაცია, ერთიანი პრინციპების, დეფინიციების, წესების, მეთოდების ფორმირება და შეთანხმებების მიღწევა. 1963 წელს, სპეციალურად შექმნილი ფისკალურმა კომიტეტმა, შეიმუშავა და წარმოადგინა: „შემოსავლისა და კაპიტალის ორმაგი დაბეგვრის შესახებ კონვენციის პროექტი“, რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების (OECD) წევრი ქვეყნების მთავრობებს, ბილატერალური კონვენციების გაფორმების დროს ავალდებულებდა, უზრუნველყოთ კონვენციის პროექტის მოთხოვნებთან შესაბამისობა. განსაკუთრებით, მნიშვნელოვანი იყო იმის დათქმა, რომ წარმოდგენილი პროექტის გადასინჯვა და სრულყოფა მოხდებოდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების (OECD) წევრი ქვეყნების ბილატერალური კონვენციების პრაქტიკაში გამოყენების შედეგად მიღებული გამოცდილების, საგადასახადო სისტემაში შეტანილი ცვლილებების, საერთაშორისო ფისკალური ურთიერთობების გაძლიერების, ბიზნესის ახალი სექტორების განვითარების და საერთაშორისო დონეზე ახალი კომპლექსური ბიზნეს ორგანიზაციების შექმნის გათვალისწინებით¹.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების (OECD) წევრი ქვეყნების მიერ ბილატერალური კონვენციების პრაქტიკაში გამოყენების შედეგად მიღებული გამოცდილების, მათი შენიშვნების და მოსაზრებების გათვალისწინებით, 1977 წელს პარიზ-

1 შემოსავალზე და კაპიტალზე სამოდელო საგადასახადო კონვენცია, 2008 წლის 17 ივლისი, გვ. 7

№2 აპრილი-მაისი 2016

ში (საფრანგეთი) მიღებულ იქნა ახალი „სამოდელო კონვენცია შემოსავლისა და კაპიტალის ორმაგ დაბეგვრაზე“. უფრო მოგვიანებით ცხადი გახდა, რომ სამოდელო კონვენციების ზეგავლენა სცილდებოდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების (OECD) წევრი ქვეყნების ფარგლებს. შესაბამისად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ბილატერალური კონვენციების გადასინჯვაში აქტიურად მიიღებდნენ მონაწილეობას არა წევრი ქვეყნებიც. მოიაზრებოდა, რომ ეს ხელს შეუწყობდა საერთაშორისო საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების და პრინციპების სრულყოფას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების (OECD) სამოდელო კონვენცია საგადასახადო რეგულირების სფეროში ძირითადად მაღალგანვითარებული ქვეყნების ინტერესებს გამოხატავდა. ამდენად, აუცილებელი გახდა ისეთი კონცეფციის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა განვითარებადი ქვეყნების ინტერესებიც და იქნებოდა ერთგვარი სახელმძღვანელო განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის საგადასახადო ხელშეკრულებების გაფორმების დროს. სწორედ ამ მიზნით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს დამხმარე საექსპერტო ორგანოს მიერ შეიქმნა „საგადასახადო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ექსპერტთა კომიტეტი“ - (OECD - The Committee of Experts on International Cooperation in Tax Matters).

აღნიშნული კომიტეტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, უკვე სამოქმედოდ არსებული ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამოდელო კონვენციის (OECD) საფუძველზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1980 წელს მიიღო სამოდელო კონვენცია შემოსავლისა და კაპიტალის ორმაგი დაბეგვრის საკითხებზე განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისათვის. აღნიშნული სამოდელო კონვენციით განისაზღვრა ქვეყნებს შორის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების პრინციპები, ფორმები და მეთოდები. ამ კონვენციის მიხედვით, ერთი ქვეყნის იურიდიული და/ან ფიზიკური პირის მიერ მეორე ქვეყანაში განეული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება იმ ქვეყანაში, სადაც უშუალოდ მოხდა შემოსავლის მიღება, ან რეზიდენტი ქვეყანაში. შემოსავლის წყაროს ქვეყანაში დაბეგვრის შემთხვევაში, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით რეზიდენტი ქვეყანა იღებს ვალდებულებას, გადასახადის გადამხდელს ჩაუთვალოს წყაროს ქვეყანაში გადახდილი გადასახადი. შეთანხმების მთავარ პრიორიტეტად იქცა გადასახადების გადაუხდელობისაგან თავის არიდება, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია საგადასახადო მიზნებისათვის ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, თუმცა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმებების უნიფიცირებისა და სტანდარტიზაციის მიზნებისათვის, ბევრ განვითარებად ქვეყანასთან ერთად, საქართველოც, ქვეყნის ინტერესების საზიანოდ, ჯერ კიდევ ბაზისად იყენებს

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 1977 წლის კონვენციის ტიპურ მოდელს (The model Convention with respect to taxes on income and on capital).

შემოსავლებისა და კაპიტალის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ მიღებული ტიპური კონვენცია წარმოადგენს სტანდარტულ შეთანხმებას ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი ან ორივე ქვეყნის რეზიდენტების მიმართ.

ეს შეთანხმება ეხება შემოსავლისა და კაპიტალის ყველა გადასახადს ან შემოსავლისა და კაპიტალის ელემენტებს, ქონების გადაცემით ან გასხვისებით მიღებული შემოსავლების ჩათვლით. აღნიშნულ ორგანიზაციაში გაერთიანებულია 30-ზე მეტი დემოკრატიული ქვეყანა. მათ შორისაა: ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, კანადა, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, იაპონია, კორეა, ლუქსემბურგი, მექსიკა, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი, გაერთიანებული სამეფო. გადასაწყვეტი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს ევროპის თანამეგობრობის კომისია (CEC).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამოდელო კონვენციის კონცეპტუალური მიდგომები ძირითადად აგებულია და ეყრდნობა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების (OECD) სამოდელო კონვენციას, თუმცა, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებისას, პრიორიტეტს ანიჭებს განვითარებადი ქვეყნების ინტერესებს და ბევრ საკითხებში, მისგან არსებითად განსხვავდება.

საგადასახადო თეორიასა და პრაქტიკაში ორმაგი საერთაშორისო დაბეგვრა ეხება მხოლოდ და მხოლოდ საშემოსავლო და კაპიტალის გადასახადებს, ანუ პირდაპირ გადასახადებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, აღნიშნულ გადასახადებს მიეკუთვნება: **საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, ქონების გადასახადი.** თუმცა, საგადასახადო კონკურენციაში მონაწილეობს ასევე ირიბი (არარპირდაპირი) გადასახადებიც. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით მათ მიეკუთვნება: **დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირებაში და, შესაბამისად, ქვეყნებს შორის საგადასახადო ურთიერთობებში.**

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მარეგულირებელი საერთაშორისო სამოდელო კონვენციებში გამოყენებულია ტერმინები, რომლებსაც სპეციფიკური დანიშნულება აქვს და ცხადია, აუცილებელია მათი სწორად აღქმა. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი

ტერმინები: „რეზიდენტი“, „არარეზიდენტი“, „მუდმივი დანესებულება (წარმომადგენლობა)“.

რეზიდენტი, წარმოსდგება ლათინური სიტყვა - „residens“-ისაგან და ნიშნავს პირს, რომელიც მუდმივად რჩება ერთ ადგილზე. შუა საუკუნეებში, რეზიდენტად ითვლებოდა უცხოელი დიპლომატიური წარმომადგენელი, რომელიც მუდმივად იმყოფებოდა მოცემულ კონკრეტულ ქვეყანაში. უფრო ადრე, სიტყვა „რეზიდენტის“ ქვეშ იგულისხმებოდა პირი, რომელიც თავმჯდომარეობდა, თავში იდგა. სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობა საქართველოში შემოსულია ევროპის დიპლომატიური წრებიდან და ნიშნავს პირს, რომელიც მუდმივად იმყოფება, ცხოვრობს მოცემული კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე. ამასთან, აღნიშნული პირი შეიძლება არ იყოს მოცემული ქვეყნის მოქალაქე. ეკონომიკური და ადმინისტრაციული მნიშვნელობით, რეზიდენტი, ესაა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია მოცემულ კონკრეტულ ქვეყანაში და რომელზეც მთლიანად ვრცელდება ამ ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით საქართველოს რეზიდენტად, მთელი მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში, ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში, რომელიც მთავრდება ამ საგადასახადო წელს, ან ფიზიკური პირი, რომელიც ამ საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში. საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივად ყოფნის დროდ ითვლება დრო, რომლის განმავლობაშიც ფიზიკური პირი იმყოფებოდა საქართველოში, აგრეთვე დრო, რომლითაც იგი გავიდა საქართველოს ფარგლების გარეთ სპეციალურად სამკურნალოდ, დასასვენებლად, მივლინებაში ან სასწავლებლად.

საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივად ყოფნის დროს არ განეუთვნება დრო, რომლის განმავლობაშიც ფიზიკური პირი იმყოფებოდა საქართველოში:

- ა) როგორც დიპლომატიური ან საკონსულო სტატუსის მქონე პირი ან ასეთი პირის ოჯახის წევრი;
- ბ) როგორც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელი, ან როგორც საქართველოში უცხო ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირი ან ასეთი პირის ოჯახის წევრი, გარდა საქართველოს მოქალაქეებისა;
- გ) ერთი უცხო ქვეყნიდან მეორეში გადაადგილებისას საქართველოს ტერიტორიის გავლით;
- დ) სამკურნალოდ ან დასასვენებლად.

საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივად ყოფნის დღედ ითვლება დღე, რომლის განმავლობაშიც ფიზიკური პირი იმყოფებოდა საქართველოში, მიუხედავად ამ ყოფნის ხანგრძლივობისა.

საქართველოს საგადასახადო რეზიდენტი ფიზიკური პირის დაბეგვრის ობიექტია, როგორც საქარ-

თველოს წყაროდან, ასევე მის ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავალი. ხოლო ფიზიკური პირისთვის, რომელიც არ წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო რეზიდენტს, დაბეგვრის ობიექტია მხოლოდ საქართველოს წყაროდან მიღებული შემოსავალი.

საერთაშორისო სამოდელო კონვენციების თანახმად, **ხელშემკვრელი სახელმწიფოს¹** რეზიდენტად მიიჩნევა ფიზიკური პირი, რომელიც მოცემული ქვეყნის კანონმდებლობით არის საშემოსავლო და ქონების გადასახადების გადამხდელი მისი საცხოვრებელი ადგილის, იურიდიული მისამართის, მუდმივი ადგილსამყოფელის, მართვის ადგილის ან ნებისმიერი სხვა ანალოგიური კრიტერიუმის საფუძველზე და ასევე მოიცავს ამ სახელმწიფოსა და მის პოლიტიკურ ერთეულებს ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს.² იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირი ორივე ქვეყნის რეზიდენტადაა მიჩნეული (ამ ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობებით), მაშინ მისი სტატუსი განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:³

- 1. მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან სასიცოცხლო ინტერესების ცენტრი;
- 2. ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი;
- 3. მოქალაქეობა (ეროვნება);
- 4. ორმხრივი თანხმობა.

აღნიშნული კრიტერიუმები გამოიყენება ზემოდასახელებული კლესადობის წესით, ანუ, თუ რეზიდენტის სტატუსის საკითხი ვერ წყდება პირველი კრიტერიუმით, მაშინ პირის სტატუსი უნდა განისაზღვროს მეორე კრიტერიუმით და ა.შ.

პირი მიიჩნევა იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც მას გააჩნია მუდმივი და ხელმისაწვდომი საცხოვრებელი ადგილი. თუ პირი ორივე სახელმწიფოში ფლობს მუდმივ და ხელმისაწვდომ საცხოვრებელ ადგილს, მაშინ იგი მიიჩნევა იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც მას უფრო მეტი მჭიდრო პირადი და ეკონომიკური კავშირები გააჩნია, ეგრეთ წოდებული, სასიცოცხლო ინტერესების ცენტრი. ამასთან, თუ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რომელ სახელმწიფოში მდებარეობს პირის სასიცოცხლო ინტერესების ცენტრი, ან თუ პირს არც ერთ ახელმწიფოში არ გააჩნია მუდმივი და ხელმისაწვდომი საცხოვრებელი ადგილი, მაშინ ძალაში შედის მეორე კრიტერიუმი – ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი. ასეთ შემთხვევაში, პირი ჩაითვლება იმ სახელმწიფოს

1 1969 წლის 23 მაისის ქ. ვენის, სახელმწიფოებო სამართლის შესახებ კონვენციით, „ხელშემკვრელი სახელმწიფო“ ნიშნავს სახელმწიფოს, რომელმაც თანხმობა განაცხადა მისთვის ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე, მიუხედავად იმისა, შევიდა თუ არა ხელშეკრულება ძალაში. ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, პირველი ხელშემკვრელი სახელმწიფო ნიშნავს რეზიდენტ ქვეყანას, მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფო კი, წყაროს ქვეყანას;

2 ზემოაღნიშნული კონვენციის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი;

3 ზემოაღნიშნული კონვენციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.



რეზიდენტად, სადაც იგი ცხოვრობს.

იმ შემთხვევაში, თუ პირი ორივე სახელმწიფოში ცხოვრობს ან ჩვეულებრივ, არც ერთ სახელმწიფოში არ ცხოვრობს, მაშინ იგი ჩაითვლება იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, რომლის მოქალაქეც იგი არის (მოქალაქეობის ტესტი).

თუ პირი არის ორივე ხერლშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქე, ან არც ერთი მათგანის მოქალაქე არ არის, მაშინ საკითხს ურთიერთშეთანხმებით გადაწყვეტენ ამ სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები.

არარეზიდენტი წარმოსდგება ლათინური სიტყვა - „non-resident“-საგან და ნიშნავს, ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს მოცემული კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ამ სახელმწიფოში ეწევა გარკვეულ საქმიანობას, მათ შორის ბიზნესსაქმიანობას, მაგრამ მუდმივად დარეგისტრირებულია და ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში. არარეზიდენტი პირი ასევე შეიძლება იყოს ორგანიზაცია, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირს, შექმნილია უცხოური სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, ან იმყოფება საზღვარგარეთის ქვეყანაში, როგორც დიპლომატიური ან სხვა ოფიციალური წარმომადგენლობის სახით, ასევე საერთაშორისო ორგანიზაცია, მათი ფილიალი და წარმომადგენლობა.

მაშასადამე, არარეზიდენტი, ესაა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საგადასახადო, სავალუტო და სხვა სახის კანონმდებლობის საფუძველზე მოცემულ კონკრეტულ ქვეყანაში არ გააჩნია მუდმივი ადგილსამყოფელი. რეზიდენტის ქვეშ იგულისხმება რეზიდენტი ფიზიკური პირი ან რეზიდენტი იურიდიული პირი. ხოლო არარეზიდენტის ქვეშ იგულისხმება პირი, რომელიც არ არის რეზიდენტი¹. ანუ, ესაა ფიზიკური პირი, რომელიც 183 კალენდარული დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში ცხოვრობს საქართველოს ტერიტო-

1 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 8, 4/20.

რის გარეთ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვყალიბოთ რეზიდენტი და არარეზიდენტი (**Resident and non-resident**) ფიზიკური და იურიდიული პირების განმარტებითი ნიშნები: **რეზიდენტი**ა ფიზიკური პირი, რომელსაც გააჩნია მუდმივი რეგისტრაციის ქვეყანა, სადაც იგი უწყვეტად ცხოვრობს 183 კალენდარული დღე ან მეტ ხანს, ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში.

ფიზიკური პირის რეზიდენტობის განმსაზღვრელი მთავარი კრიტერიუმია მისი საცხოვრებელი ადგილი. ამ ნიშნის მიხედვით, ფიზიკური პირი მოქმედებს ერთ კონკრეტულ სახელმწიფოში, მაგრამ მუდმივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში;

იურიდიული პირის რეზიდენტობის განმსაზღვრელი მთავარი კრიტერიუმია მისი სახელმწიფო რეგისტრაციის ადგილი. ამ ნიშნის მიხედვით, იურიდიული პირი მოქმედებს ერთ კონკრეტულ სახელმწიფოში, მაგრამ მისი რეგისტრაციის ადგილი სხვა სახელმწიფოა.

როგორც წესი, **რეზიდენტის** ან **არარეზიდენტის** სტატუსი უნდა დადგინდეს ყოველი საგადასახადო პერიოდის მიმართ. ამასთან, ის დღეები, რომელთა მიხედვითაც ფიზიკური პირი წინა საგადასახადო პერიოდში ჩაითვალა რეზიდენტად, არ გაითვალისწინება მომდევნო საგადასახადო პერიოდში რეზიდენტობის დადგენისას.

საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების სამოძღვლო კონვენციით, **„მუდმივი დაწესებულების“** ქვეშ იგულისხმება ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც კონკრეტულ ადგილას მდებარეობს და საიდანაც მთლიანად ან ნაწილობრივ ხორციელდება ბიზნესსაქმიანობა.

იგი მოიცავს: ა) მართვის ადგილს; ბ) ფილიალს; გ) ოფისს; დ) ფაბრიკას; ე) სახელოსნოს; ვ) მაღაროს, ნავთობის ან გაზის ჭაბურღილს, კარიერს ან ბუნებრივი რესურსების დამუშავების ნებისმიერ სხვა ადგილს.

ცხრილი 1.

სამშენებლო მოედნის, სამონტაჟო ან საამწყობო ობიექტის ვადები, რომლებიც განსაზღვრავენ არარეზიდენტი პირის მუდმივ დანესებულებად ჩათვლას¹.

პერიოდი, საიდანაც იწყება მუდმივი დანესებულების (წარმომადგენლობა) ათვლა	ქვეყნები
6 თვე	სლოვენია, სანმარინო, სლოვაკეთი, ბაჰრეინი, კატარი, არაბთა გაერთიანებული სამეფო, გერმანია, შვეიცარია, ეგვიპტე 6/183, სინგაპური, მალტა, ქუვეითი, ირლანდია, ლუქსენბურგი, ფინეთი, ჩეხეთი, ავსტრია, ლატვია, იტალია, პოლონეთი, თურქმენეთი, სომხეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ნიდერლანდები, დანია, საფრანგეთი, ესპანეთი, ჩინეთი, უზბეკეთი, ნორვეგია, ისლანდია,
9 თვე	ხორვატია, პორტუგალია, სერბეთი, ესტონეთი, ისრაელი, ლიტვა, ბელგია, რუმინეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, კვიპროსი
12 თვე	შვედეთი, უნგრეთი, თურქეთი, გაერთიანებული სამეფო, უკრაინა, ირანი, იაპონია, ბელარუსი
90 დღე	ინდოეთი

1 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ამასთან, სამშენებლო მოედანი, სამონტაჟო ან საამწყობო ობიექტი მუდმივ დანესებულებად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არსებობს 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საქართველოს მიერ ხელშეკრულ სახელმწიფოებთან გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრულია ვადები, რომელთა საფუძველზეც, სამშენებლო მოედანი, სამონტაჟო ან საამწყობო ობიექტი, ამ ქვეყნების არარეზიდენტი პირებისათვის ითვლება მუდმივ დანესებულებად.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შემოსავლის და კაპიტალის საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საქართველოს მიერ 52 სახელმწიფოსთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს შორის, 6 თვიდან საგადასახადო დაბეგვრის რეჟიმში მოქცეულია 32 სახელმწიფო, 9 თვიდან - 11 სახელმწიფო, 12 თვიდან - 8 სახელმწიფო, 90 - დღიდან 1 სახელმწიფო.

სწორედ, აღნიშნული ვადები იძლევა სამართლებრივ საფუძველს, ამ ქვეყნების რეზიდენტი პირების მიმართ, რომლებიც პრაქტიკულად თავიანთ საქმიანობას, როგორც არარეზიდენტი პირები, ფაქტიურად ახორციელებენ საქართველოში, ანუ წყაროს ქვეყანაში, წარმოიშვას საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის ვადები საქართველოს მიერ ხელშეკრულ სახელმწიფოებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით განსხვავებულია. 2007 წლის 21 დეკემბერს, საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის

შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, გაფორმებული შეთანხმების მე-5 მუხლის მე-3 ქვეპუნქტით, სამშენებლო მოედანი, სამონტაჟო ან საამწყობო ობიექტი მუდმივ დანესებულებად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არსებობს 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

შესაბამისად, სამუშაოებზე, რომელიც განხორციელებულია გერმანიის რეზიდენტი პირის მიერ საქართველოში 6 თვემდე პერიოდში, განთავისუფლებულია საგადასახადო ვალდებულებებისაგან. შესაბამისად, არარეზიდენტი პირები, საგადასახადო ვალდებულებების წარმოქმნის ვადის გადავადების მიზნით, დაინტერესებულნი არიან მუდმივი დანესებულების წარმოქმნის ვადები გადაწიონ მაქსიმალურად შესაძლებელი დროით. საქართველო კი პირიქით, როგორც წყაროს ქვეყანა, ყველაფერს უნდა აკეთებდეს იმისათვის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ინტერესებიდან გამომდინარე აღნიშნული ვადები მაქსიმალურად შეამციროს.

საქართველოში უცხოური სანარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივ დანესებულებად ითვლება განსაზღვრული ადგილი, რომლის გამოყენებითაც ეს პირი ნაწილობრივ ან მთლიანად ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში, რწმუნებული პირის საქმიანობის ჩათვლით. ამასთან, სამშენებლო მოედანი, სამონტაჟო ან საამწყობო ობიექტი, აგრეთვე მათთან დაკავშირებული საკონტროლო საქმიანობის განხორციელება, უთანაბრდება მუდმივ დანესებულებას. სამშენებლო მოედნის ქვეშ იგულისხმება, მშენებლობის დოკუმენტებით

განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც აუცილებელია სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისა და მომსახურებისათვის. სამოდელი კონვენციებით, სამშენებლო მოედნის ქვეშ, შენობების აშენებასთან ერთად, იგულისხმება გზების, არხების, ხიდების მშენებლობა, მიწების გაყვანა, მიწასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოების შესრულება.¹

სამოდელი კონვენციების მიხედვით, მუდმივ დაწესებულებებს არ მიეკუთვნება:

ა) ობიექტები, რომლებიც გამოიყენება სანარმოს კუთვნილი საქონლის ან ნაკეთობების მხოლოდ მარაგად შენახვის, დემონსტრირების ან მიწოდების მიზნით;

ბ) სანარმოს კუთვნილი საქონლის ან ნაკეთობების მარაგები, რომლებიც სანარმოს გააჩნია მხოლოდ შენახვის, დემონსტრირების ან მიწოდების მიზნით;

გ) სანარმოს კუთვნილი საქონლის ან ნაკეთობების მარაგები, რომლებიც სანარმოს გააჩნია მხოლოდ სხვა სანარმოების მიერ მათი გადამუშავების მიზნით;

დ) საქმიანობის მუდმივი ადგილი, რომელიც სანარმოს გააჩნია მხოლოდ ნაკეთობების და საქონლის შესყიდვის ან მისთვის ინფორმაციის შეგროვების მიზნით;

ე) საქმიანობის მუდმივი ადგილი, რომელიც სანარმოს გააჩნია მხოლოდ მოსამზადებელი ან დამხმარე ხასიათის ნებისმიერი სხვა სახის საქმიანობის განხორციელების მიზნით;

ვ) საქმიანობის მუდმივი ადგილი, რომელიც სანარმოს გააჩნია მხოლოდ იმ პირობით, რომ საქმიანობის ამ მუდმივი ადგილიდან წარმოებულ საერთო საქმიანობას აქვს მოსამზადებელი ან დამხმარე ხასიათი.

თუ პირი, გარდა დამოუკიდებელი სტატუსის მქონე აგენტისა, მოქმედებს სანარმოს სახელით, აქვს და ჩვეულებრივ იყენებს ხელშემკვრელ სახელმწიფოში სანარმოს სახელით კონტრაქტების გაფორმების უფლებამოსილებას, მაშინ ეს სანარმო, ამ პირის მიერ სანარმოსთვის განხორციელებულ ნებისმიერ საქმიანობასთან მიმართებით, განიხილება ამ სახელმწიფოში მუდმივი დაწესებულების მქონედ, თუ ამ პირის საქმიანობა არ შემოიფარგლება საქმიანობით, რომელიც ამ საქმიანობის ფიქსირებული ადგილის მეშვეობით განხორციელების შემთხვევაში არ გადააქცევს საქმიანობის ასეთ ფიქსირებულ ადგილს მუდმივ დაწესებულებად.

სანარმო არ განიხილება მუდმივი დაწესებულების მქონედ ხელშემკვრელ სახელმწიფოში, თუ ის თავის საქმიანობას ამ სახელმწიფოში ახორციელებს ბროკერის, კომისიონერის ან დამოუკიდებელი სტატუსის მქონე ნებისმიერი სხვა აგენტის მეშვეობით, იმ პირობით, თუ ეს პირები მოქმედებენ თავიანთი ჩვეული პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.

ის ფაქტი, რომ ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანია აკონტროლებს ან კონტროლდება მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანიის მიერ ან, რომელიც ახორციელებს საქმიანობას ამ მეორე სახელმწიფოში (მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან სხვა სახით), თავისთავად არ

გადააქცევს ერთ-ერთ ამ კომპანიას მეორის მუდმივ დაწესებულებად.

ქვეყნებს შორის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ მიღწეულ შეთანხმებებს საფუძვლად უდევს, სწორედ, მუდმივი დაწესებულების ცნება.

იმისათვის, რომ განისაზღვროს ერთი სახელმწიფოს უფლება განხორციელოს სანარმოს მოგების (შემოსავლის) დაბეგვრა მეორე სახელმწიფოში, აუცილებელია არარეზიდენტი პირს წყაროს ქვეყანაში ჰქონდეს მუდმივი დაწესებულება (წარმომადგენლობა).

მუდმივი დაწესებულების მეშვეობით შემოსავლების (მოგების) დაბეგვრისას, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამოდელი კონვენციისაგან განსხვავებით, გაერთიანებული ერების სამოდელი კონვენცია უპირატესობას ანიჭებს განვითარებად ქვეყნებს. ეს გამოიხატება იმაში, რომ განვითარებად ქვეყნებს განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებით ეძლევათ შესაძლებლობა გააფართოონ „მუდმივი დაწესებულების“, როგორც თანამედროვე ტრანსნაციონალური კორპორაციების საგადასახადო ბაზის განსაზღვრის არეალი.

ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განხორციელებისას საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის არარსებობა ხელს უშლის საერთაშორისო ბიზნესსაქმიანობის წარმოების მასშტაბების ზრდას, რაც გამოიხატება კაპიტალის თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვაში, არაჯანსაღი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში, შრომის დანაწილების საერთაშორისო ბაზარზე დეფიციტის შექმნაში. თავის მხრივ, ეს ქვეყნის შიგნითაც ართულებს გადასახადების ადმინისტრირების პროცესს, რაც ცხადია, უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ბიუჯეტის შევსებაზე და, საბოლოო ჯამში, აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. აქედან გამომდინარე, ქვეყნების და, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარების, ქვეყნის ეკონომიკური და შესაბამისად, პოლიტიკური სტაბილურობის მყარი ფუნდამენტის შესაქმნელად, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების არსებული მექანიზმის შემდგომი სრულყოფა.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების საწყისად, ქვეყნებს შორის საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების დასარეგულიერებლად და საერთაშორისო ვაჭრობის შემდგომი გაფართოების მიზნით, საჭიროა ქვეყნებს შორის ფორმდებოდეს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებები, რომლებშიც საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით გათვალისწინებული იქნება ხელშემკვრელი სახელმწიფოების და ცხადია, იგულისხმება უშუალოდ გადასახადის გადამხდელის ინტერესები.

საკითხის არსის გახსნისა და აზრის შემდგომი განვითარებისთვის საჭიროა შევხვით საკუთრივ ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულების სტატუსს, რას ნიშნავს ან რა არის ეს ხელშეკრულება.

1 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 29.



საერთაშორისო სამართალში აღიარებული განმარტების თანახმად, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულება (E. Treaties for avoiding double taxation), ესაა „საერთაშორისო ხელშეკრულება ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის, რომლითაც ხელშეკრულ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე უცხო ფიზიკური და იურიდიული პირები (კომპანიები) თავისუფლდებიან მოვალეობისაგან, უხადონ შემოსავლიდან, მოგებიდან გადასახადი, როგორც ადგილსამყოფელ სახელმწიფოს, ასევე თავის სახელმწიფოსაც ან სახელმწიფოს, სადაც ისინი რეგისტრირებული არიან (კომპანიის იურიდიული მისამართი). ამ ხელშეკრულებით მათ ეძლევათ უფლება, გადაუხადონ ეს თანხები მხოლოდ ერთ-ერთ სახელმწიფოს“¹.

ქვეყნებს შორის საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ არარეზიდენტი იურიდიული პირი, უპირველეს ყოვლისა, დაიბეგროს შემოსავლის წყაროს ქვეყანაში, რეზიდენტი ქვეყნის მიერ კი მოხდეს, არარეზიდენტი სანარმოს მიერ წყაროს ქვეყანაში გადახდილი გადასახადის ჩათვლა. საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების დადების მთავარი პრინციპია ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება და ხელშეკრულების ხელმოწერი სახელმწიფოების მიერ ერთი და იგივე შემოსავლის ორჯერ დაბეგვრის გამორიცხვა.

საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება ეხება, ერთი მხრივ, კონკრეტული ქვეყნის რეზიდენტ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც შემოსავალს იღებს სხვა ქვეყანაში, ან ამ ქვეყანაში გააჩნია კაპიტალი, მეორე მხრივ, კი სხვა

ქვეყნის რეზიდენტ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც შემოსავალს იღებს წყაროს ქვეყანაში, ან წყაროს ქვეყანაში გააჩნია კაპიტალი და იმავდროულად წყაროს ქვეყანაში ითვლება, როგორც არარეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ამ მოცემულობიდან გამომდინარე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ქვეშ იგულისხმება პროცესი, როდესაც ერთი სახელმწიფოს, მაგალითად, საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ეწევა ბიზნესსაქმიანობას სხვა სახელმწიფოში, ვთქვათ, გერმანიაში, ერთსა და იმავე შემოსავალზე ან ქონებაზე გადასახადს იხდის, როგორც საქართველოში, ასევე გერმანიაში. ასეთ შემთხვევაში, თუ საქართველოსა და გერმანიას შორის არსებობს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულება, მაშინ იქმნება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესაძლებლობა და გადასახადის გადახდა მოხდება ერთ-ერთ სახელმწიფოში.

საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრა და, შესაბამისად, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების პრინციპი, ზოგადად საფუძვლად უდევს საერთაშორისო საგადასახადო დაგეგმვას. საერთაშორისო საგადასახადო დაგეგმვის აუცილებლობას განაპირობებს ქვეყნების მონაწილეობა საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. საგადასახადო დაგეგმვა, როგორც სამენარმეო-ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური დაგეგმვის განუყოფელი ნაწილი გულისხმობს ცალკეული მენარმე სუბიექტების მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის რეგულირების პროცესს. ეს, ერთი მხრივ, მოიცავს პროგნოზირებული საგადასახადო ვალდებულებების სიდიდის დასაბუთებას და მართვას, მეორე მხრივ, კი უფლებას კანონის ფარგლებში მოახდინოს საგადასახადო ვალდებულებების შემცირება. მაშასადამე, საგადასახადო დაგეგმვის ქვეშ იგულისხმება სანარმოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვის ისეთი მექანიზმის შე-

1 ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი-ცნობარი / [ავტ.: ლ. ალექსიძე (რედ.), ლ. გიორგაძე, მ. კვაჭაძე და სხვ.] - თბ., 2005 - 283გვ. ; 23სმ. - ISBN 99940-0-877-3 : [ფ.ა.]

საგადასახადო პოლიტიკა

მუშავება, რომელიც უზრუნველყოფს გადასახადების მინიმიზაციას. საგადასახადო დაგეგმვაში მნიშვნელოვანია საგადასახადო ვალდებულებების მინიმიზაცია, რაც შესაძლებელია განხორციელდეს: საგადასახადო ბაზის შემცირებით; საგადასახადო განაკვეთების შემცირებით ან უცხოურ კაპიტალზე შეღავათების დანესებით, რაც გულისხმობს პირის რეზიდენტობის ცვლილებას.

გადასახადების ოპტიმიზაცია თავის თავში მოიცავს გადასახადების მინიმიზაციასაც და საგადასახადო ხარჯების ეკონომიის ან ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების უცვლელი პირობებში, გულისხმობს მენარმე სუბიექტის ფინანსური შედეგების ზრდას. საერთო ჯამში, გადასახადების ოპტიმიზაციის პროცესი ხელს უწყობს საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობების გაფართოებას და ქვეყანაში საინვესტიციო კლიმატის გაჯანსაღებას. აქედან გამომდინარე, ქვეყნის შიგნით წარმოებული საგადასახადო დაგეგმვისაგან განსხვავებით, საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების უფრო მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საერთაშორისო საგადასახადო დაგეგმვა, რამდენადაც ის მოიცავს მექანიზმებს, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება ე.წ. თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში საშეღავათო საგადასახადო სისტემების გამოყენებით, ასევე, ინვესტიციების განხორციელება ქვეყნებში, სადაც საგადასახადო განაკვეთები დივიდენდებზე, პროცენტებზე, როიალტზე შედარებით დაბალია, ან საერთოდ განთავისუფლებულია დაბეგვრისაგან.

ეკონომიკურად წარმატებული ქვეყნებისთვის საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების საგადასახადო რეგულირებისთვის, საყურადღებო და მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის ტრანსფერული ფასწარმოქმნის პოლიტიკას. ტრანსფერული ფასწარმოქმნა დაკავშირებულია მულტინაციონალურ კომპანიებთან. ტრანსფერული ფასების, როგორც ფასების ერთ-ერთი ნაირსახეობის, გამოყენება ხდება შიდასაფირმო ანგარიშსწორებების დროს. ფირმებს შიგნით ერთმანეთისათვის კაპიტალის, საქონლის და მომსახურების მიწოდებისას ისინი მიზანმიმართულად იყენებენ ფასების ისეთ სისტემას, სადაც შესაძლებელი ხდება მიწოდების ფასების ზრდა ან შემცირება. მიღებული მოგების დაბალგანაკვეთიან ან საშეღავათო ქვეყნის საგადასახადო იურისდიქციაში გადატანით, ამ ქვეყნების ბიუჯეტების საზიანოდ, კომპანიებს შეუძლიათ გაზარდონ საკუთარი ეკონომიკური სარგებელი.

აღნიშნული პროსექცი ისეთი ქვეყნის ბიუჯეტისათვის, როგორც საქართველოა, ინვესს უარყოფით ფექტს. კერძოდ:

- ა). თუ საქართველოს რეზიდენტი კომპანია სხვა ქვეყანაში მყოფ სათაო კომპანიას საქონელს მიჰყიდის საბაზრო ფასზე უფრო დაბალი ფასით, მაშინ შესაბამისი მოგების ნაწილი გადაიტანება სხვა ქვეყანაში და საქართველო ვერ დაბეგრავს მოგების იმ ნაწილს;
- ბ). თუ საქართველოს რეზიდენტი კომპანია სხვა

ქვეყანაში მყოფ სათაო კომპანიას საქონელს მიჰყიდის საბაზრო ფასზე უფრო დაბალი ფასით, იმ მოტივით, რომ საქართველოში მოგების გადასახადი უფრო მაღალია, ვიდრე სათაო კომპანიის ქვეყანაში, მაშინაც შესაბამისი მოგების ნაწილი გადაიტანება სხვა ქვეყანაში და საქართველო ვერ დაბეგრავს მოგების ამ ნაწილს;

გ). თუ საქართველოს რეზიდენტი კომპანია სხვა ოფშორულ ქვეყანაში მყოფ სათაო კომპანიას საქონელს მიჰყიდის საბაზრო ფასზე უფრო დაბალი ფასით, მაშინაც შესაბამისი მოგების ნაწილი გადაიტანება სხვა ქვეყანაში და საქართველო ვერ დაბეგრავს მოგების ამ ნაწილს;

დ). თუ საქართველოს რეზიდენტი კომპანიას სხვა ქვეყანაში მყოფი სათაო კომპანია საქონელს მიჰყიდის საბაზრო ფასზე უფრო მაღალი ფასით, მაშინაც შესაბამისი მოგების ნაწილი გადაიტანება სხვა ქვეყანაში და საქართველო ვერ დაბეგრავს მოგების ამ ნაწილს;

ე). თუ საქართველოს რეზიდენტი კომპანიას სხვა ქვეყანაში მყოფი სათაო კომპანია უწევს მომსახურებას, მაგალითად, აძლევს სესხებს ან გადასცემს ინტელექტუალური საკუთრების გამოყენების უფლებას საბაზრო ფასზე უფრო მაღალი ფასით, მაშინაც შესაბამისი მოგების ნაწილი გადაიტანება სხვა ქვეყანაში და საქართველო ვერ დაბეგრავს მოგების ამ ნაწილს.¹

თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებით კი ეკონომიკური კრიზისების გათვალისწინებით, აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ბრძოლა გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით, დაბალ-ტარიფიანი გადასახადების იურისდიქციებში აქტიურად მიმდინარეობს ინფორმაციის ურთიერთგაცვლასა და არაჯანსაღ საგადასახადო კონკურენციასთან ბრძოლასთან დაკავშირებით სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის მეტად რთული პროცესი.

გაერთიანებული ევროპისთვის არაჯანსაღი საგადასახადო კონკურენციის პრობლემა კვლავაც აქტუალურია. ამასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 1970-იანი წლების ბოლოდან მომდინარეობს საგადასახადო ჰარმონიზაციის პროცესი (tax harmonization). ევროკავშირის ქვეყნების საგადასახადო სისტემების ჰარმონიზაციის ფარგლებში, ორმაგი საერთაშორისო დაბეგვრის პრობლემების გადასაწყვეტად, კავშირის ქვეყნები ლებულობენ დირექტივებს, რომელთა საფუძველზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს ეროვნული კანონმდებლობაში შემოაქვთ ნორმები, რომლებიც ამ სახელმწიფოებს შორის შემოსავლებისა და კაპიტალის მრავალჯერადი დაბეგვრის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

შემოსავლის და კაპიტალის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების და გადასახადების გადაუხდელობის მარეგულირებელი სამოდელო კონვენციების თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზის შესწავლა იძლევა საშუალებას გაკეთდეს დასკვნა იმის შესახებ, რომ ორივე სამოდელო კონვენციის მიდგომები აღ-

¹ ურიდია გ., საერთაშორისო დაბეგვრა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014, გვ. 533-534.



ნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით თანხვედრაშია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში იკვეთება არსებითი განსხვავებებიც. კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამოდელო კონვენციის მიხედვით:

➤ სამშენებლო უბნის მუდმივ დაწესებულებად აღიარების კრიტერიუმად საკმარისია 6 (ექვს) თვემდე პერიოდი და არა 12 (თორმეტ) თვემდე, როგორც ეს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების (OECD) სამოდელო კონვენციითა გათვალისწინებული. ამასთან, ცალსახად განსაზღვრულია, რომ ტერმინი „მუდმივი დაწესებულება“ გულისხმობს, ასევე: საამწყო საამქროს და სამშენებლო ფართის, სამშენებლო, სამონტაჟო და საამწყო ობიექტების საზედამხედველო საქმიანობას.

ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა დაბეგვრის მიზნებისთვის იმთავითვე უპირატესობას ანიჭებს განვითარებად ქვეყნებს;

➤ საწარმოს მიერ საკუთარი თანამშრომლებით ან სხვა პერსონალით განეული მომსახურების განვესას მუდმივი დაწესებულების შექმნა საჭიროა ისეთ შემთხვევებში, როდესაც ასეთი საქმიანობა ხორციელდება 183 დღე ნებისმიერი უწყვეტი 12 თვიანი კალენდარული პერიოდის განმავლობაში ან მთავრდება ფინანსური წლის შესაბამისად. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მოხდეს არარეზიდენტი პირის დაბეგვრა სამართლებრივი წესით;

➤ ორივე სამოდელო კონვენციის მიხედვით, „დამოუკიდებელი მენარდეების მომსახურება“, ითვალისწინებდა პროფესიული მომსახურების განევას ან სხვა დამოუკიდებელი ხასიათის საქმიანობის განხორციელებას. დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისათვის კი „მუდმივი დაწესებულების“ ცნების ნაცვლად გამოიყენებოდა ცნება - „მუდმივი ბაზა“. მუდმივი ბაზის ქვეშ იგულისხმება ადგილი, სადაც არარეზიდენტი

ფიზიკური პირი ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას. იმის გამო, რომ აღნიშნულ ცნებებს შორის შინაარსობრივად არ იკვეთებოდა მნიშვნელოვანი სხვაობა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამოდელო კონვენციიდან, აღნიშნული ნორმა ამოღებულია და მოგების გადასახადთან დაკავშირებული რეგულაციები გაერთიანებულია მუხლში - „მუდმივი დაწესებულება“. გაერთიანებული ერების სამოდელო კონვენციაში კი ეს ნორმა დარჩა იმის გათვალისწინებით, რომ თუნდაც მცირედი შინაარსობრივი განსხვავებებისა, მათი უგულვებლყოფა გამოიწვევდა წყაროს ქვეყნების (განვითარებადი ქვეყნების) უფლებების შელახვას. აღნიშნული ფაქტი დამატებითი მოტივაციაა განვითარებადი ქვეყნებისათვის;

➤ მოსამზადებელი და დამხმარე საქმიანობის ობიექტების ჩამონათვალში, რომლებიც, როგორც წესი, ითვლება რომ არ წარმოადგენენ მუდმივ დაწესებულებას, გამოტოვებულია კატეგორია - „საქონლის მიტანა“, მაშინ როდესაც საქმიანობის ეს სახე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამოდელო კონვენციის მიხედვით ფიქსირდება აღნიშნულ ჩამონათვალში, რაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამოდელო კონვენციისაგან განსხვავებით, გაერთიანებული ერების სამოდელო კონვენციით განაპირობებს მუდმივი დაწესებულების შექმნას. მუდმივი დაწესებულების შექმნა კი, აუცილებელია არარეზიდენტი პირის სამართლებრივი დაბეგვრისთვის;

➤ „დაქირავებით მომუშავე აგენტის“ მოქმედება უთანაბრდება მუდმივ დაწესებულებას, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას არა აქვს უფლება და ჩვეულებრივ არ შეუძლია განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმება, საწარმოს სახელით. აღნიშნული პრინ-

ციპის რეალიზაციისას, დაბეგვრას ექვემდებარება არარეზიდენტი სანარმოს საქმიანობის ყველა სახე, მიუხედავად საქმიანობის ფორმისა;

➤ ნებადართულია კონვენციაში ჩაირთოს სპეციალური დებულება იმ შემთხვევების დასარეგულირებლად, როდესაც მუდმივი დაწესებულების შექმნა უკავშირდება სადაზღვევო საქმიანობის განსახორციელებას. ეს კი საშუალებას აძლევს წყაროს ქვეყანას მიიღოს დამატებითი შემოსავლები;

➤ დამოუკიდებელი აგენტი, რომელიც მოქმედებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების (OECD) სამოდელო კონვენციისაგან განსხვავებით, როგორც წესი, არ ქმნის მუდმივ დაწესებულებას იმ სანარმოებისათვის, ვისი სახელთაც იგი მოქმედებს, რამდენადაც ეს აგენტი ფაქტიურად ეწევა საკუთარ სამეწარმეო საქმიანობას.

ქვეყნებს შორის საეჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების, საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების და ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მომავალში დღის წესრიგში აუცილებლად დადგება საკითხი ასეთი განსხვავებების თანდათანობითი

ჰარმონიზაციის შესახებ და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მეთოდოლოგიური და მეთოდური საფუძვლები ქვეყანაში უნდა ეყრდნობოდეს გაეროს სამოდელო კონვენციას, რამდენადაც ის აგებულია გადასახადების დაბეგვრის ტერიტორიულობის პრინციპზე და გამოიყენება პოლიტიკურად და ეკონომიკურად თანაბრად განვითარებულ ქვეყნებთან ურთიერთობაში. ამით უფრო მეტად უზრუნველყოფილია და დაცულია შემოსავლის „წყაროს ქვეყანის“ (ინვესტიციის მიმღების) საგადასახადო სამართალი „რეზიდენტი ქვეყანის“ (ინვესტორი ქვეყანის) საგადასახადო სამართალთან მიმართებაში.

მიუხედავად ცალკეული წინააღმდეგობრივი მიდგომებისა, შეიძლება ითქვას, რომ შემოსავლისა და კაპიტალის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების (OECD) წევრი ქვეყნების და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამოდელო კონვენციებმა უდიდესი როლი შეასრულეს საერთაშორისო სახელშეკრულებო პრაქტიკის განვითარების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (კოდიფიცირებული)
2. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამოდელო კონვენცია (OECD) (სამოდელო საგადასახადო კონვენცია შემოსავალზე და კაპიტალზე, 2008 წლის 17 ივლისი);
3. გაეროს სამოდელო კონვენცია ორმაგი დაბეგვრის საკითხებზე განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ-იორკი 2013;
4. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი-ცნობარი / [ავტ.: ლ. ალექსიძე (რედ.), ლ. გიორგაძე, მ. კვაჭაძე და სხვ.] - თბ., 2005 - 283გვ. ; 23სმ. - ISBN 99940-0-877-3 : [ფ.ა.]
5. ურიდა გ., საერთაშორისო დაბეგვრა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014, გვ. 533-534.
6. Rs.ge;
7. Mof.ge;
8. <https://matsne.gov.ge>

THEORETICAL-METHODOLOGICAL PRIORS OF AVOIDING A DOUBLE TAXATION

Vasil Khanishvili

Ph.D student of Business and economics faculty of Sokhumi State University.

RESUME

The article is about the issues of theoretical-methodological aspects of avoiding a double taxation. In regard to this, it's noted, that in modern conditions theoretical-methodological basis of avoiding double taxation is compiled by model convention of Organization for Economic Co-operation and Development (OECD) and provisions elaborated by United Nations' model conventions about double taxation issues for developed and developing countries. On the base of those conventions, double taxation avoiding international bilateral agreements are made, in most cases, in the detriment of the developing countries. Exactly, aforementioned model conventions determine principles, forms and methods of double taxation avoidance.

უპატრონო მიწა, ხიზნები და სტარტუპი მდბარი ახალი ჯაყოები!

ღვთის მადლით, საქართველომ სახელმწიფოებრიობა მე-20 საუკუნის მიწურულს კვლავ დაიბრუნა, მაგრამ დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე უმძიმესი საბჭოური მემკვიდრეობით დატოვებულ სახელმწიფო პრობლემათა თითქმის გამოუვალ მორევში აღმოჩნდა!

ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური პრობლემა, რაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველომ დღემდე ვერ მოაგვარა, სწორედ მიწის საკითხია.

მართალია, საბჭოური საერთო-სახალხო საკუთრება მიწაზე დასრულდა, მაგრამ ამ საკუთრების მემკვიდრე ქართულმა სახელმწიფომ მიწის ჯეროვნად პატრონობა დღემდე ვერ მოახერხა.

რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ჯეროვანი პატრონობა უნინარესად ის იქნებოდა, რომ ქვეყანა მძიმე მემკვიდრეობიდან საბოლოოდ გათავისუფლებულიყო, „საერთო-სახალხო“, ე.ი. აბსტრაქტული მიწათმფლობელობისგან ხელი აეღო და რაც მთავარია: კერძო და სათემო მიწათმფლობელობის ქართული წეს-რიგი ახალ ვითარებაში პრაქტიკულად თავიდან, ხელახლა დაემკვიდრებინა!

მართალია, 90-ანი წლების დასაწყისში აგრარული რეფორმის გასატარებლად პირველი ნაბიჯები გადაიდგა, როცა სასოფლო მიწა მის ნამდვილ პატრონებს - ქართველ გლეხებს საკუთრებაში დაუბრუნდათ, მაგრამ ამ რეფორმას განვითარება არ მოჰყოლია: მიწის უდიდესი ნაწილი, რომელიც აბსტრაქტულ საერთო-სახალხო საკუთრებას წარმოადგენდა, ამჟამად სახელმწიფო საკუთრებისაა და ვაი, რომ მას დღემდე არ გამოსჩენია ჯეროვანი პატრონი!

სათემო საკუთრება მიწაზე არ აღდგენილა და კონკრეტული შინაარსი მიწაზე საზოგადოებრივ საკუთრებას დღემდე არა აქვს - სახელმწიფო მიწა ძირითადად უქმად მიტოვებული, გამოუყენებელი და დაურეგისტრირებელია, იგი მხოლოდ გასაყიდად, გასასხვიებლად თუ გაახსენდებათ ამ მიწის განმკარგავ ვაი-პატრონებს!

საუბედუროდ, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ქართულ თემს უმთავრესი უფლებები არ დაბრუნებია - იგი მესაკუთრე სამართალ-სუბიექტს დღემდე არ წარმოადგენს! ხოლო სათემო ქონებას მოკლებული სოფელი უკვე ქართული სოფელი კი არა, არამედ ბედისწერას მინებებული დასახლებაა, სადაც მკვიდრი თემი კი არ სახლობს, არამედ სწორედაც რომ ხიზნები!

სოფლისთვის თავის დროზე წართმეული სათემო ქონება, მართალია, „საერთო-სახალხო საკუთრებად“ აღარ იწოდება, მაგრამ რა ბედენაა? იგი ფორმალურად სახელმწიფოს მიერ მიღებულ იმ ქონებრივ მემკვიდრეობას წარმოადგენს, რომლის უდიდესი ნაწილი გამოუყენებელია, უსარგებლო და უარესიც: აღურ-



ვაჰტა კოლუაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი

იცხავი და დაურეგისტრირებელია, ე.ი. იურიდიულად ეს მიწა დღემდე უპატრონოა!

არასრული და არც თუ მთლად ზუსტი სტატისტიკური მონაცემებით, უკანასკნელი მიწის ბალანსის მიხედვით, რომელიც 2004 წლის შემდგომ საერთოდ აღარც იწარმოება (?!), სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით!) შეადგენდა 3025,8 ათას ჰექტარს, მათ შორის, სახნავი - 802,1 ათას ჰექტარს, მრავანლიანი ნარგავები - 263,5 ათას ჰექტარს, სათიბი - 143,5 ათას ჰექტარს და საძოვარი - 1796,6 ათას ჰექტარს.

ეს სტატისტიკა სისტემური მიწათ-მონეობის წარმოების შედეგად დამუშავებულ, ობიექტურ საკადასტრო მონაცემებს კი არ ასახავს, არამედ საბჭოური დროის მონაცემების კორექტირების (ღმერთმა უწყის - რა მეთოდოლოგიით) შედეგია.

ასეა თუ ისე, საბჭოთა დროს მიწა აღირიცხებოდა და მიწათ-მონეობაც, მართალია, საბჭოური წესით, მაგრამ მაინც წარმოებდა. სავალალოა, რომ დღეს საქართველო იმ ველურ ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება (ისიც საკითხავია, შემორჩა კი დედამიწაზე მსგავსი ქვეყანა?), სადაც მიწათსარგებლობის კადასტრი არ არსებობს, ხოლო, მიწის უფლებრივი კადასტრი („საჯარო რეესტრი“) უმძიმეს მდგომარეობაშია:

ბოლო მონაცემებით აღრიცხული და დარეგისტრირებულია მხოლოდ 1070, 5 ათასი ჰა სასოფლო მიწა, ამ დარეგისტრირებული მიწიდან სახელმწიფო საკუთრებაშია 380, 4 ათასი ჰა!

როგორც ვხედავთ, ყველაზე ძვირფასი საუნჯის, რომელიც განუახლებად ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს და თანასწორად ეკუთვნის ქართველთა წარსულს, აწმყო და მომავალ თაობებს, უდიდესი ნაწილი,

№2 აპრილი-მაისი 2016

სოფლის მეურნეობა

ე.ი. არსებული მონაცემებით 1955,3 ათას. ჰა მიწა, ანუ სასოფლო-სამეურნეო მიწის მთლიანი ფონდის 65% (ორი მესამედი!) აღურიცხავი, დაურეგისტრირებელი და იურიდიულად უპატრონოა!

არანაკლებ სავალდებულო მდგომარეობაა არა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდის აღრიცხვიანობის თვალსაზრისითაც.

აღურიცხავობის გამო დღემდე უაღრესად რთულია იმის გარკვევა, თუ რა მოცულობის მიწა ეკუთვნის კერძო სექტორს, სახელმწიფოს და რამდენია ე.წ. რუხ ზონაში, ანუ გაურკვეველ მფლობელობაში.

უარეს დღეშია, საერთოდაც მოუწესრიგებელი და აღურიცხავია მიწათ-სარგებლობა! გულსაკლავია, რომ გეორგიანული კულტურის უძველეს ქვეყანაში დღეს მიწის მიმართ ისეთი უდიერი დამოკიდებულებაა, რომელსაც ალბათ ანალოგიც კი არ მოეპოვება თანამედროვე მსოფლიოში!

დიახ, დღეს არავინ უწყის, რეალურად რა მდგომარეობაშია საქართველოს მიწის ფონდი, სად, ვის ხელში და რამდენი გვაქვს მიწა, რისი პატრონები ვართ - რამდენი გვაქვს სახნავ-სათესი, საძოვარი და სათიბი, ბაღი, ვენახი, ბოსტანი, ტყე, წყლის ფონდის მიწა, სამრეწველო დანიშნულების, განაშენიანების, რეკრეაციის და სხვ. მიწები. აღარაფერს ვამბობთ მიწათ-მონყობაზე, რომელიც სსრკ-ს დაშლის მერე ფაქტობრივად საერთოდ მოიშალა; ანდა თუნდაც ქალაქ-გეგმარებასა და ზოგადად, ტერიტორიების სივრცით დაგეგმარებაზე, რაც სავალალო და კატასტროფულ მდგომარეობაშია! ბუნებრივია, ამ ველურ ყოფაში უსაგნო საუბარი რაიმე ეკონომიკურ წესრიგსა ან მით-უმეტეს განვითარებაზე, ოდენ მტკნარი სიცრუე, თავის მოტყუება, წყლის ნაყვია და სხვა არაფერი!

განსაკუთრებით გულსატკეპია, რომ ყველაფერთან ერთად ასევე კატასტროფულ მდგომარეობაშია მიწის სამართალიც! დღეს მოქმედ უაღრესად ფრაგმენტულ და წინააღმდეგობრივ კანონმდებლობაში საერთოდაც არ არსებობს საზოგადო, მწყობრი და ერთიანი სამართლებრივი პრინციპები, რაც მიწასთან, როგორც ქვეყნის განუახლებად და უმთავრეს რესურსთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფართო სპექტრს მოაწესრიგებდა.

პირველ ყოვლისა, ეს ეხება, მიწასთან დაკავშირებულ საკუთრებით ურთიერთობებს. დღემდე არა გვაქვს მკაფიო და დამაჯერებელი, საბოლოო პასუხი კითხვზე: ვინ შეიძლება იყოს საქართველოში მიწის მესაკუთრე?

მკითხველს კარგად მოეხსენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელთა საკუთრების საკითხთან დაკავშირებული ცხარე დებატები, რომელიც დღეს-დღეისობით საკონსტიტუციო სასამართლომ ვითომ გადაწყვიტა; ამჟამად უცხოელებს მკვიდრ მოსახლეობასთან თანასწორად და ყოველგვარი შეზღუდვის ან რაიმე წინასწარი პირობის გარეშე აქვთ საქართველოს მიწაზე საკუთრების შექმნის უფლება; ცხადია, ამ „გადაწყვეტით“ ცხარე დებატები სულაც არ დახურულა, ქართველთა დიდი უმრავლესობა ამგვარ „გადაწყვეტას“ არ დაეთანხმება და

სრულიად სამართლიანადაც!

მიწასთან დაკავშირებულ პრინციპულად გადაუწყვეტელ, ან არასწორად გადაწყვეტილ საკითხთა პრობლემურობა მხოლოდ მიწაზე უცხოელების სადავო უფლებებით არ ამოიწურება; ეს მხოლოდ აისბერგის წვერია და ზოგადად იმ ვითარების შედეგი, როცა ქვეყანა და მისი მკვიდრი მოსახლეობა მიწათ-მფლობელობისა და მიწათ-სარგებლობის მოუწესრიგებლობის გამო მიწას ჯეროვნად არ და ვერ პატრონობს!

როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნის სამართალი მკაფიო და ცალსახა პასუხს მიწის მესაკუთრე სუბიექტებზე ვერ იძლევა; ამის საბუთია თუნდაც „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონი.

კურიოზია, სამართლებრივი ნონსენსია, რომ ამ კანონის მე-4 მუხლი, რომელიც მიწის შესაძლო მესაკუთრეებს ჩამოთვლის, სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრე სუბიექტს, მხოლოდ კერძო საკუთრების ჩამორთმევისა და მალალმითან რეგიონებთან დაკავშირებით, გაკვრითა და ფრაგმენტულად მოიხსენიებს; არადა, რეალურად, ფაქტობრივი მდგომარეობით, მიწის ყველაზე მსხვილი მესაკუთრე, ცხადია, სწორედაც რომ სახელმწიფოა!

მართალია, კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“, რასაკვირველია, სახელმწიფოს მიიჩნევს სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრედ, მაგრამ ეს კანონი ზოგადადაც არა სახელმწიფო ქონებით სარგებლობას, მისი გამოყენების, მართვისა და დაცვის ჯეროვან რეჟიმებს, არამედ ოდენ სახელმწიფო ქონების განკარგვას, მის პრივატიზებას ანდაც სარგებლობის უფლებით გადაცემას აწესრიგებს!

ეს თავისთავადაც კიდევ ერთი უმძიმესი ფუნდამენტური პრობლემაა: მართლაც, როგორ წარმოგიდგინიათ ყველაზე მსხვილი და საჯარო მიზნების განმახორციელებელი მესაკუთრე ქვეყანაში, რომელიც, როგორც ირკვევა, არა საკუთარი ქონების მოვლასა და სწორ მართვაზე, არამედ, კანონის თანახმად, თურმე მხოლოდ იმაზე უნდა ზრუნავდეს, ეს ქონება და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი - მიწა, როგორმე თავიდან მოიშოროს და ნებისმიერ მსურველს მიყიდოს, ან სულაც გააჩუქოს კიდევც!

უარესი კურიოზია, რომ არც „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონით, არც ტყის და წყლის კოდექსებით მუნიციპალიტეტი საერთოდაც არ მოიხსენიება, როგორც მესაკუთრე სუბიექტი (?!); არადა, იმისათვის, რომ საზოგადოებრივ, საჯარო ქონებას ჯეროვანი პატრონი გამოუჩნდეს, რათა მან საზოგადო სარგებელი მოიტანოს, სახელმწიფო საკუთრების დეცენტრალიზაციას (ე.ი. სახელმწიფო ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემას) გაცილებით უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ქონების პრივატიზაციას!

სავალალოა, რომ მსგავსი კურიოზებით ძალზე „მდიდარია“ ჩვენი კანონმდებლობა. თუნდაც მართლ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ის ნორმა რად ღირს (იხ. ამ კოდექსის 107-ე მუხლის მე-4 ნაწ.), რომლის თანახმადაც, მიწაზე



საკუთრების უფლება სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტს შორის „შეჯიბრზე“ ხდება დამოკიდებული: თურმე უპატრონო მიწა იმისი იქნება, ვინც მის რეგისტრაციას დაასრულეს (?!), ზუსტად ისე, როგორც ეს „ველურ დასავლეთში“, ამერიკის კოლონიზირების დროს ხდებოდა!

იმის გამო, რომ სათემო საკუთრება მიწაზე დღემდე არ არსებობს, საბჭოთა დროიდან ხიზნებად ქცეული ქართველები ისევ ხიზნებადვე არიან დარჩენილნი; მაგრამ, თუკი ადრე ხიზნებზე გაბოლშვიკებული ჯაყო „ზრუნავდა“, დღევანდელი ხიზნები უმეტესწილად ბედის ინაბარა არიან მიტოვებულნი.

უარესიც: მიიჩნევა, რომ მათ გაუმართლათ, თუკი სადმე ახალი ჯაყო გამოჩნდება და სოფლის საზოგადო ქონებას, როგორც ეშმაკნი უპატრონო ეკლესიას, ისე დაეპატრონება!

ეს ახალი ჯაყოები ან პატრონ-კლიენტელური ურთიერთობებით დანინაურებული აქაური ხეპრენი, ანდაც მსხნელებად შერაცხული „უცხოელი ინვესტორები“ არიან. რალაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა მამულის გაყიდვა ქვეყანაში ყველაზე მომგებიან „ინვესტირებად“ არის მიჩნეული!

რა თქმა უნდა, ასეთი ლიკვიდატორულ-გამყიდველური პოლიტიკის ავტორ-შემოქმედნი საქართველოს დღევანდელი ხელისუფალნი არ არიან. „ყველაფერი იყიდება, სინდისის გარდა“ - ეს წინა ხელისუფლების, სააკაშვილის კორპორაციის „საავტორო გამოგონებაა“.

თანამედროვე ჯაყოთა-ჯაყოს, რომელიც თავის დროზე შევარდნაძის ხიზანი იყო და მერე ქვეყანას დაეპატრონა - სააკაშვილის კორპორაციას საკუთარი სარგებლისთვის მართლაც ყველაფრის, არა მხოლოდ მიწის, ალბათ დედა-მშობლისაც კი, გაყიდვა შეეძლო; ყოველივეს ჰყიდდა კიდევ, გარდა, რასაკვირველია, სინდისისა, რადგან ეს უკანასკნელი მას საერთოდაც არ გააჩნდა!

ამ გამყიდველური პოლიტიკის გამოხატულებას

წარმოადგენდა როგორც მიწათ-მფლობელობის, ასევე მიწათ-სარგებლობის პრინციპული მოუნესრიგებლობაც, რადგან უპატრონოს გაყიდვა უფრო იოლია, როცა არც კანონიერი მფლობელი, არც კანონმდებლობა და არც მიწის კადასტრი ხელს არ შეეგიშლის!

დღევანდელმა ხელისუფლებამ ერთი ხანობა თითქოს შეაჩერა ეს გამყიდველური პროცესი, მაგრამ მხოლოდ დროებით! საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ მიწის უსისტემო და ქაოტური გაყიდვა უკვე 2014 წლის მაისიდან ისევ განახლდა. როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ 2014 წლის მაისში სახელმწიფომ გასაყიდად გამოიტანა 172 ათასი ჰა სასოფლო მიწა, რომელსაც მუქთად - 1 ჰექტარს 672 ლარად ნებისმიერ მსურველზე ასხვისებდა (იხ. გაზ. „რეზონანსი“ 01.07.2014წ. http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=3&id_artc=20860).

მიწა დღესაც ჩალის ფასად იყიდება და უსასყიდლოდაც, არც თუ იშვიათად, ძღვენადაც კი რიგდება (გაიხსენეთ თუნდაც ციხისძირის ბოლო მაგალითი)! ქართველობას ხელიდან მამული ისევე ეცლება, როგორც ეს თავის დროზე ნიკო ლორთქიფანიძემ დაიცირა!

საყურადღებოა ისიც, რომ დღეს, როგორც არასდროს, გლობალიზაციისა და პოსტ-ინდუსტრიალიზმის ეპოქაში, მიწას, არაეფექტიანად გამოყენების შემთხვევაში, უგერგილო მფლობელისთვის ფასი კატასტროფულად სწრაფად ეკარგება! ამ ძვირფას რესურსს, თანაც არაჯეროვანი გამოყენებით გაუფასურებულს, უპატრონოდ არავეინ დატოვებს!

თუ თავადვე არ მივხედავთ და არ მოუვლით, თუკი ხიზნებიდან ისევ პატრონებად ვერ ვიქცევით, ახალი ჯაყო უკვე ჩასაფრებულთა, სტარტზეა და დიდხანს არ გვალოდინებს!

მისგან თავის დახსნა კი უფრო რთული იქნება და ვინ იცის, ეგებ შეუძლებელიც!

არის გამოსავალი? რასაკვირველია! ამ გამოსავალზე შემდგომ წერილში ვისაუბროთ....

თეიშურაზ ხევისთავის სინდრომი, ანუ უსხოელთა საჭიჯბნად მიბღებული ქართული მინა!

მინათ-მფლობელობისა და მინათ-სარგებლობის მოუწესრიგებლობას, უპატრონოდ შთენილი საქართველოს მიწის ფონდის განიავებასა და ყოვლად უსისტემო, სტიქიურ გაყიდვა-გაჩუქებას სასწრაფოდ ბოლო უნდა მოელოს! თუკი არ გვინდა საკუთარ ქვეყანაში უმინაწყლო ხიზნებად დარჩენა, საჭიროა მიწის რეფორმის დაუყოვნებლივ დაგეგმვა და დროის დაუკარგავად განხორციელება!

სასწრაფოდ მისაღებია მიწის კოდექსი!

რა პრინციპებს უნდა დაეფუძნოს მიწის რეფორმა და აქედან გამომდინარე, მიწის კოდექსი, რომელიც რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიიღოს ქვეყანამ?!

განსაზღვრად გთავაზობთ ამ ძირითად პრინციპებს:

- მიწა ქვეყნის განუახლებადი და ძირითადი რესურსია, ამიტომ მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობები განსაკუთრებულად რეგულირდება. მიწის კოდექსმა თავი უნდა მოუყაროს ყველა საკანონმდებლო ნორმას, რომელიც აწესრიგებს მიწის ფლობას, სარგებლობას და განკარგვასთან, ასევე მიწაზე უფლებების რეგისტრაციასთან, მინათ-მონყობასთან, მინათ-სარგებლობის კადასტრის სისტემურ წარმოებასთან, მიწის დანიშნულების შეცვლასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

- მიწის მესაკუთრე შეიძლება იყოს სახელმწიფო, მუნიციპალიტეტი, საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი და საქართველოს მოქალაქე. უცხოელი ფიზიკური პირი ან საქართველოს არა რეზიდენტი იურიდიული პირი, მიწის მესაკუთრე შეიძლება იყოს მხოლოდ გამონაკლის და განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუკი მისი საკუთრების უფლება არ ლახავს ეროვნულ ინტერესებს და არსებით საზოგადო სარგებელს მოიტანს.

- უნდა გაიმიჯნოს სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების მიწა, იმ პრინციპზე დაყრდნობით, რომ დღეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ის მიწა, რომლითაც სახელმწიფო არ სარგებლობს და რომლის სახელმწიფო საკუთრებაში არსებობის მიზანშეწონილობასაც შესაბამისი სახელმწიფო ორგანო სახელმწიფო გამგებლობიდან გამომდინარე (ანუ კონრეტულად რომელი სახელმწიფო კომპეტენციის განსაზღვრის შემდეგ უნდა მოხდეს მიწის კონკრეტული ნაკვეთით სარგებლობა და გამოყენება) არ დაასაბუთებს გარკვეული გარდამავალი პერიოდის განმავლობაში (ვთქვათ, ერთი წლის პერიოდი) კანონით უნდა გამოცხადდეს და უსასყიდლოდ დარეგისტრირდეს მუნიციპალურ საკუთრებად.

თუკი მომავალში აღმოჩნდება, რომ მუნიციპალური მიწის ნაკვეთი აუცილებელია რომელიმე სახელმწიფო კომპეტენციის განსაზღვრის შემდეგ, იგი შეღვათიან ფასში, უპირატესი შესყიდვის უფლებით, შესაძლოა გამოისყიდოს სახელმწიფომ.

- მიწის უფლებრივი კადასტრის („საჯარო რეესტრის“) მონესრიგებაზე თავიდან-ბოლომდე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს სახელმწიფომ, რომელმაც გარდამავალ პერიოდში (სავარაუდოდ ორი წელი) საკუთარი ხარჯით უნდა უზრუნველყოს როგორც საკადასტრო დოკუმენტაციის მომზადება, ასევე, მიწის საკუთრების პირველადი რეგისტრაცია.

გარდამავალ პერიოდში საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებიც მართლზომიერად ფლობენ მიწის ნაკვეთებს, ანდაც უდავო სასამართლო წარმოებით დადასტურდება, რომ უკანასკნელი არა ნაკლებ 10 წლის განმავლობაში სარგებლობენ სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით, საკუთრების რეგისტრაცია უნდა იყოს უსასყიდლო. უდავო სასამართლო წარმოების სამართლიანი და გონივრულად სწრაფი პროცედურა ამ საკითხის გადასაწყვეტად უნდა განსაზღვროს კანონმა. უნდა გაუქმდეს ე.წ. მიწის საკუთრების აღიარების კომისიები, რომლებიც საკრებულოებთან არსებობენ.

- სასოფლო დასახლებები, აგრეთვე მსხვილ სასოფლო დასახლებათა უბნები უნდა ჩამოყალიბდნენ, როგორც კერძო სამართლის არასამეურნეო იურიდიული პირები: მესაკუთრეთა ამხანაგობების - კონდომინიუმების სამართლებრივი ფორმით. შედეგად სოფელი ან სოფლის უბანი, აგრეთვე, უბანთა გაერთიანებაც იქნება არასამეურნეო იურიდიული პირი. მიწის კოდექსით ამ იურიდიულ პირს, ე.ი. სოფელს ან სოფლის უბანში შექმნილ კონდომინიუმს უსასყიდლო და მუდმივ მფლობელობაში უნდა გადაეცეს სოფლის (შესაბამისი უბნის) ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული არაპრივატიზებული მიწა; სახნავ-სათესი, სათიბი, საძოვარი, ასევე ტყის ფონდისა და წყლის ფონდის მიწები, აგრეთვე თავად დასახლების ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწაც (ქუჩები, მოედნები, ტროტუარები, შიდა სამეურნეო გზები და ა.შ.);

კონდომინიუმის წევრებს უპირატესი უფლება ექნებათ დააფუძნონ სასოფლო-სამეურნეო საწარმო - კოოპერატივის სამართლებრივი ფორმით, რომელსაც თავის მხრივ უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაეცემა კონდომინიუმის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა; სახელმწიფო ხელს შეუწყობს ასეთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექ-

მნასა და განვითარებას.

ამ სახით თანამედროვე პირობებში აღდგება ტრადიციული ქართული სამართლით არსებული და რუსეთის იმპერიის მიერ ავაზაკობა-ძალადობით გაუქმებული კერძო და სათემო საკუთრება მიწაზე!

მინის კოდექსმა უნდა მოაწესრიგოს კერძო მესაკუთრესა და თემს, ე.ი. კონდომინიუმს შორის წარმოქმნილი ურთიერთობებიც! მაგალითად, თუნდაც ის, რომ კერძო მესაკუთრეს თემის, ე.ი. კონდომინიუმის დაუკითხავად არ უნდა შეეძლოს მიწის გასხვისება, ანდა სარგებლობის უფლებით გადაცემა!

- სოფლის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული სასოფლო კონდომინიუმის მუდმივ სარგებლობაში გადაცემული მუნიციპალური საკუთრების მიწის პრივატიზება ან/და სარგებლობის უფლებით - სასყიდლიანი იჯარით კერძო სამართლის სუბიექტებისთვის გადაცემა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ თავად კონდომინიუმის ინიციატივით, ან მისი თანხმობით, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებით.

პრივატიზებისა და მიწის იჯარით გადაცემისას მიღებული შემოსავალი უნდა ჩაირიცხოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რომელშიც უნდა შეიქმნას ტერიტორიის განვითარების ფონდი; ეს ფონდი შემოსავლების პროპორციულად უნდა გადანაწილდეს და მოხმარდეს სასოფლო დასახლებათა ტერიტორიული განვითარების დაგეგმარებასა და ამ განვითარებისათვის ინვესტირებას;

მიწის პრივატიზაციისას სავალდებულო უნდა გახდეს მყიდველის მიერ მიწათ-მონყობისა და ტერიტორიის განვითარების გეგმის, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და მიწათ-მონყობის ნორმატიულ დოკუმენტებს, წარმოდგენა.

თუკი მესაკუთრე დაარღვევს მიწათ-მონყობისა და ტერიტორიის განვითარების გეგმით აღებულ ვალდებულებებს, მაშინ თავად კონდომინიუმის (თემის) ანდაც მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინიციატივით შესაძლებელი უნდა იყოს მიწის ამ ნაკვეთის საჯარო ვაჭრობით გაყიდვა, იმ პირობით, რომ უპირატესი შესყიდვის უფლება ექნება შესაბამის მუნიციპალიტეტს ან კონდომინიუმის ფარგლებში დაარსებულ კოოპერატივს.

- უნდა შეიცვალოს პრეზუმფცია, რომ დაურეგისტრირებელი ქონება სახელმწიფო საკუთრებად მიიჩნევა. ამის სანაცვლოდ, გარდამავალი პერიოდის დასრულების შემდგომ დაურეგისტრირებელი მიწა ან მიტოვებული უძრავი ქონება მიჩნეული უნდა იქნეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის, რომლის ადმინისტრაციულ საზღვრებშიცაა უპატრონოდ დარჩენილი მიწის ნაკვეთი, საკუთრებად. ბუნებრივია, ეს ქონებაც შესაბამის კონდომინიუმს უსასყიდლო და მუდმივი სარგებლობის უფლებით უნდა გადაეცეს.

- საქალაქო დასახლებებშიც კონდომინიუმები უნდა ჩამოყალიბდნენ არა მხოლოდ საცხოვრებელი კორპუსების (როგორც დღესაც არის), არამედ საერთო ეზოებისა და ასევე, საუბნო დონეებზე. აქაც არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მუნიციპა-

ლური საკუთრების მიწა მათ უნდა გადაეცეთ მუდმივ და უსასყიდლო სარგებლობის უფლებით.

- უნდა მოწესრიგდეს ტერიტორიის დაგეგმარება და მიწათ-მონყობა. სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების პროცესში, რაც მუნიციპალიტეტის საკუთარი კომპეტენციაა, ჩართული უნდა იყვნენ სასოფლო და საქალაქო კონდომინიუმები, ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვა მიწათ-მფლობელებიც. **მუნიციპალიტეტის დელეგირებულ უფლებამოსილებას უნდა განეკუთვნოს მიწათ-მონყობა - ტერიტორიაზე როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწათსარგებლობის კადასტრის სისტემური წარმოება.**

მიწის დანიშნულების შეცვლა უნდა გახდეს ასევე მუნიციპალიტეტის დელეგირებული კომპეტენცია; **მიწათსარგებლობის კადასტრის წარმოებისა და ზოგადად, მიწათ-მონყობის, ასევე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების უზრუნველსაყოფად და სათანადო სტანდარტებისა თუ ნორმების შესამუშავებლად სახელმწიფო დონეზე უნდა შეიქმნას (ვთქვათ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან) ცალკე სსიპი: „მიწის მართვის ეროვნული სააგენტო“.**

10. მიწის კოდექსმა უნდა აღადგინოს 1921 წ. საქართველოს კონსტიტუციის 116-ე მუხლის ის პრინციპი, რომ „მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე.“

მიწის ყოველი მესაკუთრისთვის (მათ შორის სახელმწიფოცა და მუნიციპალიტეტიც იგულისხმება) აუცილებელია სრულად აღდგეს მიწის რენტა - **მუნიციპალური გადასახადი**, რომელიც გათვალისწინებულია დღევანდელი საგადასახადო კოდექსით, თუმცა 5 ჰა-მდე ფართობის მესაკუთრეები, ასევე სახელმწიფო, მუნიციპალიტეტი და სხვ. გათავისუფლებულნი არიან ამ გადასახადისგან.

მიწის კოდექსმა უნდა დაადგინოს, რომ მიწის ნაკვეთის ნებისმიერი მესაკუთრე, რომელიც მიწას მოაცდენს და ზედიზედ სამი წლის განმავლობაში მიწის რენტას არ გადაიხდის, ვალდებულია მიწა საჯარო ვაჭრობით გაყიდოს, ასევე იმ პირობით, რომ უპირატესი შესყიდვის უფლება ექნება შესაბამის მუნიციპალიტეტს, კონდომინიუმის ფარგლებში მოქმედ კოოპერატივს.

...არჩვენები ახლოვდება. თუკი საქართველოს მოქალაქეს სურს მამულის პატრონობა და არა თეიმურაზ ხევისთავის უიმედო და უილაჯო მდგომარეობაში ხიზნად მუდმივად დარჩენა, მისი მოქალაქეობრივი ვალია არჩვენებში მონაწილე თითოეულ პარტიას მოჰკითხოს: როგორ, რა გზით და რა ვადებში აპირებს ის მიწის საკითხის მოწესრიგებას?

მათ პასუხზე უნდა გახდეს დამოკიდებული არჩევნების შედეგები, რაც ქართველ მოქალაქეთა საერთო პასუხისმგებლობაა!

პაატა კოლუაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებატა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი

აპარული სექტორის განვითარება „მწვანე“ ეკონომიკის პირობებში

სამრეწველო პროგრესის დროს შესაბამისად სწრაფად იზრდება სოციალურ-ეკონომიკური სისტემების განახლებადი და არაგანახლებადი რესურსების ინტენსიური გამოყენება. საზოგადოებაში თანდათან, ეტაპობრივად იქმნება ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების შესახებ სამეცნიერო შრომები, რომლებიც ემყარება მომავალი თაობების წინაშე საზოგადოების ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას. გასული XX საუკუნის 70-იან წლებში შედგენილ იქნა პროგნოზი, რომელიც გამოხატავდა პლანეტის ბუნებრივი რესურსების შემცირებისა და სურსათის უკმარისობის მსოფლიო ტენდენციას, ამიტომ სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ტერიტორიულ-სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მდგრადი განვითარების კონცეფციას.

მდგრადი განვითარების ქვეშ იგულისხმება განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე თაობების მოთხოვნებს და არ აყენებს საფრთხის წინაშე მომავალი თაობის საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებს. აგრეთვე მდგრადი განვითარება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც სამი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტის - „**სოციალური სფერო - ეკოლოგიის - ეკონომიკის ურთიერთობის პროცესი, მიმართული მდგრადი განვითარების მისაღწევად.**“

მდგრადი განვითარებისადმი ეკონომიკური მიდგომა გულისხმობს ორგანული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას. სოციალური შემდგენელი მიმართულია სოციალური სტაბილურობის და კულტურული მრავალფეროვნების გლობალურ მასშტაბებით შენარჩუნებისაკენ, ეკოლოგიური შემდგენელის ამოცანა ნებისმიერი ეკოლოგიური სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფაა ეკოლოგიური სისტემის ქვეშ ი. ოდუმის განმარტებით, უნდა გვესმოდეს სიცოცხლისა და გარემოს ერთიანობა, რომელიც ხასიათდება გარკვეული სტაბილურობით და აქვს ნათლად ფუნქციონირებადი შიგა მიმოქცევის ნივთიერებები. მდგრადი განვითარების კონცეფციაში გარემოზე წარმოების ეკონომიკურთან ერთად მოწოდებულია მოახდინოს ზემოქმედების შეფასება.

განვითარებული ქვეყნების გადასვლა მეექვსე ტექნოლოგიურ წყობაზე ტექნიკური ბაზის ხარისხობრივ გაუმჯობესებასთან, წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდასთან ერთად მოწოდებულია გააუმჯობესოს ცხოვრების და ბინადრობის ხარისხი.

„მწვანე“ ზრდის ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლის რეალიზაცია ოფიციალურად მიღებულ იქნა ეკონომიკური თანამეგობრობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ 2009 წ. როგორც ამ ორგანიზაციის ყველა წევრ-ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიმართულებაში გრძელვადიან (2030 წ.) და შედარებით შორეული (2050 წლამდე) პერსპექტივისათვის არის მოცემული.

ამრიგად სოციალურ-ეკონომიკური სისტემიდან განვითარების ორგანულ სისტემაზე გადასვლა მდგომარეობს



ერობს „მწვანე“ კურსის რეალიზაციასთან დაკავშირებულ წანამძღვრების, მდგომარეობისა და ფაქტორების ანალიზის აუცილებლობაში.

უმრავლეს ქვეყანაში შეიმჩნევა ეკონომიკური მოდელის გამოჩენის სულ უფრო ბევრი ნიშანი, რომლის დროსაც კეთილდღეობის ზრდა დაკავშირებული არ არის ბუნებრივი რესურსების ამონურვასთან, ეკოლოგიური რისკების ზრდასა და დაბინძურებასთან. „მწვანე“ მოდელის ფორმირება განპირობებულია ეკონომიკურ განვითარებაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის როლის უპირატესობითა და ეკოლოგიური უსაფრთხოების (ეკონომიკური ზრდისა და ადამიანის არსებობის საფუძველი) მხარდაჭერაში. ყოველწლიურად იზრდება კვლევების რაოდენობა, არამედ ბუნების გამოყენების სფეროშიც.

საერთაშორისო დოკუმენტებში სულ უფრო მეტად გამოიყენება ტერმინი „**მწვანე**“ მრეწველობა, „მწვანე“ ტექნოლოგიები, ეკონომიკური ინოვაციები. ყველა ეს ტერმინი გამოიყენება საერთო მიმართულების - „მწვანე“ ეკონომიკის ფარგლებში და მოიცავს სიახლეებს, რომელიც გაერთიანებულია ერთი ნიშნით. მათმა გამოყენებამ ერთდროულად უნდა შექმნას ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორები. გაეროს ბუნების დაცვის ექსპერტები „მწვანე“ ეკონომიკის ქვეშ გულისხმობენ სამეურნეო საქმიანობას, რომელიც ზრდის ადამიანთა კეთილდღეობას და უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას და ამასთან მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოსათვის რისკებს და ბუნების გაღარიბებას.

სხვა სიტყვებით „მწვანე“ ეკონომიკას მიაკუთვნებენ იმ სახეებსა და სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, რომლებიც მოდერნიზაციასთან და სანარმოს ეფექტიანობასთან ერთად ხელს უწყობენ ცხოვრების დონისა და ბინადრობის გარემოს გაუმჯობესებას.

„მწვანე“ ეკონომიკის კონცეფცია დამყარებულია შემდეგ პრინციპებზე:

1. მდგრადი განვითარების კონცეფციის პრინციპი ითვალისწინებს ეკოლოგიას, სოციალურ სფეროს, ეკონომიკას და მიმართულია თითოეულ სფეროში საუკეთესო შედეგების მიღწევებისაკენ;

2. სამართლიანობის პრინციპი, რომელიც ქვეყნებსა და შიდა ქვეყნებს შორის თანასწორობას (თანაბრობას) ნიშნავს;

3. სიფრთხილის პრინციპი ნიშნავს ეკონომიკური შეფასებების ცნობას, პოტენციურად ზემოქმედი ახალი და შეუმონმბელი ტექნოლოგიების შეფასებას მათ გამოყენებამდე;

4. მონაწილეობის პრინციპი გულისხმობს ყველა დაინტერესებულ მხარის გამჭვირვალობას და გახსნილობას, საზოგადოების გათვითცნობიერების ზრდას, განათლების განვითარებას;

5. ღირსების, პატივისცემის პრინციპი ნიშნავს სიღარიბის ლიკვიდაციას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ადამიანური პოტენციალის განვითარების მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ეკონომიკის დივერსიფიკაციას;

6. მართვის პრინციპი ნიშნავს საერთაშორისო თანამშროლობის განვითარებას და ზარალისთვის საერთაშორისო პასუხისმგებლობას, ადამიანის უფლებების სფეროში საერთაშორისო სტანდარტების და ბუნების დაცვითი შეთანხმებების არსებობას;

7. ეფექტიანობის პრინციპი გულისხმობს განახლებადი რესურსების პრიორიტეტულობას, ეკონომიკური და ეკოლოგიური ინოვაციების განვითარებას, რესურსების გამოყენების ეფექტრანობას, ინტელექტუალური საკუთრებისადმი შეღწევას.

8. მდგრადობის პრინციპი გულისხმობს სოციალური დაცვის სისტემის და ბუნების დაცვის ადგილობრივი ცოდნისა და ცოდნის მრავალფეროვანი სისტემის განვითარებას.

9. მემკვიდრეობითი პრინციპი ნიშნავს გრძელვადიანი პერსპექტივისთვის გადაწყვეტილებების მიღებას და ეკონომიკის რეალური სექტორის მხარდაჭერას.

„მწვანე“ ეკონომიკის საკვანძო განმარტებებია: ბუნებრივი კაპიტალი და მათთვის ეკოსისტემური მომსახურების უზრუნველყოფა. ბუნებრივი კაპიტალი წარმოადგენს ეკონომიკურ კატეგორიას და ნიშნავს მინერალურ, ბიოსფეროს მცენარეულ და ცხოველურ შემდეგნელებს, განიხილება როგორც ჟანგბადის წარმოქმნის, წყლის ფილტრაციის, ნიადაგის ეროზიის დაცვის და ეკოსისტემებისა და სხვა შემადგენლებს.

გამოყოფენ ბუნებრივი კაპიტალის ოთხ ფუნქციას:

1. **რესურსული** - საქონლისა და მომსახურების წარმოების უზრუნველყოფა ბუნებრივი რესურსებით;

2. **ეკოლოგიური (ეკოსისტემური მომსახურება)** - ბუნების სხვადასხვა სახის მარეგულირებელი ფუნქცია, დაბინძურებისა და ნარჩენების ასიმილაცია, კულტურული და ისტორიული ასპექტები და ა.შ.;

3. **„სულიერი“** - ბუნების ესთეტიკური, მორალური, კულტურული და ისტორიული ასპექტები;

4. **გამაჯანსაღებელი** - ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.

„მწვანე“ ეკონომიკის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანია „დეკაპლინგის“ (ინგლისური - დეცუპლინგ — განცალკევება) ეფექტის მიღწევა. „დეკაპლინგი“ არის სტრატეგიული საფუძველი ეკოლოგიურად მდგრადი ეკონომიკის მისაღწევად. მისი არსი მდგომარეობს ბუნებრივი კაპიტალის გაერთიანების მინიმუმაციის დროს მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ამრიგად „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის ობიექტურ მიზეზებს შორის საჭიროა გამოიყოს ის, რომ კლასიკურ ეკონომიკას არ შეუძლია მთლიანად გადანეციტოს შემდეგ ეკოლოგიურ-ეკონომიკური პრობლემები:

- მრავალ ბუნებრივ სიკეთეზე (რესურსები და მომსახურება) ფასების არ არსებობა;

- ეკოლოგიური ზარალის არაკომპენსირებული ზემოქმედების შეუფასებლობა;

- სარგებლის დიფუზია (კლასიკურ ეკონომიკას არ შეუძლია ეკოლოგიური სარგებელი მიიღოს ეკოსისტემებისგან, რომლებიც ნაწილდება დიდ ტერიტორიაზე.

- დროის ფაქტორთა არაადექვატური გამოხატულება (ბუნებრივი რესურსებისგან ეფექტი და გარემოს ზარალისგან მიღებული შედეგები აუცილებელია გაანგარიშებულ იქნეს ხანგრძლივ პერიოდზე);

- ქვეყნების ისტორიაში არსებობს მრავალი მაგალითი ეკონომიკური კეთილდღეობის შემცირებისა და მათი ნეგატიური ეკოლოგიური შედეგებისა, რომლებიც საბოლოო ჯამში ეკონომიკურ შედეგებზე მოქმედებენ.

მაგალითად ნიადაგის ეროზიამ გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო სავარგულის დაღუპვა, ზღვების დაბინძურებამ მოითხოვა ათეული მილიარდი დოლარი მათ განმენდაზე. ყოფილ სსრკ-ში სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა - ციმბირის მიწების გასარწყავებამ, ყაზახეთის მიწების ათვისებამ გამოიწვია სოციალურ-ეკოლოგიური-ეკონომიკური ზარალი.

გარემოს ექსპერტთა მიერ მომზადებული მოხსენების თვალსაზრისის მიხედვით „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის პირობებია:

• გადასვლის ეფექტიანი ნორმატიულ-სამართლებრივი საფუძვლების შექმნა;

• სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ნაახალისებს ეკოლოგიური პროდუქციის წარმოებას და მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამის ტექნოლოგიების გამოყენებას;

• ეკონომიკის გარემოს დაცვით საფუძველზე გადაყვანისთვის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის შექმნა;

• სახელმწიფო ინვესტიციების და „მწვანე“ ეკონომიკის სექტორების გარდაქმნაზე დანახარჯების სტიმულირება, სახელმწიფო მხარდაჭერა ეკოლოგიურ სუფთა ტექნოლოგიების შექმნასთან დაკავშირებულ სამეცნიერო კვლევებსა და დამუშავებებზე;

• საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება და განმტკიცება;

• კომპეტენცთურობის, სწავლებისა და განათლების ამაღლების ინვესტირება;

„მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის პირობებს შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო თანამშრომლობა. მრავალმხრივი შეთანხმებები ეკოლოგიის საკითხებში ქმნიან იურიდიულ და ინსტიტუციონალურ საფუძველს, მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ ეკონომიკური საქმიანობის ეკოლოგიზაციაში.

საერთაშორისო თანამშრომლობასთან ერთად „მწვანე“



ნე“ ეკონომიკაზე გადასვლისას მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ეკონომიკურ ინსტრუმენტებს, რომლებსაც სახელმწიფო იყენებს და ქმნის შესაბამის ეკონომიკურ გარემოს მიკროდონეზე. ამასთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირდაპირი და ირიბი სახელმწიფო რეგულირება.

სახელმწიფო პოლიტიკის საყოველთაოდ ცნობილ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება:

- სახელმწიფო რეგიონული ან დარგობრივი ეკოლოგიურ-ეკონომიკური პროგრამების რეალიზაცია;
- ეკოლოგიური გადასახადები, ჯარიმა გარემოს დაზიანებებზე;
- გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსება;
- გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და ნორმატივების მიღება;
- ეკოლოგიური მენეჯმენტისათვის პირობების შექმნა.

სახელმწიფო მხარდაჭერის შედეგი უნდა გახდეს „მწვანე“ ეკონომიკის უპირატესობანი, რომლებიც შემდეგში მდგომარეობს:

- „მწვანე“ ეკონომიკა ვითარდება უფრო სწრაფი ტემპებით ვიდრე კლასიკური ეკონომიკა გრძელვადიან პერსპექტივაში და ამასთან ინარჩუნებს ბუნებრივი კაპიტალის ზრდას;
- მდგრადი განვითარება ენერგეტიკული, წყლის, სასურსათო და სანედლეულო რესურსების ეფექტიანი გამოყენებით;
- საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- ინოვაციების განვითარებისთვის ახალი შესაძლებლობების წარმოდგენა, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ფინანსური არასტაბილურობისგან დამოკიდებულების შემცირება;
- ეკოსისტემის შენარჩუნება და გარემოს დაზიან-

ძურების შემცირება.

საქართველოში „მწვანე“ ეკონომიკის ცნება ოფიციალურ დოკუმენტებში არ გამოიყენება. მით უფრო, რომ ეროვნული ეკონომიკის დასახული მიზნები საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში გარკვეულწილად უკავშირდება „მწვანე“ ეკონომიკას.

მდგრად განვითარებაზე გადასვლას თან უნდა ახლდეს შემდეგი ტენდენციები:

- სახელმწიფო სტრატეგიებსა და პროგრამებში ჩაირთოს მიმართულებები, რომლებიც შეეხება „მწვანე“ ეკონომიკას და ჩამოყალიბებულია გაეროს დოკუმენტებში;
- განვითარებაში პრიორიტეტი მიეცემათ მეცნიერებას, მაღალტექნოლოგიურ, დამამუშავებელ და ინფრასტრუქტურის დარგებს;
- დიდი მნიშვნელობა ექნება მოსახლეობის ცხოვრებისათვის ეკოლოგიურ პირობებს.

გაიზარდოს ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, ეკონომია, რაც გამოიხატება ბუნებრივი რესურსების დანახარჯებისა და საბოლოო შედეგის ერთეულზე დაზიანებების მოცულობის შემცირებაში: - შემცირდეს გარემოს დაზიანებება.

ამრიგად მდგრად განვითარებაზე გადასვლისათვის აუცილებელია ბუნებრივი კაპიტალის ამონურვის კომპენსირება ადამიანის კაპიტალში ინვესტიციების გადიდებით. მიზანშეწონილია გაიზარდოს ინვესტიციები მეცნიერებაში, განათლებაში და ჯანდაცვაში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში ბუნებრივ კაპიტალზე მოდის მხოლოდ 5%, ადამიანებზე 85%.

საქართველოს გააჩნია ძალზე დიდი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, რომელსაც გლობალური მნიშვნელობა აქვს. ქვეყნის წიაღი მოიცავს სხვადასხვა წიაღისეულს, აქედან გამომდინარე ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გათვალისწინებით ქვეყნის აგრარული

სექტორის განვითარება „მწვანე“ ეკონომიკის პრინციპებით მეტად პერსპექტიულია.

არსებული შესაძლებლობები ხელს უწყობენ აგრარული სექტორის მთავარი მიზნის - სურსათის, ნედლეულის კვლავწარმოების მდგრადობას, დასაქმებას. ამასთან აგრარული სექტორი და თვით ადამიანის არსებობა, სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა და ცხოველმყოფელობის პირობების რეგულირების გარეშე შეუძლებელია ბუნებრივი კაპიტალის მნიშვნელოვანი მოცულობის გარეშე.

ამიტომ, ქვეყნის აგროსასურსათო სექტორისთვის აქტუალურია სტრატეგიულ „მწვანე“ ზრდაზე გადასვლა, რომელიც გულისხმობს სოფლის მეურნეობის მდგრად გაძლიერებას, სამრეწველო-ტექნოლოგიური კომპლექსის მოდერნიზაციას, რაც საბოლოო ჯამში შესაძლებელს გახდის გაზარდოს ეკოლოგიურად სუფთა სურსათის წარმოება ბუნებრივი კაპიტალის გამოყენებით, რომელშიც ჩართული იქნება მიწისა და წყლის რესურსები, აგრეთვე ადაპტაცია კლიმატის ცვლილებასთან.

„მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლას თან უნდა ახლდეს ინვესტირება ექსპლოატირებულ ბუნებრივ რესურსებსა და გარემოს დაცვაზე ინოვაციის საფუძველზე, მიმართული იქნება მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ. ამასთან ასეთი გადასვლის წარმატება განსაზღვრავს ყველა სექტორის ინფორმირებასა და დაინტერესებას, გამოყენებულ იქნეს ასევე აუცილებელია ქვეყნის დიდი შესაძლებლობები ეკოსისტემების მომსახურების მხრივ, აგრეთვე გაიზარდოს სხვადასხვა სექტორში „მწვანე“ ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულობა.

ეკონომიკურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის საფუძველი არის აგრარული მეცნიერება, კერძოდ მიღწევები სელექციაში, გამოგონებები დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანასთან და ა.შ. სელექციის მიღწევებისა და გამოგონებების შექმნა და დანერგვა მოითხოვს მცირე დანახარჯებს და საშუალებას იძლევა პროდუქციის წარმოების გადიდებას, თვითღირებულების შემცირებისა და რენტაბელობის ზრდისა.

თავის მხრივ აგრარული სექტორის „გამწვანება“ შესაძლებლობას შექმნის: სასოფლო-სამეურნეო სექტორის მდგრად განვითარების, სოფლის მეურნეობის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების, სელექციისა და მეთესლეობის ტექნოლოგიური ბაზის მოდერნიზაციის, სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარების სტიმულირების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდის, ეკოლოგიზაციის, გაძლიერების მეთოდების და სოფლის მეურნეობის პროდუქციის სერტიფიცირებისა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის ახალი ბაზრების შექმნას, ორგანული კვების პროდუქტების ექსპორტს, სოფლის მეურნეობაში რენტაბელობის დონის ამაღლებას, აგროტურისტული მომსახურების შეთავაზებას.

თ. ლაჭყევიანი

ეკონომიკის აკადემიკოსი დოქტორი

დ. ბაიდაური

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

მ. კილაძე

საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Мерзлов А.В. Садыков М.Р. Огинцева Л.А. — устойчивое развитие сельских территорий, подходы к разработке региональных и муниципальных програм. Серия обучающих погодии „Rudeco“ Переподготовка кадров в сфере развития территорий и экологии. м. 2012.
2. Парфеньев В.Н. „зелетая“ экономика; реадии,перспективы и тределы роста /раздел 15/. 2013. ст. 406-486.
3. Кужлев Е.Д. Зеленая экономика как фактор устойчивого развития экономической безопасности современнам мире / национальная безопасность и стратегическое планирование 2014, № 2(6).
4. პ. ლემონჯავა - ბუნების გამოყენების ეკონომიკა თბ. 2015.
5. პ. ლემონჯავა - ბუნების გამოყენების ეკონომიკა თბ. 2014.
6. თ. ლაჭყევიანი, დ. ბაიდაური, მ. კილაძე — როგორ ფორმირდება „მწვანე“ ეკონომიკა. ჟ. ბიზნესი და კანონმდებლობა №1. თბ. 2016.

DEVELOPMENT OF AGRICULTURAL SECTOR “GREEN” IN THE ECONOMY.

Doctor of Economics **T.Lachkepiani**
Doctor of Economics **D. Baidauri**
Doctor of Engineering Sciences **M. Kiladze**

RESUME

There is a “Green” economy concept of sustainable development. Separated from the concept of the green economy objects, the causes and conditions of the environmentally oriented development of the basic principles of transition. State support for the “Green” economy is grounded on the principles of “Green” economic expediency of transition to the agricultural sector development opportunities.

სტაბილურობის პირობის სპეციფიკა ნავთობისა და გაზის საერთაშორისო გადაზიდვის ხელშეკრულებაში

შესავალი

სტაბილურობის პირობა (Stabilisation clause) ზოგადი მნიშვნელობით გარკვეული სახელშეკრულებო გარანტიაა, რომელიც ინვესტორს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის სამომავლო ცვლილებათა შესაძლო ნეგატიური შედეგებისგან აზღვევს. „სტაბილურობის პირობა“ შეიძლება ნახსენები იყოს, როგორც სტაბილურობის „კლაუზულა“, „დათქმა“, „მუხლი“, ან „პუნქტი“. ტერმინთა შორის აღნიშნული განსხვავება ფორმალურ ხასიათს ატარებს. იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველი ტერმინი მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმებულ ერთ-ერთ სახელშეკრულებო პირობას შეადგენს, მიზანშეწონილია წინამდებარე პუბლიკაციაში მისი წარმოდგენილი ფორმით გადმოცემა.

როგორც წესი, ნავთობისა და გაზის საერთაშორისო გადაზიდვის ხელშეკრულებათა მონაწილენი ამა-თუ იმ ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები და პროექტის განხორციელებაში ჩართული შესაბამისი ინვესტორები არიან. მსგავსი სახის საინვესტიციო ხელშეკრულებები მრავალ დებულებასთან ერთად შესაბამისი ქვეყნის მიერ არაერთ განცხადებასა და გარანტიას მოიცავენ, რომლებიც ინვესტორებისათვის მდგრადი, მომგებიანი, უსაფრთხო და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას ისახავენ მიზნად. სტაბილურობის პირობა აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთ სახელშეკრულებო მექანიზმს განეკუთვნება.

წინამდებარე პუბლიკაციაში გაშუქებულია სტაბილურობის პირობის მნიშვნელობა და მისი ძირითადი სახეები, ენერგო ქარტიის სამდივნოს მიერ შემუშავებული ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული მოდელური ხელშეკრულებისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობასა და ინვესტორთა ჯგუფს შორის ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულების მაგალითზე.

1. სტაბილურობის პირობის მნიშვნელობა და მისი ძირითადი სახეები

როგორც წესი, სტაბილურობის პირობა გრძელვადიან საინვესტიციო სახელშეკრულებო ურთიერთობებში გამოიყენება, რომელიც ურთიერთობათა მთელი პერიოდის მანძილზე მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმებულ სახელშეკრულებო დებულებათა უცვლელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ფოკუსირებული. აღნიშნული ძირითადად გამოისახება სახელშეკრულებო ტერმინოლოგიის და საგადასახადო საკითხების შინაარსობრივ უცვლელობაში, ვინაიდან, შესაძლოა სამომავლოდ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს კანონმდებლობამ გარკვეული ცვლილება განიცადოს, რაც ინვესტორთა მომგებიანობის მაღალ ხარისხს დიდი ალბათობით რისკის ქვეშ დააყენებს.



თავისი ბუნებით ნავთობისა და გაზის ტრანსპორტით დაკავშირებული პროექტები გრძელ ვადაზეა გათვალისწინებული და შესაბამისად, იზრდება იმის ალბათობა, რომ მომავალში, შესაბამისმა სახელმწიფომ ისეთი ფორმულირებით შეცვალოს კანონმდებლობის ის ელემენტები, რომელიც არცერთი ინვესტორისთვის არ იქნებოდა სასურველი.

ნავთობისა და გაზის ტრანსპორტით დაკავშირებული პროექტში ჩართული მონაწილე სახელმწიფოს ბუნებრივი სურვილია, რომ მან თავი არ შეიზღუდოს სამომავლო საკანონმდებლო ცვლილებებისგან. თუმცა, როგორც წესი, მსგავსი ტიპის საინვესტიციო პროექტებში ხელშეკრულებათა შესაბამისი ფორმულირებით ასახვა მეტწილ შემთხვევებში ინვესტორთა „ძალაუფლების“ ფარგლებში ხდება, ვინაიდან, თავისი არსით, ნავთობისა და გაზის ტრანსპორტით დაკავშირებული პროექტები არ წარმოადგენს მრავალჯერადად განხორციელებად საქმიანობას, რასაც თითქმის ყოველი მსურველი ინვესტორი განახორციელებდა, აგრეთვე განსახილველი საინვესტიციო ურთიერთობა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ამა-თუ იმ სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერისთვის და ენერგო დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდისათვის.

შესაბამისად, დიდია ინვესტორთა გავლენის ხარისხი, რომ დასარეგულირებელ ხელშეკრულებაში გაიწეროს შესაბამისი სტაბილურობის პირობა, როგორც ერთ-ერთი დებულება, რომელიც პროექტის მონაწილე სახელმწიფოს დაავალდებულებს, რომ ხელშეკრულების შემუშავების დროისთვის არსებულ ტერმინოლოგიას და მის სხვა არსებით პირობებს მიენიჭოს აბსოლუტურად იდენტური მნიშვნელობა ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

შესაბამისად, დიდია ინვესტორთა გავლენის ხარისხი, რომ დასარეგულირებელ ხელშეკრულებაში გაიწეროს შესაბამისი სტაბილურობის პირობა, როგორც ერთ-ერთი დებულება, რომელიც პროექტის მონაწილე სახელმწიფოს დაავალდებულებს, რომ ხელშეკრულების შემუშავების დროისთვის არსებულ ტერმინოლოგიას და მის სხვა არსებით პირობებს მიენიჭოს აბსოლუტურად იდენტური მნიშვნელობა ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

ლობაში, მიუხედავად იმისა, შეიცვლება თუ არა ქვეყნის კანონმდებლობის გარკვეული ნაწილი, რომელიც განსხვავებულად დაარეგულირებდა სახელმწიფოებო ურთიერთობის ამა-თუ იმ ეპიზოდს.

საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებათა არსებული პრაქტიკა სტაბილურობის პირობის რამდენიმე სახეს იცნობს.

ე.წ. შეჩერების, გაყინვის პირობა (Freezing clause) სტაბილურობის პირობის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე ხელშეკრულების დადების მომენტისთვის მოქმედი სამართლის გამოყენებას გულისხმობს საკანონმდებლო ცვლილებათა გამოყენების სანაცვლოდ. აღნიშნული პირობით ხელშეკრულებაში ჩართული სახელმწიფო აცხადებს, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება, რამაც შესაძლოა ნეგატიური შედეგი მოუტანოს ხელშეკრულებაში ჩართულ რომელიმე ინვესტორს არ გავრცელდება ხელშეკრულების რეგულირების შემდგომ პერიოდზე. სტაბილურობის პირობის განსახილველი სახე განსაზღვრავს, რომ ხელშეკრულების გამოსაყენებელი სამართალი კონსერვატიულად ვრცელდება მისი მოქმედების სრული პერიოდის მანძილზე. სტაბილურობის პირობის განსახილველ სახეს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „შესაბამისობის პირობას“, რომელიც გულისხმობს ხელშეკრულების დადების მომენტისთვის მხარეთა მიერ შეთანხმებულ სახელმწიფოებო ტერმინთა და დანარჩენ პირობათა ხელშეკრულების გამოსაყენებელი სამართლის შინაარსთან სრულ თანხვედრას. მსგავსი სახის პირობის გათვალისწინებით ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს ძალაუფლების ხარისხი მცირდება, რასაც სანაწილმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ინვესტორთა ფინანსური სტაბილურობის ხარისხი მკვეთრად შეემცირებინა.

სტაბილურობის პირობის ერთ-ერთ სახეს ეკონომიკური წონასწორობის პირობა (**Economic equilibrium clause**) წარმოადგენს, რაც გულისხმობს ინვესტორის ეკონომიკური უკუგების დასტაბილურებას სამართლებრივი ან ფისკალური სტაბილურობის ნაცვლად. მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების პირობათა მიხედვით, პროექტის მონაწილე სახელმწიფო არ გამოიცილება სამომავლო საკანონმდებლო ცვლილებათა განხორციელებას, რომელმაც შესაძლოა პროექტის შემდგომ განხორციელებაზე გარკვეული გავლენა მოახდინოს.

მსგავსი ცვლილების განხორციელება ხორციელდება იმ დათქმით, რომ მხარეები იტოვებენ უფლებას სამომავლოდ დამატებით გაიარონ კონსულტაცია იმისათვის, რომ განსაზღვრონ შესაძლო ცვლილებათა ეკონომიკური მდგრადობის შინაარსი, აგრეთვე მხარეებმა წარმართონ დამატებითი მოლაპარაკებები ინვესტორის ეკონომიკური პოზიციების გასამყარებლად. თუ დამატებითი მოლაპარაკება უშედეგო აღმოჩნდება, შესაძლოა მხარეებმა მიაღწიონ შეთანხმებას, რომ პროექტის მონაწილე სახელმწიფო შესაბამის კომპენსაციას გადაუხდის პროექტის მონაწილე ინვესტორს, იმისათვის, რომ ინვესტირებით

მისი ფინანსური პოზიცია არ შეიცვალოს. მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულებით თავდაპირველად შეთანხმებული ძირითადი პირობების სამომავლო შეცვლა მხარეთა მზაობაზეა დამოკიდებული, რაც დიდი ალბათობით უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მათ შორის დადებული ხელშეკრულების ცალკეულმა ეპიზოდმა გარკვეული ცვლილება ან დამატება განიცადოს.

2. სტაბილურობის პირობის ფორმულირება ნავთობისა და ბუნის საერთაშორისო გადაზიდვის ხელშეკრულებაში

სტაბილურობის პირობის ერთ-ერთ ვრცელ განმარტებას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობასა და ინვესტორთა ჯგუფს შორის ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული ხელშეკრულება მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხელშეკრულების ძირითადი გამოსაყენებელი სამართალი ინგლისის სამართალია აღიარებული,¹ ხელშეკრულების ცალკეული საკითხები ასევე ქართული სამართლის რეგულირების ფარგლებში ექცევა. ამიტომ, დიდია იმის ალბათობა, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში ქართული კანონმდებლობის ის ელემენტი შეიცვალოს ან გაუქმდეს, რომელიც შესაძლოა განსახილველი პროექტის ფარგლებში ჩართულ ინვესტორთა ინტერესებზე სამომავლოდ უარყოფითად აისახება.

აღნიშნულის პრევენციისთვის, სტაბილურობის პირობის კონკრეტული სახის შერჩევასა განსახილველმა ხელშეკრულებამ საინვესტიციო ხელშეკრულებათა პრაქტიკაში დანერგილი „**ეკონომიკური წონასწორობის**“ პირობა შეარჩია. კერძოდ, ხელშეკრულების პირველი დანართით განსაზღვრული ზოგიერთი ტერმინის განმარტებებს შორის, მხარეებმა ერთ-ერთ ტერმინად „**ეკონომიკური წონასწორობა**“ განსაზღვრეს, რითაც ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტეს თითოეული ის ნიუანსი, თუ რას მოიაზრებს მათ შორის არსებულ ურთიერთობაში ეკონომიკური წონასწორობის პირობა. კერძოდ, განსახილველი ხელშეკრულების მიხედვით, „**ეკონომიკური წონასწორობა**“ ნიშნავს პროექტის ხელშეკრულებების მიერ, მოცემულ დროს დადგენილ იმ ეკონომიკური ღირებულებების შეფარდებით წონასწორობას, რომელიც არსებობს ერთი მხრივ პროექტის მონაწილის უფლებებს, წილს, შეღავათებს, პრივილეგიებს, დაცვის უფლებებს და სხვა ასეთ სარგებელსა და მეორე მხრივ იმ პასუხისმგებლობებს, ხარჯებს, ვალდებულებებს, შეზღუდვებს, მოქმედების პირობებსა და ფარგლებს შორის, რომლებიც შეთანხმებისამებრ პროექტის მონაწილემ პროექტის ხელშეკრულების (ხელშეკრულებების) შესაბამისად უნდა იტვირთოს.²

ციტირებული დებულების კონკრეტული შედეგე-

1 უფრო ვრცლად იხ.: იხ.: Host Government Agreement Between and Among the Government of Georgia and [THE MEP PARTICIPANTS] http://www.bp.com/content/dam/bp-country/en_az/pdf/legalagreements/BTC_eng_agmt2_agmt2.pdf; გვ.: 38-41
2 იხ. იქვე, გვ.: 55

ბის ასამოქმედებლად განსახილველი ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის მე-10 ქვეპუნქტი კონკრეტულად განმარტავს, თუ როგორ მუშაობს „ეკონომიკური ნონასნორობა“, როგორც ხელშეკრულების სტაბილურობის პირობა. კერძოდ, ხელშეკრულების აღნიშნული დებულება მოიცავს შემდეგ პირობას: „სახელმწიფო ხელისუფლება მიიღებს ყველა ხელთარსებულ ზომას, რომ აღადგინოს პროექტის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ეკონომიკური ნონასნორობა, თუ ასეთი ეკონომიკური ნონასნორობა დაირღვა, ან განიცდის პირდაპირ ან არაპირდაპირ უარყოფით ზეგავლენას გარკვეული ცვლილების შედეგად (იმისგან დამოუკიდებლად ასეთი ცვლილება უშუალოდ პროექტს ეხება, თუ ზოგადად არის შემოღებული) საქართველოს კანონმდებლობაში, რომელთაც ადგილი ექნება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღის შემდეგ, მათ შორის ისეთი ცვლილებების შედეგად, რომლებიც, თავის მხრივ, შედეგად მოსდევს საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, მის ბათილად გამოცხადებას, გაუქმებას, ან მისი ვადის გასვლას, ან საქართველოს კანონის ამოქმედებას, მიღებას, ანდა საქართველოს კანონის განმარტებას ან გამოყენებას სასამართლო, აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების, ადმინისტრაციული ან მარეგულირებელი ორგანოების მიერ („ცვლილება კანონმდებლობაში“). ზემოაღნიშნული ვალდებულება ეკონომიკური ნონასნორობის აღდგენის მიზნით ასევე გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ მან ყველა აუცილებელი ზომა მიიღოს, (შეღავათების მიცემა, კანონის ან/და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება), რომ ხელშეკრულებასა და საქართველოს კანონმდებლობას შორის არსებული ნებისმიერი სახის წინააღმდეგობა დაუყოვნებლივ იქნეს დაძლეული.“ ხელშეკრულების ციტირებულ დებულებაში არსებობს ჩანართი, რომელიც კანონმდებლობის ცვლილების ქვეშ არ გულისხმობს იმ კანონმდებლობას, რომელიც მილსადენთან დაკავშირებულ საქმიანობასთან მჭიდრო კავშირში მყოფ კულტურული მემკვიდრეობის, ადამიანის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხებს შეეხება. აღნიშნული გამონაკლისი ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონმდებლობა არ აწესებს მილსადენის პროექტთან, პროექტის საქმიანობასთან და/ან პროექტის მონაწილეებთან დაკავშირებით იმაზე უფრო მძიმე სამართლებრივ პირობებს, რომლებიც საზოგადოდ ეკისრებათ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, კულტურული მემკვიდრეობის, ადამიანის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ან გარემოს დაცვასთან დაკავშირებით. ხსენებულ საგამონაკლისო დებულებაში განსახილველი ხელშეკრულება „კანონმდებლობაში“ სტატიკურად მხოლოდ მატერიალურ კანონმდებლობასთან ერთად ასევე განმარტავს კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკასაც, მის აღსრულებასა და საქართველოს სასამართლო ხელისუფლების მიერ ცალკეული კანონის განმარტებას.¹

1 ვრცლად იხ. იქვე, გვ.: 19-20

ენერგო ქარტიის სამდივნოს მიერ შემუშავებული ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული მოდელური ხელშეკრულების 37-ე მუხლი დეტალურად განსაზღვრავს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები პროექტის მონაწილე სახელმწიფოს სამართლის შეცვლის შემთხვევაში. მოდელური ხელშეკრულება სტაბილურობის პირობის თვალსაზრისით ორ ალტერნატიულ რეგულირებას მოიცავს, რომელთაგან კონცეფტუალურად მნიშვნელოვანია 37-ე მუხლის (პირველი ვერსიის) მე-4 ნაწილი და 37-ე მუხლის (მეორე ვერსიის) მე-2 ნაწილი. კერძოდ, განსახილველი მუხლის შინაარსი განსაზღვრავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სამართლის შეცვლა გამოიწვევს პროექტის შემდგომი განხორციელების ხელის შეშლას, მის შესუსტებას, შეზღუდვას, შემოკლებას ან სხვაგვარად ნეგატიურ გავლენას მოახდენს განსახორციელებელი პროექტის ღირებულებაზე ან მასთან დაკავშირებული რომელიმე უფლების რეალიზებაზე, პროექტის მონაწილე სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, რომ:

1. **სათანადოდ შეცვალოს (განსხვავებული ფორმულირებით ჩამოაყალიბოს) კანონმდებლობის შინაარსი, ან პროექტის ინვესტორს გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ინვესტორმა სამართლის შეცვლის შედეგად ზარალი განიცადა.**

2. **მიიღოს ყველა ზომა, რომ აღადგინოს პროექტის ის ეკონომიკური ნონასნორობა, რომელიც განსაზღვრულია მხარეთა შორის გაფორმებული (მოდელური) მთავრობათაშორისი ხელშეკრულებით.²**

აღსანიშნავია, რომ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან არსებული მოდელური ხელშეკრულების შინაარსი არ მოიცავს „ეკონომიკური ნონასნორობის“ განმარტებას.

3. დასკვნა

სტაბილურობის პირობის ფორმალური განმარტება, მისი ყველაზე გავრცელებული სახეები, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის ხელშეკრულებისა და ასევე, მოდელური ხელშეკრულების რამდენიმე ციტირებული დებულების ანალიზი ცხადყოფს, რომ ნავთობისა და გაზის ტრანსსასაზღვრო გადაზიდვა, როგორც ერთ-ერთი მსხვილი საინვესტიციო პროექტი გათვლილია გრძელ ვადაზე, რაც ინვესტორისათვის ქმნის იმის საჭიროებას, რომ პროექტში ჩართულ ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის მთავრობასთან დასადებ ხელშეკრულებაში სტაბილურობის პირობის ესა-თუ ის სახე მისთვის სასურველი ფორმულირებით აისახოს. შესაძლოა, რომ სტაბილურობის პირობის გარკვეული სახე ამა-თუ იმ ხელშეკრულებაში თავისი სპეციფიკური მახასიათებლებით იყოს ფორმულირებული. სტაბილუ-

2 უფრო ვრცლად იხ.: Model Host Government Agreement Between/Among Government of State [...] and the Project Investors Concerning the [...] Pipeline System; <http://www.energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Legal/ma2-en.pdf>; გვ.: 90-94

რობის პირობათა შინაარსობრივი ჩამოყალიბება მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენისა და მათ მიერ სახელშეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე შესაძლო რისკების მართვის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს წარმოადგენს. ხელშეკრულებაში სტაბილურობის პირობის ასახვის შესახებ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გამოხატული თანხმობა ინვესტორთა კეთილგანწყობას იწვევს.

არ არსებობს სტაბილურობის პირობის ამა-თუ იმ სახის უნივერსალური დეფინიცია, რაც ყოველი კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკასა და მასში ჩართულ მხარეთა პოზიციებზეა დამოკიდებული. ამას ადასტურებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტაბილურობის პირობა „ეკონომიკური წონასწორობის“ სახით, სადაც აღნიშნული ტერმინის კონკრეტული მნიშვნელობა ცალკე არის ურთიერთშეთანხმებული. განსახილველი ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრული სტაბილურობის პირობა არ მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ მან მის მიერ სტაბილურობის პირობის დარღვევის შემთხვევაში გარკვეული კომპენსაცია გადაუხადოს ინვესტორს. განსხვავებულ პოზიციას აყალიბებს მოდელური ხელშეკრულება, რომელიც ინვესტორის „ეკონომიკური

წონასწორობის“ აღდგენის სანაცვლოდ, სახელმწიფოს მიერ ინვესტორთა სასარგებლოდ გარკვეული კომპენსაციის გადახდის შესაძლებლობას უშვებს. აგრეთვე, განსახილველ და მოდელურ ხელშეკრულებათა შინაარსობრივი სხვაობა იკვეთება თვით „ეკონომიკური წონასწორობის“ განმარტების საკითხშიც.

არსებული სხვაობის მიუხედავად, ისეთი ტერმინები, როგორც არის „სამართლის მოქმედების შეჩერება“ და „ეკონომიკური წონასწორობა“ თვისობრივად მეტნაკლები იდენტურობით გამოიყენება ნავთობისა და გაზის სფეროში არსებულ სხვადასხვა ხელშეკრულებაში. განსხვავება შეიძლება ვლინდებოდეს თვით სტაბილურობის პირობის ამა-თუ იმ სახის შერჩევაში ან/და მათ ჰიბრიდულ გამოყენებაში, სტაბილურობის პირობის შერჩეული სახისთვის დამახასიათებელი ცალკეული ტერმინის დაზუსტებაში და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ხარისხსა და მასშტაბში, რომელიც მის მიერ აღნიშნული პირობის შესაძლო დარღვევით ინვესტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პროპორციულად გამოიყენება.

ლევან კოკაია

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მონვეული ლექტორი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Amaechi David Nwokolo, Is there a Legal and Functional value for the Stabilisation Clause in International Petroleum Agreements? <http://www.dundee.ac.uk/cepmlp/gateway/?news=28033>
2. Barbara v. Gayling-Westphal, Intergovernmental Agreements and Host Government Agreements on Oil and Gas Pipelines – A Comparison; Energy Charter Secretariat 2015.
3. Model Host Government Agreement for Cross-Border Pipelines. (Second Edition). Energy Charter Secretariat.
4. Host Government Agreement Between and Among the Government of Georgia and [THE MEP PARTICIPANTS].

THE SPECIFIC OF THE STABILIZATION CLAUSE IN THE INTERNATIONAL TRANS-BOUNDARY AGREEMENTS OF OIL AND GAS

Levan Kokaia –

Guest lecturer at Georgian Institute of Public Affairs (GIPA)

SUMMARY

The publication lights up the feature and the different types of the stabilization clauses (namely, “freezing clause” and “economic equilibrium clause”) in the international trans-boundary agreements of oil and gas. This work compares the specification of the stabilization clause in the host government agreement between and among the government of Georgia [THE MEP PARTICIPANTS] (Baku-Tbilisi-Ceyhan project agreement) and the model host government agreement for cross-border pipelines worked out by the energy charter secretariat.

Here is paid a huge attention on the contractual definition of the economic equilibrium, which is specially defined in the Baku-Tbilisi-Ceyhan project agreement. Also an author analyzes how an economic equilibrium works in detail in the described agreement. On the contrary the model agreement describes two alternatives of the stabilization clauses. One of the main aspects of the publication is the comparison analyze of the difference between these two agreements and one of the main difference is the compensation issue for the violation of the stabilization clause. Unlike Baku-Tbilisi-Ceyhan project agreement, the model agreement as one of the alternatives describes that the host state will be obliged to pay an appropriate compensation if it violates the stabilization clause. On the contrary the model agreement doesn't represent the definition of one or another type of the stabilization clause, whereas the Baku-Tbilisi-Ceyhan project agreement specially consists an exclusive meaning of the “economic equilibrium”. The final part of the article consists of the opinion that there is no universal formula of the stabilization clause, as the different parties use them by their own interests considering the meaning of the project.

რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტის გამოკვლევა და მის საფუძველზე განვითარების სტრატეგიის არჩევა კახეთის რეგიონის მაგალითზე

სიტყვა «ლანდშაფტი» გერმანული წარმოშობის სიტყვაა (Landshaft) და მიწის (მხარის) იერ-სახეს, მის გამომსახველობას ნიშნავს. ეს ტერმინი სხვა კონტექსტში გამოყენების დროსაც, იგივე შინაარსისაა, იმ განსხვავებით, რომ იძლევა არა მიწის, არამედ დასახასიათებელი საგნის (მოვლენის) სურათს.

როცა სიტყვა «ლანდშაფტი» ბიზნესთან მიმართებაში გამოიყენება, იგი ბიზნესის გეოგრაფიულ, ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ განფენილობას გულისხმობს [1, გვ. 280].

ბიზნესის გეოგრაფიული განფენილობა რეგიონის მთელ ტერიტორიაზე ბიზნეს-სუბიექტების განთავსება-განლაგებაში, ანუ ბიზნესით ტერიტორიის მოცვაში გამოიხატება. ეს მაჩვენებელი იანგარიშება 1000 კვ. კმ-ზე და 1000 მცხოვრებზე. იგი რეგიონის ტერიტორიის ბიზნეს-სუბიექტებით დაფარვის მაჩვენებლად ითვლება.

კახეთის რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტის გეოგრაფიულ განფენილობას რეგიონის ბუნებრივი ლანდშაფტი და მისი საზღვრები უდევს საფუძვლად. კახეთის რეგიონი ჩრდილოეთ და აღმოსავლეთით რუსეთს ესაზღვრება, სამხრეთით – აზერბაიჯანს, ხოლო დასავლეთით ქვემო ქართლს და მცხეთა-მთიანეთის რეგიონს.

კახეთის რეგიონი ძირითადად მთაგორიანი მხარეა. აქ ვაკე ადგილებს (ალაზნის ველი) ცვლის ქედები (ცივი-გომბორის), ტყეები, ნაკრძალები (ლაგოდეხის), ზეგნები (ივრის ზეგანი), ხეობები (ალაზნის ხეობა), უდაბნოები და ნახევრადუდაბნოები (ელდარის ველი, შირაქი), მთები (ყვარლის და ლაგოდეხის მთები, მთათუშეთი) და სხვა. ბუნებრივია, რომ ვაკეზე და მთებში, ზეგნებსა და ხეობებში ვერც ერთი და იგივე სახის ბიზნესი განვითარდება და ვერც ერთნაირად განვითარდება. ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად მათ სხვადასხვანაირი პირობები აქვთ – ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები, ზოგს საერთოდ არაფერი.

ეს განსაკუთრებით იტყმის მთებში განლაგებულ დასახლებებზე. კახეთის რეგიონის 21% კი მთებია. მთების სოფლები მონყვეტილია ბარს. ისინი ნაკლებად ფლობენ ყველანაირ ინფორმაციას ბიზნესზე. ალბათ ამიტომ არის, რომ კახეთის ბარი უფრო მოცულია ბიზნეს-სუბიექტებით, ვიდრე მთა. თუმცაღა, ის ფაქტი, რომ კახეთის 11310 კვ. კმ. ფართობზე, რომლის მოსახლეობა 406 000 კაცი, დარეგისტრირებულია 34026 საწარმო, ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. მთავარი დარეგისტრირება კი არ არის, არამედ მთავარი არის ამუშავება. ამის შესახებ საქართველოს სტატისტიკის სამსახური ინფორმაციას აღარ აქვეყნებს. მოქმედ და გამოკვლეულ საწარმოთა შესახებ უკანასკნელად

2007 წლის ინფორმაცია გამოქვეყნდა. მაშინ კახეთის რეგიონში 1775 საწარმო მუშაობდა [2, გვ. 29], ანუ რეგისტრირებულ საწარმოთა მხოლოდ 16,4%. რადგან 2007 წლიდან 2015 წლამდე არც კახეთში და არც მთელ საქართველოში ბიზნესგარემო არ გაუმჯობესებულა, უნდა ვივარაუდოთ, რომ 2014 წელშიც, მოქმედ საწარმოთა რიცხვი, ისევე რეგისტრირებულ საწარმოთა 16,4% ანუ 5580 ერთეული იქნებოდა

$$\left(\frac{34026}{100} \cdot 16.4 = 5580 \right)$$

(ეს არის ყველაზე ოპტიმისტური ვარაუდი, რადგან, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2014 წლის წლიურ ანგარიშში ამ მიმართულებით მომუშავე მხოლოდ 396 საწარმო არის დასახელებული). ასეთი სავარაუდო გაანგარიშებით უნდა ჩავთვალოთ, რომ 1000 კვ. კმ ფართობზე ანგარიშით რეგიონში მუშაობს 493 საწარმო, ხოლო 1000 მცხოვრებზე ანგარიშით 14 საწარმო. ბიზნეს-სუბიექტების ასეთი სიმჭიდროვე არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან, თუ აღარაფერს ვიტყვით მაღალგანვითარებულ ქვეყნებზე, აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებშიც კი, იგი 2-3-ჯერ მეტია – უნგრეთში 1000 მცხოვრებზე მოდის 30 საწარმო, პოლონეთში 47 [3, გვ. 93]. მეტიც, ამ საშუალო მაჩვენებლების უკან, ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით, იმალება კახეთის მთიანი ნაწილის, კერძოდ, მთათუშეთის სრული იზოლაცია. ამ კუთხის ბიზნესური პოტენციალი ფაქტიურად შეუსწავლელია. ნაწილობრივ ეს ეხება რეგიონის ბარის ნაწილსაც.

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ რეგიონში ბიზნეს-ლანდშაფტის სათანადო გეოგრაფიული განფენილობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა შეიქმნას რეგიონის, მისი ყველა დასახლებული პუნქტის, მთის და ბარის, ზეგანის და ველის და ა. შ., გეოინფორმაციული ბაზა. მხოლოდ ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეუძლია რეგიონის ხელმძღვანელობას მისცეს ბიზნესის განვითარების სწორი მიმართულება რეგიონში და მისცეს რეკომენდაციები ყველა პოტენციალურ მენარმეს. სხვათაშორის, საქართველოს 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამაშიც ჩაინერა [4, გვ. 47], რომ «რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ამ ბაზის შექმნა იგეგმება», მაგრამ ფაქტია, რომ ამ მიმართულებით კახეთის რეგიონში ჯერ არაფერი გაკეთებულა. არადა, ყველაფერი საჩქარო და მოსასწრებია, ჩვენ ხომ 25 წლით დავიგვიანეთ. ეს 25 წელი ხომ მოსახლეობა შიმშილობს! კახეთის რეგიონი, რომელიც საბჭოთა პერიოდში ერთ-ერთი

მაღალშემოსავლიანი მხარე იყო, დღეს სიღარიბის და სიღატაკის ზღვარზეა. ასეთი დაპირებები «იგეგმება», «ივარაუდება», «იგულისხმება» და ა. შ., საქართველოს მთავრობის მხრიდან სხვა დროსაც გაისმა, მაგალითად, «რეგიონის განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგია»-ში (2009), მაგრამ გაკეთდა რეგიონში რამე?

საბჭოთა პერიოდში შექმნილი იყო და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში (მინათმონაწილის კვლევითი ინსტიტუტი, მევენახეობა-მელვინეობის კვლევითი ინსტიტუტი, სოფლის მეურნეობის კვლევითი ინსტიტუტი და სხვები) ინახებოდა საქართველოს ყველა მხარის გეოინფორმაციული ფონდი. საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ საქართველოს მთავრობამ ეს ინსტიტუტები დაშალა და იქ არსებული ეს ოქროს ფონდიც დაიკარგა. ასე რომ, საქართველოს რეგიონების გეოინფორმაციული ბაზა ნოლიდან არის შესაქმნელი. ეს არ არის ადვილი და ერთ თვეში გასაკეთებელი საქმე. საქართველოს ყოფილი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, რომელშიც 300-400 კაცი მუშაობდა, მას გულდასმით და სკრუპულოზურად წლობით ამუშავებდნენ. მათში არა მხოლოდ ცალკეული მხარის ზოგადი დემოგრაფიული, ეკონომიკური და გეოგრაფიული მონაცემები იყო დაფიქსირებული, არამედ, რეგიონის თითოეული სოფლის, დაბის და რაიონის რესურსიც – ნიადაგი (მასში ჰუმუსის ფენის სიმაღლეც კი), წყალი, ტემპერატურა, ნალექები, ქარის მიმართულება და სიჩქარე, მზის ნათება დღის პირველ და მეორე ნახევარში და ა. შ. როგორც აღვნიშნეთ, ეს კეთებოდა წლების განმავლობაში. ამას აკეთებდნენ მეცნიერთა ჯგუფები, რომლებიც მივლინებებით ჩადიოდნენ ადგილზე და ქრონომეტრაჟული დაკვირვებებით, სინჯების აღებით და სხვა მეთოდებით ქმნიდნენ ფაქტიურად უტყუარ, თითოეული დასახლებული პუნქტის, ვაკის და მთის, ქედების და ზეგნების გეოინფორმაციულ ბაზას. ეს ყველაფერი ჩვენივე დაუდევრობით, ჩვენი უნიათობით დაუბრუნებლად დაიკარგა. ეს ინსტიტუტები აღარ არსებობს. ის ხალხიც, ვინც ამას ქმნიდა, დაბერდა და დაიხოცა. ეხლა ვინაა ამის გამკეთებელი, ისეთივე რუდუნებით, გულმოდგინებით, თავდადებით და პატიოსნებით? ჩვენ ვთვლით, რომ არავინ. ამის მიუხედავად, ეს უნდა გაკეთდეს. თუ ეს არ გაკეთდა, რეგიონის ეკონომიკური განვითარების სწორ სტრატეგიის შემუშავებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან იგი ეფუძნება ბიზნესის განვითარების სტრატეგიას რეგიონში, ეს უკნასკნელი კი – რეგიონის გეოინფორმაციულ მასალებს.

საქართველოს რეგიონები, უღარიბეს, ღარიბ და საშუალო დონის რეგიონებად იყოფა. კახეთი ღარიბ რეგიონების რიცხვშია. კახეთში ერთი დასაქმებულის საშუალო თვიური ხელფასი 460,3 ლარია. მასზე ნაკლები აქვთ მხოლოდ გურიას (397 ლარი), რაჭა-ლეჩხუმს და ქვემო სვანეთს (381,6 ლარი). მთლიანად საქართველოში კი, იგი 800,5 ლარია [5, გვ. 119]. ერთ სულ მცხოვრებზე ანგარიშით კახეთში წარმოებული სამენარმეო პროდუქტის მოცულობა მინიმალური

სიდიდისაა. 2014 წელს მან შეადგინა მხოლოდ 1766 ლარი (კიდევ უფრო მცირე იყო იგი წინა წლებში. 2010 წელს იგი მხოლოდ 586 ლარს შეადგენდა). ასეთ დროს, იგივე მაჩვენებელი სამეგრელოში 3351 ლარია, იმერეთში 2722 ლარი, ქვემო ქართლში 5236,6 ლარი, აჭარაში 5703 ლარი, მთლიანად საქართველოში კი საშუალოდ – 5793 ლარი [5, გვ. 37]. ერთ სულ მცხოვრებზე სამენარმეო პროდუქტის გამოშვებით კახეთს ჩამორჩება მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმი, მცხეთა-მთიანეთი და გურია.

უღარიბეს და ღარიბ რეგიონების განვითარების დონეებს შორის გამოსათანაბრებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიცემა გამოთანაბრებითი ტრანსფერი. მას იღებს კახეთიც. ჩვენი აზრით, გამოთანაბრების საკითხის დადგომამდე, უნდა გაირკვეს რეგიონის რეალური პოტენციალი და მისი ამუშავების შესაძლებლობა. გურიას, რაჭას და მცხეთა-მთიანეთს, შეიძლება მართლაც არა აქვს მდიდარი თუ არა, საშუალო დონის რეგიონად ქცევის პოტენციალი, მაგრამ კახეთის რეგიონს ეს ოდითგანვე ჰქონდა. საბჭოთა დროს, საქართველოს მთავრობას პიარისთვის სჭირდებოდა მთელი ქვეყნის და მათ შორის კახური ყურძნის ხელოვნურად გაათმაგებული მოსავლიანობის დაფიქსირება. რეგიონს დღეს ეს არ სჭირდება, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ რა გვაქვს რეგიონში და რეალურად (მაქსიმალურად) რისი მიღწევა შეგვიძლია. ყველამ ვიცით საყოველთაო აღიარებული ფრაზა – «წარმოდგენელია გზა გაიკვლიო თუ არ იცი, სად იმყოფები». აქედან გამომდინარე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი პირველი წინადადებაა დაუყოვნებლივ შეიკრას მეცნიერთა და პრაქტიკოსთა გუნდები, რომელთაც მაღალპროფესიონალიზმის გარდა ქვეყნის ბედიც ანაღვლებთ და მათ მიერ დაიწყოს საქართველოს რეგიონებში, მათ შორის კახეთის რეგიონში ბიზნეს-ლანდშაფტის პირობების ანუ ბუნებრივი ლანდშაფტის აღწერა. ეს სამუშაო უნდა ჩატარებულიყო რეგიონებად საქართველოს დაყოფისთანავე, რათა რეგიონებს თავიდანვე სცოდნოდათ თავის სასტარტო პირობები ანუ, ის, თუ «სად იმყოფებოდნენ».

დღეს ჩვენ ზოგადად ვიცით, რომ კახეთის რეგიონი სასოფლო-სამეურნეო, კერძოდ, მევენახეობა-მელვინეობის ზონაა (იხ. ცხრილი 1), მაგრამ თუ გვექნება მისი უტყუარი გეოინფორმაციული მონაცემები მისი ბუნებრივი ლანდშაფტის შესახებ, შეგვიძლება სასოფლო-სამეურნეო სექტორების ურთიერთჩანაცვლება, გამორიცხვა ან პირიქით დამატება.

გეოინფორმაციული მონაცემების მოპოვება არ შეიძლება ვანდოთ რეგიონის სოფლების გამგებლობაში პარტიული ნიშნით მოკალათებულ საეჭვო პროფესიონალური რეპუტაციის ახალგაზრდებს, რადგან მათ მიერ წარმოებული აღრიცხვა თანამდებობის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული. რეგიონის მომავლის სწორი დაგეგმვა-პროგნოზირება კი ითხოვს რეალურ, უტყუარ მასალას. ამის უზრუნველსაყოფად საჭიროა სპეციალისტთა ჯგუფებმა დამოუკიდებლად იმუშაონ, თითოეულ რაიონში და თითოეულ სოფელში ჩაატარ-

კახეთის რეგიონის ზონალური სასოფლო-სამეურნეო ბიზნეს-ლანდშაფტი [6, გვ. 163]

ზონები	ქვეზონები	რაიონები
შიდა კახეთის სამრეწველო მევენახეობის ზონა	1 ^ა სამრეწველო მევენახეობის ქვეზონა	ახმეტა, თელავი, ყვარელი, გურჯაანი
	1 ^ბ მევენახეობის და მეთამბაქოების ქვეზონა. საადრეო მებოსტნეობის ქვეზონა	ლაგოდეხი
გარე კახეთის მევენახეობის, მემარცვლეობის და მეცხოველეობის ზონა	მემარცვლეობის ქვეზონა	დედოფლისწყარო
	მევენახეობის ქვეყანა	სიღნაღი
	მეცხოველეობის ქვეზონა	საგარეჯო

ონ ქრონომეტრაჟები, აიღონ და შეამოწმონ ნიადაგის სინჯები, მოუსმინონ სოფლის მცხოვრებლებს. ყველა სოფელში მოიძებნება ისეთი ბრძენი კაცი, რომელმაც თავისი სოფლის რესურსი გამგებლობის ჩინოვნიკებზე უკეთ იცის. ოპონენტებს, რომლებიც ამ საკითხზე აუცილებლად შემოგვედავებიან, ახლავე ვუპასუხებთ: არა თუ გამგებლობების ანგარიშგებაში ვერ ნახავთ, არამედ თვით გამგებელიც ვერ გიპასუხებთ, თუ, თავისივე სოფლის მთის რომელ ფერდობებს აცხუნებს მზე დილით და რომელს საღამოს. სოფლის გლეხკაცმა კი ეს შესანიშნავად იცის. ამას კი ის მნიშვნელობა აქვს, რომ დიდი დაქანების ფერდობებზე მაღალი მოსავლიანობით მხოლოდ ქერის მოყვანა შეიძლება, რადგან ქერს დილის მცხუნვარე მზე სჭირდება, სხვა კულტურებს კი – არა.

ბუნებრივ ლანდშაფტს ეფუძნება არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ბიზნესი, არამედ ტურიზმიც, ხე-ტყის ჭრის და ხერხვის ბიზნესიც, საშენ მასალათა წარმოება-მოპოვებაც, პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებაც (წისქვილკომბინატები, ღვინის დაყენება, ზეთსახდელეები, რძის პროდუქტების წარმოება) და ზოგიერთი სხვაც. რა თქმა უნდა, არის ბიზნესის ისეთი სახეებიც, რომელთაც არ სჭირდებათ რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტის მონაცემები ასეთებია: საბანკო, სადაზღვევო, საკონსულტაციო ბიზნესი, მაგრამ ისინი რეგიონში მცირე ხვედრითი წილით არიან წარმოდგენილნი და მნიშვნელოვნად არ აპირებენ რეგიონის მეურნეობრივ სახეს ანუ მის ბიზნეს-ლანდშაფტს.

დღეს, ჩვენ ვიცით, ბიზნესის რომელი სახეებია გავრცელებული კახეთის რეგიონის ამა თუ იმ სოფელში – სად მევენახეობა (კერძოდ, ყურძნის ჯიშებიც კი), სად მემარცვლეობა, სად მებოსტნეობა, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმის გამო, რომ არა გვაქვს (დაკარგული გვაქვს) რეგიონის გეოინფორმაციული მონაცემები, შეუძლებელია შევაფასოთ რეგიონის დღევანდელი ბიზნეს-ლანდშაფტის გეოგრაფიული განფენილობა, აღმოვაჩინოთ მასში დადებითი ან უარყოფითი ნიშნები, შევთავაზოთ მათ უკეთესი ალტერნატივები და ა. შ. აი, ამიტომ მიგვაჩნია, რომ რიგით პირველი, თანაც სასწრაფო და გადაუდებელი

საქმე არის რეგიონის უტყუარი გეოინფორმაციული ფონდის შექმნა.

რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტის შეფასება ხდება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ჭრილითაც. აქ მისი ვერტიკალური და ჰორიზონტალური განფენილობა იგულისხმება. ვერტიკალური განფენილობა ბიზნესის განვითარების სიღრმეს გვიჩვენებს, ანუ იმას თუ რამდენად ამომწურავად არის გამოყენებული ბიზნესის რესურსი. რადგან სხვადასხვა სახის ბიზნესს სხვადასხვა რესურსი სჭირდება, ვერტიკალური განფენილობა, ცხადია, ბიზნესის სახეების მიხედვით უნდა იყოს შესწავლილი და განხილული. ამასთან, გასარკვევია ისიც, რომ ეს რესურსი რა მოცულობისაა – დიდია თუ მცირე. დიდი – დიდ ბიზნესს აამუშავებს, პატარა კი – მხოლოდ მცირეს. ასე რომ, რეგიონის გეოინფორმაციული მასალის მოკვლევა, არა მხოლოდ ბიზნეს-ლანდშაფტის გეოგრაფიული, არამედ, მის ჰორიზონტალური განფენილობის გასარკვევადაც გამოდგება.

იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელსაც სტატისტიკის სახელმწიფო სამსახური აქვეყნებს, კახეთის ბიზნეს-ლანდშაფტის ვერტიკალური განფენილობა ყველაზე «ღრმა» არის მევენახეობა-მეღვინეობის ბიზნესში. მევენახეობისთვის გამოყენებულია არა მხოლოდ ყველაზე კულტურული ნიადაგები (ნემომპალა-კარბონატული, ტყის ყავისფერი ნიადაგები, შავმიწა ნიადაგები), არამედ, ნაბლა და ალვეიურ-უკარბონატო ნიადაგებიც კი. ვენახს აქვს დაკავებული: გურჯაანში – 7618 ჰექტარი, ყვარელში – 6382 ჰექტარი, თელავში – 6048 ჰექტარი, დედოფლისწყაროში – 1498 ჰექტარი, ახმეტაში – 1747 ჰექტარი, სიღნაღში – 920 ჰექტარი, ლაგოდეხში – 877 ჰექტარი [7, გვ. 15].

კახეთში ყურძნის 66 ჯიშია გავრცელებული [8, გვ. 23] და გლეხური ან ქართული წესით ამდენივე სახის ღვინოც მზადდება. რეგიონის მევენახეობაში 11 მსხვილი კოოპერატივი შეიქმნა. არის 43 – ხუთ-ათწევრიანი საშუალო სიდიდის მევენახეთა კოოპერატივებიც. დანარჩენი წვრილი მენარმეებია. ინდემნარმეები თავისი ოჯახის წევრების დახმარებით უვლიან მათ კუთვნილ ვენახებს.

იგივე ითქმის მეღვინეობაში. აქაც, კახეთს აქვს

მსხვილი ფირმებიც, საშუალოც და წვრილი საოჯახო მარნებიც («ქვევრის ღვინო»). წვრილი მარნები არ არიან რეგისტრირებულნი.

კახეთში ძირითადად მაღალხარისხოვანი სუფრის თეთრი და წითელი მშრალი, ბუნებრივად ტკბილი და სადესერტო ღვინოები იწარმოება. ევროპული ტიპის სუფრის თეთრი, მაღალხარისხოვანი, საუკეთესო საგემოვნო თვისებების მქონე ღვინოები მზადდება წინანდლის, ნაფარეულის, გურჯაანის, მანავის და სხვა მიკროზონებში, ადგილობრივი უნიკალური თეთრყურძნიანი ვაზის – რქაწითელის, მწვანე კახურის, ხიხვის და ქისის ჯიშების ყურძნებისგან. სუფრის წითელი მშრალი, მაღალხარისხოვანი სასიამოვნო არომატის მქონე ღვინოები მზადდება ქართული აბორიგენული წითელყურძნიანი ვაზის ჯიშის საფერავისგან, ქინძმარაულის, თელიანის, ახაშენის, მუკუზანის, ხაშმის და კახეთის სხვა მიკროზონებში. კახეთში მზადდება წარმოშობის ადგილის დასახელების, ბუნებრივად ტკბილი წითელი ღვინოები მხოლოდ, ახაშენის, ქინძმარაულის და მუკუზანის მიკროზონებში. მას აქაური მიკროკლიმატი, ნიადაგები და ქართული ვაზის ჯიშის – საფერავის მაღალი შაქრის და მჟავების დაგროვების უნარი განაპირობებს.

კახეთმა საუკუნეთა მანძილზე შექმნა და ჩამოაყალიბა სუფრის ღვინის ორიგინალური ტიპი, რომელიც საკმაოდ განსხვავდება მსოფლიოში არსებული ღვინის ამ ტიპებისგან., იგი ერთადერთი, მშრალი ორიგინალური ღვინოა მსოფლიოში. გამოირჩევა მაღალი ექსტრაქტულობით, ფენოლური ნაერთების და ტანინის მაღალი შემცველობით, სასიამოვნო ბუკეტით, ჯამური არომატითა და გემოთი და რაც მთავარია, კახური ტიპის ღვინო მდიდარია ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებით.

რაც შეეხება კახეთის ღვინის ბიზნეს-ლანდშაფტის ჰორიზონტალურ მომცველობას, მას მისი ექსპორტი გვიხსნათებს: მე-20 საუკუნის ბოლოდან კახეთის ღვინომ თანდათან ისეთ რთულ და მკაცრ ბაზრებზე შეაღწია, როგორც ევროპის, ამერიკის და აზიის ბაზრებია.

საქართველოდან ყოველწლიურად 2007-2010 წლებში 12 მლნ ლიტრი ღვინო გადიოდა ექსპორტზე. აქედან ექსპორტის – 70% მოდიოდა კახეთის ღვინოზე. ამჟამად ექსპორტი 6 მლნ ლიტრამდე შემცირებულია რუსეთის მიერ ემბარგოს გამოცხადებით, თუმცა რუსეთის მხრიდან გარკვეული ემბარგოს მოხსნის დამაიმედებელი განცხადებები თანდათან კეთდება, რაც დიდად სასარგებლო იქნება კახეთის რეგიონისთვის.

ქართული ღვინის ექსპორტში ყველაზე მნიშვნელოვანი წილი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებზე მოდის. ისინი მევენახეობის სპეციფიკურ ზონებში მოკრეფილი ყურძნისგან მზადდება. ქართული ღვინის 6 მლნ ლიტრ ექსპორტში ადგილწარმოშობის ღვინოებს 29% უკავია, აქედან 82% კახეთის ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებზე მოდის.

ეს სავარაუდოდ არის 1,4 მლნ ლიტრი. მათ კახეთის ღვინის კომპანიები აწარმოებენ. ამის გარდა საოჯახო მარნებიც წელიწადში 160 ტონამდე ღვინოს ყიდნიან. ძირითადად ეს არის ჩამოსასხმელი ქვევრის ღვინო. მას თავისი სტაბილური მომხმარებელი ჰყავს. 2014 წელს კახეთში 122,2 ათას ტონაზე მეტი ყურძენი გადამუშავდა, ანუ მთლიანად საქართველოში მონეული ყურძნის 98,5%. ამავე წელს საქართველოდან ექსპორტზე გავიდა 181 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო. რალა თქმა უნდა, რომ მისი 85-90% კახური ღვინო იყო.

მევენახეობა-მეღვინეობის SWOT-ანალიზით დგინდება (იხ. ცხრილი 2), რომ კახეთის რეგიონში ამ სფეროს განვითარებას მეტად ანგარიშგასანევი ძლიერი მხარეები აქვს, შესაძლებლობები კი – უფრო მეტი. ისინი აშკარად ჭარბობენ სუსტ მხარეებს და საფრთხეებს, რომლებიც თუ რეგიონის ხელმძღვანელობა იაქტიურებს, აშკარად მოგვარებადნი იქნებიან. მაგალითად, სუსტ მხარეებად მიჩნეული ვაზის სანერგეს არარსებობა, ნერგის ლაბორატორიული შემოწმების ხელმიუწვდომლობა და ვაზის საძირეთა და ვაზის ჯიშის წმინდა სადედეების არარსებობა, მთლიანად მოიხსნება რეგიონში ერთი სრული ტექნოლოგიური ციკლის მქონე სანერგეს გახსნით. ასევე ამაღლება მევენახე-მეღვინეთა დაბალი კვალიფიკაცია, რომელიც ასევე სუსტ მხარეებშია დაფიქსირებული, თუ მათ რეგიონის ხელმძღვანელობა მოუწყობს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს და ა. შ. სხვათაშორის ამ სუსტი მხარეების გამოსწორებას რეგიონის ხელმძღვანელობა შესაძლებლობებში აფიქსირებს. ეს სრულიად სწორი მიდგომაა. მთავარია, რომ ეს ქალაქებზე დაწერილად არ დარჩეს და პრაქტიკულადაც განხორციელდეს. მოცემულ რეგიონის მევენახეობა-მეღვინეობის SWOT-ანალიზის სუსტ მხარეებში ჩვენი ყურადღება ყველაზე მეტად მიიპყრო დაბალშემოსავლიანმა და გამეჩხერებულმა ვენახებმა. ასეთ ვენახებს საკმაოდ დიდი ფართობები უკავიათ კახეთში. შეიძლება დაბალ შემოსავალს მწირი ნიადაგები იძლევა, შეიძლება ეს ვენახები ყურძნისთვის ნაკლებშესაფერის ნიადაგებზეა გაშენებული და ეს არის ამის მიზეზი. სწორედ ამიტომ გვჭირდება ნიადაგის შემსწავლელი სპეციალისტები, რომლებიც ჩაერთვებიან ჩვენს მიერ ზემოთდასახელებულ გეოინფორმაციული მასალის შემკრებ ჯგუფებში და რეგიონის ხელმძღვანელობას ნიადაგების შესახებ მისცემენ სწორ დასკვნებს. დამოუკიდებლად მევენახე-მეღვინე გლეხები (ფერმერებიც კი) ამას ვერასოდეს ვერ გააკეთებენ. ამას სპეციალისტები და ლაბორატორიული შემოწმებები სჭირდება.

რაც შეეხება გამეჩხერებულ ვენახებს ამას ვენახის დაბერება და სხვადასხვა ავადმყოფობები იწვევს. მევენახეებს ამ საქმეში კონსულტაციაც კი არ სჭირდებათ. მათ იციან, რომ ვენახს განახლება უნდა, მაგრამ მათ საამისოდ არა აქვთ ფინანსური საშუალებები. აი, აქ სჭირდებათ მათ სუბსიდია და არა კრედიტი. კრედიტი თუნდაც იაფი, მათ აშინებთ, რადგან ახლად ჩაყრილი ვენახი 3 წელზე ადრე მოსავალს არ იძლევა. ეს 3 წელი კი მევენახემ, არაფერშემოსავლის მქონემ,

მეღვინეობა. SWOT-ანალიზი

<p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ვაზის კულტურული ჯიშების მრავალფეროვნება. ➤ ნაყოფიერი ნიადაგები. ➤ აგროკლიმატური პირობები. ➤ ღვინის დამზადების ორიგინალური მეთოდები. 	<p>სუსტი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ვაზის თანამედროვე სანერგე მეურნეობის არარსებობა, გამონაკლისია თელავში, სოფელ კონდოლში მოქმედი ქართულ-ფრანგული ინვესტიციით მოწყობილი ვაზის სანერგე «არივიე ჯორჯია» და ასევე რამდენიმე მსხვილი ფერმერის სანერგე მეურნეობა, თუმცა მათ სრული ტექნოლოგიური ციკლი არ გააჩნიათ. ➤ ვაზის საძირეთა და ვაზის ჯიშთა წმინდა სადედეების არარსებობა. ➤ ნერგის ლაბორატორიული შემოწმების ხელმიუწვდომლობა. ➤ დაბალმოსავლიანი და გამეჩხერებული ვენახები. ➤ ღვინის სანარმოში დანაკარგების შესახებ სახელმწიფო ნორმების არარსებობა. ➤ საოჯახო ღვინის მარნების პროდუქციის ბაზარზე ხელშეწყობის არარსებობა. ➤ მევენახე-ფერმერთა და მეღვინეთა კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების დაბალი დონე. ➤ შხამ-ქიმიკატების ფალსიფიკაცია და სიძვირე. ➤ სასუქების და სანვავის სიძვირე. ➤ სეტყვა, გვალვა, ქარი.
<p>შესაძლებლობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ვაზის თანამედროვე სანერგე მეურნეობების მოწყობა და სერტიფიცირებული და მაღალხარისხოვანი ვაზის ნერგის ხელმისაწვდომობა. ➤ საოჯახო და მცირე სიმძლავრის მარნებში თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარების მოწყობა. ➤ ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე რეგიონში წარმოებული ღვინოების წინ წაწევა. ➤ ღვინის წარმოებაში სანარმოო დანაკარგების სახელმწიფო ნორმების შემუშავება. ➤ მწარმოებლებისთვის ლაბორატორიული მომსახურების ხელმისაწვდომობა. ➤ პროფესიული გადამზადების სპეციალური პროგრამების დანერგვა. 	<p>საფრთხეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ნიადაგის მიწისქვეშა მავნებლების (კავკასიის მარმარა ღრაჭა) გავრცელება. ➤ საინვესტიციო გარემოს გაუარესება. ➤ საექსპორტო ბაზრების დაკარგვა.

ბანკს პროცენტი უნდა უხადოს.

საჭიროა რეგიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღწეროს ასეთი ვენახები, ექსპერტების დახმარებით გამოიანგარიშოს მათი აღდგენა-განახლების სრული ხარჯები და ადგილობრივ ბიუჯეტში გაითვალისწინოს მათი სუბსიდირება. ეს საქმეც დაყოვნებას არ მოითმენს, ეს საქმეც გადაუდებელია.

სუსტ მხარეებში სახელდება შხამ-ქიმიკატების და სასუქების ფალსიფიცირება და სიძვირე. ქვეყნები, რომლებიც რაიმე პროდუქტის ადგილობრივ წარმოების პროტექციონისტულ პოლიტიკას ატარებენ, მათთვის საჭირო რესურსების შესაძენად ადგილობრივ მომწოდებლებს ფასის ზღვარს უწესებენ. მევენახეობა-მეღვინეობა მეურნეობის ის სექტორია, რომელიც

ქვეყნის მთავრობის მხრიდან აუცილებლად პროტექციონიზმის «ქოლგას» საჭიროებს. თუ ამ სექტორის მიმართ საქართველოს მთავრობაში ეს მიდგომა ჩამოყალიბდება, მაშინ კახეთში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მართლაც «ბუმი» დაიწყება, რადგან სახელმწიფო ამ სექტორის ბევრ სუსტ მხარეს თვითონ გამოასწორებს და საფრთხეების აცილებასაც თვითონ დაუდგება თავდებად. ასეთ შემთხვევაში კახეთის რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის ბიზნეს-ლანდშაფტი მიიღებს სრულ განფენილობას (გეოგრაფიულად, ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად). დღეს კი, ეს განფენილობა, სრული არ არის. იმ ნიადაგებზე სადაც ვენახი უნდა აიყოს სხვა კულტურებია დათესილი და პირიქით, იქ სადაც მევენახეობის მსხვილი კოოპერატ-

ივი უნდა იყოს, წვრილ-წვრილი ინდემნარმეები და არ-არეგისტრირებული მევენახე გლეხები დასაქმებული და პირიქით. დაბალია ჰორიზონტალური კავშირებიც – ქვეყრის ღვინოს უჭირს წინ წაწევა საერთაშორისო ბაზარზე, რადგან მას ძირითადად მევენახე-მელვინე გლეხები ამზადებენ, რომელთაც ასეთი კავშირები არა აქვთ და ა. შ.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის თქმა დაგვჭირდა, იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ კახეთის მევენახეობა-მელვინეობას სახელმწიფოს ხელი სჭირდება, მას მფარველობა, მზრუნველობა და პატრონობა სჭირდება. საქართველოს მთავრობამ ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობად უნდა გამოიყენოს ის ფაქტი, რომ კახური ტრადიციული მეთოდით დაყენებულ ღვინოს ანალოგი არ მოეპოვება მთელ მსოფლიოში, რის გამოც საერთაშორისო ირგანიზაცია UUNEMHO-მ ეს მეთოდი შეიტანა მსოფლიო არამატერიალური კულტურის საგანძურის ნუსხაში. კახური ტრადიციული ღვინოებისთვის საუკეთესო ყურძენი მოდის ბაკურციხიდან ანაგამდე მიკროზონებში. საქვეყნოდ არის ცნობილი კარდანახული წარაფი. კახეთის თეთრი ღვინოების წინამძღოლია წინანდალი და საფერავი, რომლებთანაც დაკავშირებულია ქართული მელვინეობის წარსულიც და მომავალიც. ამჟამად კახეთში საფერავის ბუშია. მის ჩამოსხმაში ჩართულია ახალი ტექნოლოგიები. აღდგა ძველი ტრადიციული მეთოდებიც და ქვეყრის საფერავს უკვე ღირსეული ადგილი უჭირავს მსოფლიო საუკეთესო ღვინოებში. წითელყურძნიან ღვინოებს შორის ღვინოებს «მუკუზანი», რომელსაც უამრავი ჯილდო აქვს მიღებული. იგივე მდგომარეობაში არიან ახამენი, ქინძმარაული და ნაფარეული.

2011 წლის ივლისში საქართველომ ხელი მოაწერა ორმხრივ შეთანხმებას ევროგაერთიანებასთან გეოგრაფიული აღნიშვნის (GI) აღიარებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით ევროგაერთიანებამ 18 ქართული ღვინის გეოგრაფიული აღნიშვნა აღიარა. აქედან 11 არის კახეთის გეოგრაფიული პუნქტები. რეგიონისთვის ეს წარმატებაც არის და საამაყოც. თუმცა, იგი კახეთის ღვინის გეოგრაფიის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კახეთის მელვინეები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ღვინის ბიზნეს-ლანდშაფტის გეოგრაფიული მომცველობა უფრო გაფართოვდეს და კახეთიდან მას კიდევ სხვა გეოგრაფიული პუნქტებიც დაემატოს.

კახეთის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის სხვა სახეებიც არის განვითარებული, სახელდობრ:

➤ **მემარცვლეობა** – მარცვლეული კულტურებიდან წამყვანია ხორბალი. ხორბლის ნათესი ფართობით და წარმოებით კახელი წამყვანი რეგიონია საქართველოში. საშუალოდ წელიწადში იგი 50 ათას ტონა ხორბალს აწარმოებს. მეორე ადგილზეა ქერი. წელიწადში საშუალოდ 6 ათასი ტონა ქერი იწარმოება. ქერის წარმოების წილი 28-29 პროცენტია. კახეთში მზესუმზირის წარმოებაცაა განვითარებული, სიმინდის კულტურაც;

➤ **მეხილეობა-მეხარეობა** – საადრეო ბოსტნე-

ულის წარმოება მეტად განვითარებულია ლაგოდეხის, გურჯაანის და ყვარლის ზონებში. მოყავთ საადრეო მარწყვი, კიტრი, ნესვი, პომიდორი და სხვა. ეს კულტურები დაახლოებით 300 ჰექტარზე ითესება;

➤ **მეხილეობა** – ატმის ძირითადი მწარმოებელია გურჯაანის რაიონი, საგარეჯოს რაიონი, ხურმისა და სხვა თესლოვანი ხილისა ლაგოდეხი, ნაწილობრივ თელავი, სიღნაღი და ყვარელი. კურკოვანი ხილის წარმოებაში კახეთს საქართველოში 38%-მდე უკავია.

➤ **მეკარტოფილეობა** – ამ კულტურისთვის ნაყოფიერი ნიადაგებია მთათუშეთში და გომბორის უღელტეხილზე მდებარე სოფლებში. მეკარტოფილეობას კახეთში ძირითადად საოჯახო წარმოების ხასიათი აქვს;

➤ **მეცხოველეობა** – საქართველოს მეცხოველეობის მთლიან სულადობაში კახეთს მხოლოდ მეხუთე ადგილი უკავია და მისი წილი 9%-ს შეადგენს. ცხოველთა სულადობით განსაკუთრებით გამოირჩევიან საგარეჯო, ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, სიღნაღი და ყვარელი. საქონლის ხორცის წარმოებით კახეთი საქართველოში მეოთხე ადგილზეა, ხოლო რძის წარმოებას 6-7% უკავია. განვითარებულია მეცხვარეობა (ახმეტა, დედოფლისწყარო, საგარეჯო) და მელორეობა. დღეს ქვეყანაში წარმოებული ღორის ხორცის საერთო მოცულობაში კახეთის წილი 10-15%-ია;

➤ **მეფრინველეობა** – ქვეყნის ფრინველების საერთო რაოდენობაში კახეთს 15-17% უკავია, ფრინველის ხორცის წარმოებაში – 10-12%, ხოლო კვერცხის წარმოებაში – 15-18%. საგარეჯოსა და პატარძელში ფუნქციონირებენ მეფრინველეობის ფაბრიკები;

➤ **მეფუტკრეობა** – განვითარებულია ყვარელში, სიღნაღში და გურჯაანში. მეფუტკრეობის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს ლაგოდეხს, რომლის ტყე და მინდვრები მალახარისხოვანი თაფლის წარმოების შესაძლებლობას იძლევა.

მეურნეობის ამ მრავალფეროვნების მიუხედავად ამ სექტორებს ნაკლებად აქვთ სამრეწველო მნიშვნელობა. მათ დიდ ნაწილს ოჯახები აწარმოებენ და თვითონვე მოიხმარენ. ამასთან, მეურნეობის ამ სექტორების SWOT-ანალიზი მათ შესახებ უამრავ სუსტ მხარეზე და საფრთხეზე მიგვითითებს (იხ. ცხრილი 3) მემარცვლეობაში – მოსავლიანობის დაბალ დონეს, მაღალ თვითღირებულებას, დაბალ კონდიციურ სათესლე მასალას, მავნებლების გავრცელებას და სხვას; მეხილეობა-მეხარეობაში – პროდუქტების მალეფუჭადობას, სამაცივრე და სასაწყობო მეურნეობების არ არსებობას (ან სიმორე), მავნებლების გამრავლებას, გვალვებს და სხვა; მეხილეობაში – დაბალმოსავლიანობას, რეალიზაციის პრობლემას, სამაცივრე მეურნეობის სიმცირეს, ქარიშხალს, გვალვას, სეტყვას და სხვა; მეკარტოფილეობაში – სავარგულების ურწყვადობას, თანამედროვე ტექნიკის ხელმიუწვდომლობას, სტიქიურ მოვლენებს, აგრონომების ნაკლებობას და სხვა; კიდევ უფრო მეტია სუსტი მხარეები მეცხოველეობა-მეფრინველეობა და მეფუტკრეობაში. ესენია: დაბალპროდუქტიულობა, საშიშ დაავადებათა მატება, ვეტერინალური სექტორის განუვითარებლობა, სა-

ცხრილი 3

კახეთის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის ძირითად მიმართულებათა (გარდა მევენახეობა-მელვინეობისა) SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები	შესაძლებლობები	საფრთხეები
მემარცვლეობა			
<p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> უნიკალური ხორბლის სახეობების მრავალფეროვნება. ნაყოფიერი ნიადაგები და ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები. 	<p>სუსტი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. დაბალკონდიციური სათესლე მასალა. საშექტარო მოსავლიანობის დაბალი მაჩვენებელი. დასარაიონებელი ახალი ჯიშები. წარმოებული პროდუქციის მაღალი თვითღირებულება. <p>ზეთსახდელებში გამოხდილი ზეთის დაბალი ხარისხი და გამოსავლიანობა.</p>	<p>შესაძლებლობები:</p> <ul style="list-style-type: none"> თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სათესლე და ჯიშთა გამოცდის მეურნეობების მოწყობა. მაღალკონდიციური სათესლე მასალის წარმოება. სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა. ინვესტიციების მოზიდვა წისკვილების, ზეთსახდელების, სპირტსახდელებისა და ცხოველთა საკვების მწარმოებელი ქარხნების ასაშენებლად. 	<p>საფრთხეები:</p> <ul style="list-style-type: none"> სტიქიური მოვლენები: სეტყვა, ქარი და გვალვა. გამოუცდელი ჯიშების დათესვა. კალიების გამრავლება და სხვა საშიში მავნებლების ფართო გავრცელება.
მებოსტნეობა-მებაღეობა			
<p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ნაყოფიერი ნიადაგი და ხელსაყრელი აგროკლიმატური გარემო. 	<p>სუსტი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> შესანახი სასაწყობო ფართობის ნაკლებობა. მალფუჭებადი კულტურებისათვის სამაცივრე საწყობების სიმორე და მუნიციპალიტეტებში მათი არარსებობა. საკონსერვო ქარხნების არარსებობა. კვალიფიციური აგრონომების ნაკლებობა. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელმიუწვდომლობა. 	<p>შესაძლებლობები:</p> <ul style="list-style-type: none"> რეგიონში, განსაკუთრებით კი, დედაქალაქთან ახლოს მდებარე მუნიციპალიტეტებში, საგარეჯოსა და თელავში შესაძლებელია სასათბურე მეურნეობების შექმნა. სანედლეულო ბაზის გაფართოება. საკონსერვო ქარხნების მშენებლობა. ბოსტნეულ-ბაღეული კულტურების შესანახი სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობების შექმნა ინვესტიციების მოზიდვით. მაღალმოსავლიანი და დასარაიონებელი ჯიშების გამოყენებით იმპორტირებული არაქისის ადგილობრივი წარმოების პროდუქციით ეტაპობრივი ჩანაცვლება. 	<p>საფრთხეები:</p> <ul style="list-style-type: none"> გვალვა, წყალდიდობა, სეტყვა და ქარიშხალი. მავნებლების გამრავლება.
მეხილეობა			
<p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ნაყოფიერი ნიადაგები, ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები და ხეხილის მრავალფეროვანი ჯიშები. ბიო-მეხილეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები. 	<p>სუსტი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> დაბალმოსავლიანი ხეხილის ბალები. აჭმის სიმწიფის პერიოდში მისი რეალიზაციის პრობლემა ან გაყიდვა დაბალ ფასში. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევის ხელმიუწვდომლობა. სამაცივრე მეურნეობების სიმცირე და მომსახურების მაღალი ფასი. საკონსერვო ქარხნების არარსებობა. კვალიფიციური აგრონომების ნაკლებობა. 	<p>შესაძლებლობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ხეხილის ჯიშების თანამედროვე სანერგე მეურნეობების შექმნა. სერტიფიცირებული ხეხილის ნერგებით ბალების გაშენება. სამაცივრე მეურნეობების მოწყობა 	<p>საფრთხეები:</p> <ul style="list-style-type: none"> სეტყვა, ქარიშხალი, ყინვა. ნიადაგის მიწისქვეშა მავნებლების გავრცელება.

მეკარტოფილეობა			
<p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ნაყოფიერი ნიადაგები. ➤ ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები. ➤ ბიოპროდუქციის წარმოების მაღალი პოტენციალი. 	<p>სუსტი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სავარგულები არ ირწყევა. ➤ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმიუწვდომლობა, ფერმერები ძირითადად ხელით შრომას ეწევიან. ➤ რეგიონში კვალიფიციური აგრონომების ნაკლებობა. ➤ ფერმერებს არ აქვთ მაღალკონდიციური სათესლე მასალა. 	<p>შესაძლებლობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ კახეთის მთიან რეგიონებში ბიოკარტოფილის წარმოება. ➤ თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვა. ➤ სასაწყობო და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის, აგრეთვე თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეყვანა რეგიონში. 	<p>საფრთხეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სტიქიური მოვლენები: სეტყვა, ქარიშხალი, ძლიერი ყინვა.
მეცხოველეობა			
<p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ კარგი აგროკლიმატური პირობები. ➤ საძოვრებისა და სათიბების დიდი მასივები. 	<p>სუსტი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დაბალკალორიული საძოვრები. ➤ არსებული პირუტყვის დაბალპროდუქტიულობა. ➤ უმძიმესი ეპიზოტიური მდგომარეობა. ➤ ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების შემთხვევების მატება. ➤ ცხოველთა გადასარეკი ტრასების მოუწესრიგებლობა. ➤ ცხოველთა ინვენტარიზაციისა და პასპორტიზაციის არარსებობა. ➤ კერძო ვეტერინარული სექტორის განუვითარებლობა. ➤ სამართლებრივი ბაზის სისუსტე. ➤ სოფლად არსებული ვეტუბნების უმოქმედობა. ➤ ამ სფეროში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. ➤ ჯიშთსაშენი მეურნეობების არარსებობა. ➤ მკვეთრად გაუარესებული ეპიზოოტოლოგიური მდგომარეობა, ცხვარში არსებული დაავადებები, განსაკუთრებით თურქული. 	<p>შესაძლებლობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საძოვრების დიდი მასივებზე ცხოველთა საკვები კულტურების დათესვა, გასარწყავება. ➤ მაღალპროდუქტიული პირუტყვის გამრავლება მორიგეობითი ძოვებით, თანამედროვე ჯიშთსაშენების მონყობა. ➤ ხელოვნური დათესვის პუნქტების მონყობა. ➤ ცხოველთა სასაკლაოების მონყობა. ➤ კერძო ვეტერინარული სისტემის ფორმირება. ➤ რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელი თანამედროვე ტიპის საწარმოების შექმნა. 	<p>საფრთხეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების ეპიდემია (თურქული, ბრუცელოზი, ასევე ცალკეულ შემთხვევებში კი ჯილეხი).
მეფრინველეობა			
<p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ რეგიონში ფრინველთა – ქათამი, მწყერი, ხოხობი, ინდაური, იხვი, ბატი და ა. შ. სახეობათა გამოზრდისთვის ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები. 	<p>სუსტი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მეფრინველეობის ფაბრიკების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა. ➤ ფრინველის მაღალპროდუქტიული სახეობების შერჩევა და გამრავლება. ➤ ადგილზე საკვებწარმოების ბაზის გაძლიერება. ➤ მეხორცეული მიმართულების მეფრინველეობის განვითარება და იმპორტის ჩანაცვლება. 	<p>შესაძლებლობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საკვებწარმოების ადგილობრივი ბაზის სიმცირე. ➤ თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის სიძვირე. ➤ დაბალპროდუქტიული ფრინველის სახეობები. ➤ კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. 	<p>საფრთხეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ფრინველის გრიპის ეპიდემის გავრცელება.

მეფუტკრეობა			
<p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> კახეთში არსებული ტყისა თუ მდელოს მრავალფეროვანი მცენარეები. მცენარეების ყვავილობის ხანგრძლივი პერიოდი. ყვავილების უნიკალური თვისებები და მრავალფეროვან ორგანულ ნივთიერებათა კლასების მაღალი შემცველობა. 	<p>სუსტი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> დამხმარე ინვენტარისა და მასალების სიძვირე. ფუტკრის ოჯახების (საკუთების) გადასატანი კონტეინერების სიმცირე და ამორტიზაცია. თანამედროვე ტექნოლოგიების არცოდნა და მათი დანერგვის სიძვირე. თაფლი არ წარმოადგენს საექსპორტო პროდუქტს. დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის არასრულყოფილება. 	<p>შესაძლებლობები:</p> <ul style="list-style-type: none"> თაფლი ექსპორტით გავა ევროპისა და ამერიკის ბაზარზე. 	<p>საფრთხეები:</p> <ul style="list-style-type: none"> გვალვა, სეტყვა, ქარიშხალი და ყინვა. ფუტკრის დაავადებების გავრცელება.

მართლებრივი ბაზის არასრულყოფილება, მკვეთრად გაუარესებული ეპიოოტოლოგიური მდგომარეობა, დაბალკალორიული საძოვრები და ველ-მინდვრები და მრავალი სხვა. ეს არის არასრული სია იმ სისუსტეებისა და საშიშროებებისა, რომლებიც სოფლის მეურნეობის ამ სექტორებს დღესაც უდგათ და მომავალშიც ელოდებათ. ამასთან, ამ სექტორების პროდუქციის რეალიზაცია შიდაბაზარზეც ძნელდება, რის გამოც ვერცერთი მისი სახე – მაღალი თვითღირებულების, დაბალი ხარისხის და ბოლოს, წარმოების მცირე მოცულობის გამო, ჯერ-ჯერობით საგარეო ბაზრებზე ვერ გავა და კახეთის რეგიონისათვის მყარი ვალუტის შემომტანი ვერ იქნება.

სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის ამ მიმართულებებში ბიზნეს-ლანდშაფტის გეოგრაფიული განფენილობა დამაკმაყოფილებელია, ანუ რეგიონის ყველა ოჯახს (გარდა ქალაქად მაცხოვრებლებისა) საკუთარ მეურნეობაში მოყავს ხილიც, ბოსტნეულიც, ბალჩეულიც, კარტოფილიც, ჰყავთ ცხოველები და ფრინველებიც, მოყავს სიმინდი, სილნალსა და დედოფლისწყაროში მზესუმზირაც, ლაგოდებსა და ყვარელში ყავთ ფუტკარიც. მარცვლეული კულტურების სექტორში, კერძოდ, ხორბლის და მზესუმზირის წარმოებაში ბიზნეს-ლანდშაფტის ვერტიკალური განფენილობაც დამაკმაყოფილებელია, რადგან ამ ბიზნესს ენევიან ინდემწარმეებიც და მსხვილი ფერმერებიც. იგივე ითქმის მეფრინველეობაზე. ამ სექტორში არსებობს ფაბრიკებიც (საგარეჯოს და პატარძელის) და ინდემწარმეებიც. დანარჩენ სექტორებზე ამას ვერ ვიტყვით. რაც შეეხება ბიზნეს-ლანდშაფტის ჰორიზონტალურ განფენილობას, ამ სექტორებისთვის ეს «თეთრი ლაქა» – არცერთი დასახლებულთაგანი სექტორი ექსპორტზე არ მუშაობს.

კახეთის რეგიონში სუსტად არის განვითარებული სამრეწველო (გარდა ღვინის წარმოებისა) და სამშენებლო სექტორები. სამრეწველო სექტორიდან შეიძლება დავასახელოთ კუსტარული ზეთსახდელები (სილნალი და დედოფლისწყარო), ფიქალ-მარმარილოს მომპოვებელი ფირმები (თელავი), კირქვის მომპოვებელ-გადამამუშავებელი ფირმები (დედოფლისწყარო), ხე-ტყის სახერხი კომპანიები (ახმეტა) და სხვა). მათი რაოდენობაც მცირეა და სიდიდეც. ისინი მცირე ან საშუალო

სიდიდის არიან. კიდევ უფრო ცოტაა სამშენებლო ფირმები. ისინი ქალაქებში არიან განთავსებულნი. იგივე ითქმის საბანკო და სადაზღვევო ბიზნესზე, უძრავი ქონების ბიზნესზე, სავაჭრო ბიზნესზე, საკონსულტაციო ბიზნესზე. ისინიც ძირითადად შედარებით მსხვილ ქალაქებში (თელავი, სილნალი) არიან განლაგებულნი, გამონაკლისია ამ მხრივ მხოლოდ სავაჭრო ბიზნესი, რომელსაც ქსელი მთელ რეგიონში აქვს.

და ბოლოს ტურისტული ბიზნესი. კახეთის ძეგლების ტერიტორიული კონცენტრაცია, სახელმონწვეფილი მელვინეობის კერები, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, ულამაზესი ბუნება – ტყეები, მთები, დაცული ტერიტორიები, რეგიონში ტურიზმის განვითარების უდიდეს პოტენციალს ქმნის. კახეთის რეგიონში 15-მდე ტურისტული ფირმაა გახსნილი, 30-მდე მსხვილი სასტუმრო («ამბასადორი», «ძველი თელავი», «ყვარლის ტბა» და სხვ.), 100-ზე მეტი მცირე სასტუმრო და საოჯახო სახლი, 70-მდე კვების ობიექტი და ა. შ. კახეთის რეგიონში ტურისტებისთვის 155 განთავსების საშუალებაა 2872 საწოლით [9, გვ. 6]. პირველი პარამეტრით მას საქართველოს რეგიონებს შორის მეოთხე, ხოლო მეორე პარამეტრით – მეშვიდე ადგილი უკავია (ამ პარამეტრით კახეთი გურიის რეგიონსაც კი ჩამორჩება, მაშინ როდესაც ტურისტული რესურსი კახეთში გურიის რეგიონთან შედარებით 4-5-ჯერ მეტია). 2015 წლის სამ კვარტალში კახეთი მოინახულა საქართველოში შემოსული ტურისტების მხოლოდ 8%-მა (იმერეთი – 19,8%, აჭარა – 12,1%, თბილისი 26,2% და ა. შ.) [9, გვ. 13]. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ტურისტულ ბიზნეს-ლანდშაფტს არა აქვს სათანადო არც გეოგრაფიული, არც ვერტიკალური და არც ჰორიზონტალური განფენილობა. არადა, კახეთის ტურიზმის პოტენციალი, თუ მისი ლანდშაფტი სათანადო ჰორიზონტალურ განშლას მიიღებს, ე. წ. გააქტიურებს მუშაობას უცხოელების შემოყვანაზე, მაღალ დონეზე იქნება ათვისებული და რეგიონს მყარი ვალუტის სახით დიდ შემოსავალს მოუტანს. რაღა თქმა უნდა, რომ ეს ბოლო ნაბიჯია. იქამდის ტურისტულ ბიზნესის განვითარებას სჭირდება რეგიონში შიგაპირობების შექმნა. უნდა შედგეს მარშრუტები, მომზადდეს გიდეები, ამუშავდეს ბალნეოლოგიური კურორტები, მონესრიგდეს ნავაგსაყრელები და სას-

ტურიზმი. SWOT-ანალიზი

<p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ რეგიონის კულტურული მემკვიდრეობა. ➤ ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობები. ➤ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ტრადიციული სტუმართმოყვარეობა და ამ სექტორის განვითარების დიდი სურვილი). 	<p>სუსტი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ტურისტებისთვის სერვისის მინოდების დაბალი ხარისხი. ➤ ინფრასტრუქტურის ხარვეზები. ➤ სექტორში მომუშავე ადამიანების არასაკმარისი ცოდნა-გამოცდილება.
<p>შესაძლებლობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ რეკრეაციული ტურიზმის განვითარება. ➤ სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება. ➤ აგროტურიზმის განვითარება. ➤ სამშობო ტურიზმის განვითარება მთათუშეთში. ➤ ბალნეოლოგიური კურორტების ამოქმედება. ➤ ღვინის ტურიზმის გაფართოება. 	<p>საფრთხეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობა. ➤ საინვესტიციო კლიმატის გაუარესება.

ტუმროების წყალმომარაგება, მოგვარდეს მანანნალა ცხოველების პრობლემა, ამაღლდეს მოსახლეობის დაინტერესება ამ ბიზნესში ჩართულობის თვალსაზრისით და მრავალი სხვა.

ეს არ არის მარტო ჩვენი შეფასება. რუსული ტურისტული სააგენტოს «ვ მირე ფანტაზიი» მენეჯერის ალა არტიომენკოს შეფასებით, საქართველოში მოქმედი სააგენტოები არაორგანიზებულობით გამოირჩევიან. მათ ძალიან შეზღუდული და მწირი შეთავაზებები აქვთ. არ არსებობს კომპლექსური პაკეტები [10, გვ. 15]. მისივე თქმით, რუსი ტურ-ოპერატორი დამსვენებლების გამოგზავნისგან საქართველოში ხშირად თავს იკავებენ, რადგან არ სურთ, კლიენტების უკმაყოფილება დაიმსახურონ. იგივე აზრი გამოთქვა ამერიკელმა მეცნიერმა ჯეფრი ლიპმანმაც. მან საქართველოში ტურისტების მოზიდვის მთავარ პირობად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ყველა დონის სერვისის სრულყოფა დაასახელა [11, გვ. 21]. ამის აუცილებლობა ჩანს რეგიონში ტურიზმის დღევანდელი მდგომარეობის SWOT-ანალიზიდანაც (ცხრილი 4).

ჩვენი აზრით, ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგეს ქვეყნის მთავრობა, რეგიონის დონეზე კი – რეგიონის ხელმძღვანელობა. «ტურიზმი სუფთა ინდუსტრიაა, – წერს ნევადის შტატის გუბერნატორი ბობ მილერი, – ის საკმაოდ ადვილად და სწრაფად ვითარდება, ამიტომ ხშირად ეს სფერო ხელისუფლების ყურადღების მიღმა რჩება, რაც უდაოდ, დიდი შეცდომაა. ის ქვეყნებსა და რეგიონებს აძლევს თავის წარმოჩენის საშუალებას. სწორედ ამიტომ უნდა იყოს ხელისუფლება ტურიზმით დაინტერესებული, მთავრობის მოვალეობაა უზრუნველყოს ის საშუალებები და პირობები, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ქვეყანაში მოიზიდავს» [11, გვ. 23].

ამრიგად, კახეთის რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტის SWOT-ანალიზით მისი მეურნეობის დარგებიდან სამომავლოდ პრიორიტეტულად და ამასთან მაღალ-

შემოსავლიანად ორი დარგი გვესახება. პირველი – მევენახეობა-მელვინეობა, მეორე – ტურიზმი. ორივე ისინი ორიენტირებული იქნებიან საგარეო ბაზარზე. მევენახეობა-მელვინეობაში ამას უკვე ეყრება საფუძველი, ტურიზმში კი, ამ მიმართულებით, შეიძლება ითქვას, ჯერ არაფერია გაკეთებული. ამას თავისი მიზეზი აქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მევენახეობა-მელვინეობა კახელი კაცის ძირძველი საქმეა, ბუნებრივი ღირსებაა. კახელმა დაბადებულებმა იცის ვენახის მოვლა და ღვინის დაყენება. ბავშვობიდანვე იგი თავისებური სიამაყით ითავსებს ამ მამა-პაპურ ტრადიციას და მთელ თავის სიცოცხლეს უძღვნის მას. ამას იგი აკეთებს არა იმდენად შემოსავლის მიღების მიზნით, რამდენადაც ამ საქმის სიყვარულით. კახელი კაცისთვის ვენახს, ყურძენს, და ღვინოს სხვა ხიბლი აქვს. იგი მისი სულის წყობის ნაწილია, ერთგვარი ჯაჭვია მამებსა და შვილებს შორის, გაუცნობიერებელი კომუნიკაცია მამა-პაპასთან და კოდი იმისა, რომ ცოცხლობს მათი საქმე, რომ კახეთში იგი არ მოუკლავს «ცივილიზაციის სიკვდილს», რომ შვილები ღირსეულად აგრძელებენ მამა-პაპურ საქმეს.

სულ სხვა საქმეა ტურისტული ბიზნესი. ტურიზმი კახელებისთვის «ახალი ხილია». ის მათ გენეტიკურად არ მიუღიათ. ეჭვითაც კი უყურებენ. არადა, ტურიზმს, განსაკუთრებით სამთო ტურიზმს (მთათუშეთი, კახეთის მთიანეთი) განვითარების დიდი პოტენციალი აქვს კახეთში. აქაურ მთებში და ტყეებში, ველებსა და მინდვრებზე პირველყოფილი ბუნებაა. უცხოელებს კი მეტად უყვართ ასეთ ადგილებში მოგზაურობა და არც ფულს იშურებენ ასეთი დასვენებისთვის. ასევეა რეკრეაციული ტურიზმი, სამონადირეო ტურიზმი (ლაგოდეხის ნაკრძალი), ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, სათხილამურო ტურიზმი (ცივის მთაზე) და სხვა.

ასე რომ, კახეთის რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტზე ჩვენი დაკვირვება-გამოკვლევით, ორი დასკვნის გამოტანა შეეძლება:

1. კახეთის ვაკე ადგილებში, ეხლაც და მომ-

ვალშიც, პრიორიტეტი უნდა ჰქონდეს ექსპორტზე ორიენტირებულ მევენახეობა-მელვინეობას.

2. კახეთის მთაში, პრიორიტეტი უნდა ჰქონდეს სამთო ტურიზმს.

მევენახეობა-მელვინეობა რომ კახეთის რეგიონისთვის №1 პრიორიტეტი, ეს გათავისებული აქვს კახეთის მოსახლეობასაც და რეგიონის ხელმძღვანელობასაც. მათი სამიზნე ამჟამად იმ სუსტი მხარეების ნეიტრალიზებაა, რომელიც მას აქვს. ეს არის ყურძნის ხარისხის გაუმჯობესება, სანერგე ჯიშთსაშენების შექმნა, მელვინე-მევენახეობის კადრების თანამედროვე მოთხოვნებით მომზადება-გადამზადება და სხვა.

რეგიონში მუსირებს იმის შესახებ აზრიც, რომ მოხდეს ქვევრის ღვინოს «გავეროპელება», ანუ მისი ინდუსტრიალიზაცია. ამ საკითხში ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ ქართველ მელვინეებს, რომლებსაც ქვევრის ღვინის ინდუსტრიალიზაცია, განსხვავებით «ქარხნის» ღვინისგან, დაუშვებლად მიაჩნიათ და ამტკიცებენ, რომ ქვევრის ღვინის დაყენების ტექნოლოგია არის კახეთის რეგიონის და საერთოდ საქართველოს ღვინის მრეწველობის დიდი პოტენციალი. ხოლო თვით კახური «ქვევრის ღვინო» მისი გამორჩეული ბრენდი [12].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კახეთში მევენახეობა-მელვინეობის ბიზნეს-ლანდშაფტის განვითარების ჩვენი სამომავლო რეკომენდაციები ასეთია:

1. ყურძნის ხარისხის გაუმჯობესება, კახეთში სანერგე მეურნეობების და ნერგების შესამონმებელი ლაბორატორიების შექმნა.

2. მევენახე-ფერმერთა და მელვინეთა მომზადება-გადამზადების სასწავლო პროგრამების ამუშავება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ამ მიმართულებით ყველა რაიონში პროფესიული კოლეჯების გახსნა.

3. მცირე და მიკრო საწარმოების (ინდემნარ-მეები) სტიმულირება მევენახეობის განვითარებაში (რომ ადგილი არ ჰქონდეს ვენახების გაჩეხვას გლეხების მიერ და მის ადგილზე საზამთროს დათესვას). ეს შეიძლება მოხდეს გადასახადების გაუქმებით (ვენახზე ისინი ქონების გადასახადს იხდიან და ეს საკმარისად უნდა ჩაითვალოს).

4. კახეთის რეგიონის ხელმძღვანელობით მევენახეობისთვის სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

რაც შეეხება ტურიზმს, აქ შესასრულებელი სამუშაოები შეიძლება ითქვას ნოლიდან უნდა დაიწყოს. ის მინიმუმ, რაც დღეს კახეთში არის საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. კახეთში ეს დარგი ორი მიმართულებით უნდა განვითარდეს – სამთო ტურიზმი და ბარის ტურიზმი. ბარის ტურიზმის – აგროტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, ღვინის ტურიზმი და სხვა – განვითარება დაწყებულია, მაგრამ მას სისტემური ხასიათი არა აქვს.

კახეთის ბარის რეგიონში აგროტურიზმის, შემეცნებითი ტურიზმის, ღვინის ტურიზმის და სხვათა სათანადო საერთაშორისო სტანდარტებით განსავითარებლად საჭიროდ ვთვლით შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

1. რეგიონის მელვინეობა-მევენახეობის ტრადიციულ კერებში აღირიცხოს დღეს მოქმედი მევენახე-მელვინეები, რომლებიც შთამომავლობით მისდევენ მეურნეობის ამ დარგს, აქვთ ტრადიციული მიზნები და ფლობენ მამაპაპურ წესზე ღვინის დაყენების ხელოვნებას.

2. ამ პირთა სია რაიონის მუნიციპალიტეტებმა გადასცენ ტურისტულ ფირმებს, რომ მათ ისინი ჩარიცხონ ღვინის ტურიზმის მარშრუტში. ამ ოჯახებში ტურისტები დაესწრებიან რთველს, ღვინის დაყენებას, ჩურჩხელების ამოვლებას და ა. შ. უცხოელი ტურისტებისთვის ეს მეტად საინტერესო იქნება.

3. ქვევრის ღვინო ქვევრში მზადდება. მექვევრეები, ანუ ქვევრის დამამზადებლები კი თითებზე დასათვლელი დარჩა. საჭიროა მექვევრეთა კერების ჩართვაც ღვინის ტურიზმის მარშრუტებში.

4. რეგიონში არსებობს ბალნეოლოგიური კურორტების ამუშავების შესაძლებლობები. ესენია: საგარეჯოში – უჯარმა და გურჯაანში – ახტალა. ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა უნდა იზრუნონ მათ ამოქმედებაზე და თუ ეს არ შეუძლიათ, მაშინ მოახდინონ პრივატიზება.

5. რეგიონში ტურიზმის სათანადო განვითარებისთვის აუცილებელია სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, ნაგავსაყრელების მოწესრიგება, მანანნალა ძაღლების პრობლემის მოგვარება და ა. შ.

6. საჭიროდ ვთვლით რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მაგალითად, კოლეჯებში) მოწყობის ტრენინგები ტურისტული ბიზნესის დაწყების და მართვის უნარ-ჩვევების შესაძენად და ა. შ.

რეგიონის ხელმძღვანელობამ იქ არსებულ ტურისტულ კომპანიებთან და სასტუმროებთან ერთად ამ მიმართულებით უნდა გაშალოს მუშაობა. ასეთ შემთხვევებში მეტად კარგი შედეგი აქვს რეკლამას, მაგრამ იქამდის როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეგიონში ბევრი რამ არის მოსაგვარებელი, რადგან, რაც ეხლა რეგიონში ამ სფეროს მოსამსახურებლად არის შექმნილი, თვალთდასანახის და ყურთვასაგონის ჩათვლით, არ არის უცხოელი ტურისტებისთვის მისაღები – ქუჩებში ყრია ნაგავი, დარბიან მანანნალა ძაღლები, ყველგან არ არის წყალი და კანალიზაცია, მოუწესრიგებელია შიდა სასოფლო გზები, ქუჩებში ღამის განათება ან არ არის, ან არის, მაგრამ არ მუშაობს, არის წყვეტები ელექტროენერჯით მომარაგებაში და მრავალი სხვა. მართალია, ეს ძირითადად სოფლებს ეხება, მაგრამ ჯერ ერთი, პერიოდულად ქალაქებშიც აქვს ამას ადგილი, და მერე მეორე – სოფლებიც ხომ ჩართულია ტურისტულ მარშრუტებში.

კახეთში შემოსულ ტურისტულ ნაკადებზე დაკვირვებით ირკვევა, რომ ისინი მეტ ლტოლვას იჩენენ მთიანი მხარის – მთათუშეთისკენ. ზოგი ტურისტი როცა მარშრუტში არ შედის თუშეთი, წყდება ნაკადს და დამოუკიდებლად მიემგზავრება თუშეთში.

ეს იმას ნიშნავს, რომ უცხოელებს ანდამატივით იზიდავთ მთა და მთასთან დაკავშირებული ტურიზ-

მის სახეობები. ასეთ დროს მთათუშეთი მასიური სამთო ტურიზმის განვითარებისთვის სრულიად მოწყობილია.

მთელ მსოფლიოში მთიან ტერიტორიებს დედამიწის საკმაოდ დიდი ნაწილი უკავიათ. ასევეა საქართველოშიც. ერთ-ერთი საერთაშორისო კლასიფიკაციით, რომლითაც მთიანი რეგიონების 4 ზონა (კატეგორია) არის დადგენილი, საქართველო მე-4 კატეგორიაში შედის. ეს არის ზონა, რომლის ტერიტორიის 50-100% მთიანეთია. ამ კატეგორიაში ხვდება 52 ქვეყანა, მ. შ. შვეიცარია, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვები.

ბოლო ათწლეულებში მთიანეთის პრობლემატიკა სულ უფრო აქტიურად მუშავდება უცხოეთის როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. ნიშანდობლივია, რომ ამ მხრივ, წინა პლანზე იწევს მთის არამართო ეკოლოგიური თუ რეკრეაციული ასპექტები, არამედ მთაში მობინადრე ადამიანების მრავალფეროვანი პრობლემატიკა, მ. შ. მათი დეპოპულაციის და მიგრაციის შეჩერება. მთაში ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა არის იქ ტურიზმის განვითარება. კაცობრიობამ ტურიზმის როლი და მნიშვნელობა მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21 საუკუნის დასაწყისში გაიცნობიერა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია იოჰანესბურგში 2002 წელს გამართული სიღარიბის დაძლევის მსოფლიო ფორუმი, რომელმაც პირველად აღიარა ტურიზმი, როგორც სიღარიბის დაძლევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

ეს ფაქტორი მთელი «სისრულით და სისავსით» უდგას საქართველოს, როგორც ბარში, ისე მთაში». ასეა კახეთიც. ბარში მოსახლეობა სხვა სახის ბიზნესითაც საქმდება და ამ გზით რალაცა შემოსავალს იღებს, მთის მოსახლეობა კი, მხოლოდ მეცხოველეობას მისდევს და ისიც შინა მოხმარებისთვის. ასეთ დროს, საზღვარგარეთის ქვეყნების, მაგალითად, შვეიცარიის გამოცდილებით, მთის მოსახლეობა ძირითადად ტურიზმშია დასაქმებული.

ტურიზმი ბარშიც იძლევა შემოსავალს, სადაც შემონახულია ტურისტებისთვის საჩვენებელი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ან მათი დასვენებისა და გართობისთვის სათანადო პირობები, მაგრამ მთა ამ მხრივ უნიკალურია. ეს კარგად გაითავისა შვეიცარიამ, ჩვენსავით მთიანი რეგიონების მე-4 ზონის პარამეტრების მქონე ქვეყანამ, და, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1954 წლიდან) დაიწყო მთიანეთში მცხოვრები ფერმერების და მეტყვევებისთვის სუბსიდიების გამოყოფა. შემდეგ დაიწყო გარკვეულ ზღვარზე ნაკლები შემოსავლის მქონე მთიანეთის მოსახლეობისთვის (გლეხური კომპლექტი) სუბსიდიების მიცემა, მთიანი სოფლების გამსხვილება. შემუშავდა შვეიცარიის მთიანეთის განვითარების ფედერალური კონცეფცია. 1974 წელს მიღებული იქნა კანონი მთის რეგიონების საინვესტიციო ხელშეწყობის შესახებ. 1975 წლიდან დაიწყო შეღავათიანი სესხების გაცემა შვეიცარიის საინვესტიციო ფონდიდან (IHG). იგივე ორგანიზაცია გასცემდა მცირე ინსტიტუციურ

გრანტებს. მოხდა მთიანეთის თემების «განვითარების რეგიონებად» დაყოფა. შეიქმნა ასეთი 54 რეგიონი. ამ რეგიონების განსავითარებლად იქმნებოდა პროგრამები და პროექტები. 1991 წლისთვის უკვე დაფინანსებული იყო 3078 ასეთი პროექტი, შედეგად შვეიცარიის მთიანეთში 1970-1990 წლების პერიოდში მოსახლეობამ 10%-ით იმატა.

იმის მაგივრად, რომ ჩვენც ასევე მოვქცეულიყავით, პირიქით, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ჯერ რაჭველების, შემდეგ სვანების და შემდეგ ხევსურების ჩამოსახლება ბარში. ამ ფაქტით სასონარკვეთილმა, წარმოშობით რაჭველმა პოეტმა, მურმან ლებანიძემ ლექსათ ამოთქვა თავისი ნუხილი «ვაი თუ ვინმეს მოეწონოს ეს სოფელი, ვაი თუ ვინმე მოვიდეს და დაესახლოსო». მართლაც, დაიწყო რა საზღვრისპირა მთიანეთის მოსახლეობისგან დაცლა, არაოფიციალურად მეზობელმა ქვეყნებმა ბევრგან გადმოიწიეს საზღვრები. ეს პროცესი ეხლაც მიმდინარეობს.

საბჭოთა პერიოდში კახეთის მთიანეთიდან მოსახლეობის ბარში ჩამოსახლება არ მომხდარა. აქ, როგორც ბარის, ისე მთის მოსახლეობის მიგრაცია დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების დღიდან და დღესაც გრძელდება. კახეთიდან, ისე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებიდან მიგრაციის შეჩერება, მხოლოდ მათ ადგილზე დასაქმებას შეუძლია. მთიანი რეგიონებისთვის ეს სამთო ტურიზმი იქნება. მთის რთული ფიზიკურ-გეორგაფიული პირობები ხელსაყრელ პირობებს არ ქმნის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისთვის, სამთო ტურიზმისთვის კი მას, სწორედ თავისი ბუნებრივი «სირთულის» წყალობით დიდი უპირატესობები გააჩნია.

კახეთის მთიანეთი, კერძოდ, მთათუშეთი, შედის საქართველოს იმ 13 მთიან და მაღალმთიან მხარეს შორის, რომელიც საქართველოს გააჩნია. ამ მთების ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნების უნიკალური ნიმუშები ხელუხლებელი, ანუ პირველქმნილი ტყეებია. ჩვენდა საბედნიეროდ, ასეთი მთები და ტყეები არა მხოლოდ კახეთის მთიანეთში, არამედ საქართველოს მრავალ სხვა ადგილზე შემოგვრჩა. მათ არა მარტო რეგიონული, ან ეროვნული, არამედ გლობალური მნიშვნელობაც აქვთ, რადგან ევროპის ქვეყნებში არა თუ ბუნებრივი, არამედ ხელოვნურად გაშენებული ტყეებიც კი იშვიათია.

კახეთის მთიანი ზონის რესურსი, სამთო ტურიზმის თვალსაზრისით, ამოუწურავია. საჭიროა მხოლოდ შვეიცარიის მსგავსად მოხდეს ამ მაღალმთიანი ზონის ტურისტული რესურსების მეცნიერულ დონეზე შესწავლა-დამუშავება, შედგეს სახელმწიფო პროგრამები და კონცეფციები. ეს ის სფეროა, სადაც ტურისტები საშუალოდ 4-ჯერ მეტ თანხას ხარჯავენ ზღვაზე დამსვენებლებთან შედარებით. სამთო ტურიზმით დაინტერესებულთა რიცხვი წლითი-წლიობით იზრდება. ევროპის მთის კურორტები (შვეიცარიის, ესპანეთის და სხვები) ვეღარ უძლებენ ტურისტების მოზღვავებას. ასეთ დროს მთელ საქართველოში, და მოცემულ შემთხვევაში კახეთის მთიანეთში (მთათუშეთი, ყვა-

რელ-ლაგოდების მთები), არსებული თვითმყოფადი და უნიკალური ბუნებრივი გარემო სრულად აუთვისებელია ამ თვალსაზრისით.

კახეთში სამთო ტურიზმის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ორგანიზებას კახეთის რეგიონის ხელმძღვანელობა და მისი ტურისტული კომპანიები დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ. ამ საქმეში უნდა ჩაერთოს საქართველოს მთავრობაც, მთიან რეგიონებზე მომუშავე მეცნიერებიც, მთის პრობლემებზე მომუშავე მეცნიერთა აკადემიის კომისიაც, არასამთავრობო ორგანიზაცია «მთის მოყვარულთა კავშირიც» და სხვებიც. ჩვენი ეს შემოთავაზება რომელსაც დეტალურად უფრო ქვემოთ განვიხილავთ, და, რომელსაც კახეთის რეგიონის მთიან ნაწილისთვის სტრატეგიულ არჩევნად მოვიაზრებთ, პირდაპირ ეხმაურება საქართველოს ახალ კანონს «მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ» (2015 წლის 16 ივლისი, №4036-რს), რომელშიც დაფიქსირდა საქართველოს მთავრობის განზრახვლება მაღალმთიანი რეგიონის განვითარების შესახებ. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი კანონი – «მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ» 1999 წლის 8 ივნისსაც იყო მიღებული, მაგრამ იმ კანონით გათვალისწინებული დღემდე მთაში არაფერი არ გაკეთებულა. ამ ახალმა კანონმა, ის ძველი, ძალადაკარგულად გამოაცხადა 2016 წლის 1 იანვრიდან. თუმცა, არაოფიციალურად ძალადაკარგული, შეიძლება ითქვას, «მკვდრადმოხილი» ის შექმნის დღიდან იყო.

ძნელია იმის თქმა, და, იქნებ შეუძლებელიცაა, რა ბედი ელოდება ამ ახალ კანონს. იმის თქმა კი ეხლავე შეიძლება, თუ რა ბედი ელოდება ამ კანონით საქართველოს მთას, არა აქვს მნიშვნელობა კახეთის მთიანეთი იქნება იგი, სვანეთის თუ ხევსურეთის. უპირველეს ყოვლისა, ის კითხვა გვიჩნდება, თუ რატომ ეწოდა ამ კანონს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების კანონი. საქმე ისაა, რომ მაღალმთიან ზონად ითვლება ზღვის დონიდან 2000 მეტრის ზევით, ხოლო ზოგადად მთიანეთი 1000 მეტრის სიმაღლის ზევით მდებარე ტერიტორია. საქართველოს ტერიტორიის 52% ზღვის დონიდან 1000 მეტრი სიმაღლის ზევით მდებარეობს [13, გვ. 190]. მთიანი ტერიტორია იყოფა დაბალმთიან (სიმაღლე 500-1000 მეტრი ზღვის დონიდან. ასეთია მაგალითად, ბორჯომი, საირმე), საშუალომთიან (1000-დან 2000 მეტრამდე ზღვის დონიდან. ასეთია მაგალითად, შოვი, უწერა, ბაკურიანი და სხვ.) და მაღალმთიან ნაწილებად (2000 მეტრს ზევით ზღვის დონიდან (ასეთ ადგილებში დასახლებები ცოტა გვაქვს). საქართველოს მთიანი ტერიტორიის 31% 1500-3000 მეტრებს შორის მდებარეობს. ამ ზონაში, უფრო ზუსტად 1600-2400 მეტრ სიმაღლეზე მოსახლეობის მხოლოდ 3,2% ცხოვრობს, 800-დან 1600 მეტრამდე სიმაღლეზე მოსახლეობის 11,8%, ხოლო 800 მეტრ სიმაღლემდე, ე. ი. ვაკე ადგილებში – 85% [13, გვ. 190].

საქართველოს მაღალმთიან ზოლში სახელმწიფოს საზღვრები გადის. ასეა სვანეთში, რაჭაში, ხევსურეთში, მთათუშეთში, ლაგოდების მთიანეთში და სხვაგან.

ისინი ნაკლებად დასახლებული ადგილებია, ხშირად გოჯი დაბლობი მიწის არმქონე აზიდული მთები და მთაგრეხილები, ციცაბო კლდეები და ხევები. კარგია, რომ მივიღეთ კანონი ამ სასაზღვრო ზოლების ათვისების და განვითარების შესახებ, მაგრამ სასურველი იყო ეს კანონი შეხებოდა არა მხოლოდ მაღალ მთებს, არამედ, საერთოდ, მთიანეთს და თუ მასში არ შევიდოდა საქართველოს ტერიტორიის დაბალმთიანი ნაწილი, საშუალო მთიანი ნაწილი მაინც აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო. ასეთი მიდგომით კახეთის მთიანეთიც, და სხვა რეგიონების მთიანი ნაწილებიც გაიყოფა მაღალ მთებად და მთისწინეთად, ანუ საშუალო მთიან ნაწილად. ახლადმიღებული კანონი შეეხო მარტო მაღალმთიან ნაწილს. ასეთ დროს საქართველოში ორივე მთიანეთს განვითარება სჭირდება. საქართველოს მაღალმთიანი რაიონები არც საბჭოთა დროს იყო განვითარებული, მთისწინეთში კი დასახლებებიც იყო და კურორტებიც. ამჟამად დასახლებები (სოფლები) აუტანელი ცხოვრების პირობების გამო, მოსახლეობისგან დაიცალა, კურორტები უპატრონობისგან განიძარცვა და დაინგრა. ასე რომ, გადარჩენის, აღდგენა-განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა სჭირდება როგორც ერთს, ისე მეორეს.

საჭიროებამ მოითხოვა და გადავხედეთ მსოფლიოს მთიანი ქვეყნების – შვეიცარიის, ესპანეთის, კანადის, იაპონის, გერმანიის, პოლანდიის საკანონმდებლო პოლიტიკას. ყველა ამ ქვეყნის კანონი მთასთან მიმართებაში ეხება ქვეყნის მთიანეთს და არა ჩვენსავით მხოლოდ მაღალმთიანეთს.

გამოდის, რომ ამ კანონით მთათუშეთი (და არა მხოლოდ მთათუშეთი) ორად გაიყოფა. სახელმწიფო იზრუნებს და გაატარებს განვითარების პოლიტიკას მის 2000 მ-ზე მაღლა მდებარე ტერიტორიებზე, კერძოდ, ზედა ომალოს, ბოჭორმას, კოკლათს, დიკლოს, შენაქოს, კვავლოს და სხვა სოფლებზე, და 2000 მ-ზე დაბლა მთიანეთს, სოფლებს – ხისოს, დართლოს და სხვას, ყურადღებას არ მიაქცევს. ცხადია, ასეთი პოლიტიკა არ იქნება სწორი. ჩვენი აზრით, ეს კანონი საქართველოს მთიანეთის განვითარებას უნდა ეხებოდეს და არა მხოლოდ მის მაღალმთიან რეგიონებს. თუმცა, კანონის ეს საკითხი ადვილად გამოსწორებადი მხარეა. უფრო მნიშვნელოვანი არის კანონში მოცემული მაღალმთიანი მხარეების სოციალური შეღავათები. საქართველოს მთიან რეგიონებში მეფობს უგზობობა, უსინათლობა, ინფორმაციული ვაკუმი, დაბალი დონის განათლების სისტემა და სამედიცინო მომსახურება, პრიმატული სოფლის მეურნეობა, განუვითარებელი მრეწველობა, მძიმე ეკოლოგიური ვითარება და ა. შ. და ა. შ., და, ასეთ ადგილებში დასასახლებლად ვეპატიჟებით ექიმებს ორმაგი პენსიის დაპირებით, პენსიონრებს სახელმწიფო პენსიაზე 20%-ის დამატებით, მასწავლებლებს ხელფასზე 35%-ის დამატებით, ოჯახებს – პირველ და მეორე ახლადდაბადებულ ბავშვზე ერთი წლის განმავლობაში თვეში ას-ასი ლარის და მესამე და ყველა შემდეგ ბავშვზე 2 წლის განმავლობაში, თვეში ორას-ორასი ლარის გაცემით [14, გვ. 4-5]. ნუთუ, ვინმე, ვისაც წარმოდგენა მაინც

თუ აქვს საქართველოს მთიანეთში ცხოვრების უმძიმეს პირობებზე, ფიქრობს, რომ ეს ის შეღავათებია, ის სტიმულებია, რომლების მისაღებად ბარში მცხოვრები აიყრებიან ბარიდან და მთაში წავლენ?

საქართველოს მთიანი რეგიონების გადარჩენას და აღორძინებას ასეთი კოსმეტიკური ღონისძიებები არ უშველის. ამისთვის ჩვენ შვეიცარიის პრაქტიკა უნდა გამოვიყენოთ და შეიძლება ითქვას, საქართველოს ბიუჯეტი მთისკენ უნდა შემოვებრუნოთ. მსოფლიოში აღიარებულია, რომ მთა იყო, არის და იქნება ქვეყნის უდიდესი დასაყრდენი, რადგანაც მფლობელია იმ ურთიკვნი, სიმდიდრისა, რომელიც ესოდენ საჭიროა კაცობრიობის არსებობისთვის. სწორედ მთაშია ამოუწურავი რესურსები მტკნარი წყლისა, ტყის მასივების, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისა, მინერალური წყლებისა, ნიაღისეულისა, ეგზოტიკური ცხოველების და მცენარეულობისა, ულამაზესი ლანდშაფტებისა და კულტურული მემკვიდრეობისა [13, გვ. 136]. თუ ეს არ გვჯერა, იმას მაინც ხომ ჩვენი თვალთ ვხედავთ, რომ მთიანი რეგიონები, რომლებზედაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადის, მოსახლეობისგან დაიცვალა, სოფლები გაუკაცრიელდა და გაჩნდა რეალური შიში მოსაზღვრე ხალხების მიერ ამ ტერიტორიების დაუფლებისა, ასეა კახეთის რეგიონში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში და სხვაგან.

ასეთ დროს ოჯახებს, რომლებიც მთაში დასახლდებიან (რით, რა სახსრებით დასახლდებიან?) გამრავლების შემთხვევაში ერთი-ორი წლის განმავლობაში ას-ორას ლარს ვთავაზობთ თითო ბავშვზე თვეში. ასე გვინდა ავალორძინოთ მთა? ასეთი დაფინანსებით გვინდა დავასახლოთ მთა? და საერთოდაც ჰქვია ამას შემდგარი სახელმწიფოს სახელმწიფო პოლიტიკა?

საქართველოს მთიანეთის გადასარჩენად და მით უფრო ასალორძინებლად ამ საქმეს ერჰარდის დარი კაცი უნდა ჩაუდგეს სათავეში, რომელმაც ომით განადგურებული გერმანია რამდენიმე წელიწადში კვლავ მოწინავე ქვეყნების რიგში ჩააყენა. საქართველოში ასეთი კაცი არ მოიძებნა, მაგრამ სპეციალისტთა ისეთი სამთავრობო გუნდის შეკვრას მაინც რალა უშლის ხელს, რომელთაგან თითოეულს ერჰარდისდარი თითო თვისება მაინც ექნება?

ქართველი მეცნიერი დ. ქარჩავა მთაში დაბრუნებულ ხალხისთვის სახლების აშენებას თვლის საჭიროდ [15, გვ. 32]. ჩვენი აზრითაც ეს აუცილებელია, მაგრამ ამ სოფლების გაშენებამდე უნდა ვიფიქროთ იქ დაბრუნებული მოსახლეობის დასაქმებაზე. საქართველოს მთიანეთში სანედლეულო რესურსები ძირითადად ადგილობრივი მნიშვნელობისაა, ანუ იმდენი, რამდენიც მცირე სანარმოთა მოწყობისთვის არის საკმარისი. აი, ამ საკითხებზე უნდა იზრუნოს საქართველოს მთავრობამ და ან თვითონ მოაწყოს ასეთი სანარმოები და მთაში ჩასული მოსახლეობა დასაქმოს, ანდა მათ ამოუშავებინოს ისინი გრანტებით, იაფი კრედიტებით და გადასახადებში დიდი შეღავათების მიცემით. ეს შეღავათები უნდა მიეცეს ყველა სამენარმო საქმეს. ეს უნდა გაკეთდეს არა მხოლოდ მაღალმთიანეთში, არამედ საერთოდ მთიანეთში, რომლადაც ითვლება

ზღვის დონიდან 1000 მეტრ სიმაღლეზე ზევით მყოფი ადგილები.

ეს არ არის მარტო ჩვენი აზრი. ამ აზრის იყო და არის რეგიონალურ პრობლემატიკაზე მომუშავე ყველა მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემათა შესწავლის მთელი კომისია, რომელიც 1969 წლიდან იკვლევს მთაში არსებულ პრობლემებს და მათ მოსაგვარებლად მეცნიერულად დასაბუთებულ მოსაზრებებს აწვდის საქართველოს მთავრობას. მაგრამ რა? მთავრობაში მათ მიერ შემუშავებულ წინადადებებს არც კი იხილავენ. 1999 წელს დამტკიცებული მთის განვითარების შესახებ საქართველოს კანონი, ისე გავიდა 15-16 წელი, ს აერთოდ არ ამოუშავებულა. იგივე ბედი ეწევა ამ კანონებსაც, თუ იგი არ გადაამუშავდა და მასში არ შევიდა ისეთი სტიმულები, რომლებიც ნამდვილ, რეკოლუციურ გარღვევას მოახდენენ საქართველოს მთიანეთის შენარჩუნებასა და აღორძინებაში.

წინამდებარე ნაშრომში კახეთის ბიზნეს-ლანდშაფტებიდან ასეთი გადახვევის გაკეთება იმიტომ დაგვჭირდა, რომ კახეთის რეგიონის 21%-იც მთიანია და თუ ბარში, ასე თუ ისე, მოსახლეობა რალაცით არის დასაქმებული, კახეთის მთიანი ადგილები მოსახლეობისგან დაიცალა. ამასთან, კახეთის ბარის განვითარებაში სტრატეგიული არჩევანი, რომელიც საგარეო ბაზრისთვის იმუშავებს, მევენახეობა-მელვინეობაზე კეთდება. ასეთია ჩვენი აზრი, სხვა მეცნიერების აზრიც და თვით კახეთის მოსახლეობის აზრიც. რაც შეეხება კახეთის მთიანეთს, იქ, ბარის ზონის სტრატეგიული არჩევანის ტოლფასი, თავისი შინაარსით, შემოსავლის სიდიდით და რაც მთავარია, ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფით, არის მხოლოდ სამთო ტურიზმი.

დიახ, სწორედ სამთო ტურიზმი და დიახ, სწორედ თუშეთში!

თუშეთი ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა არამარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში. ბუნებამ თუშეთი დააჯილდოვა უაღრესად მიმზიდველი პეიზაჟების მრავალფეროვნებით. აქ ცადაზიდული ბუმბერაზი მთების ლანდშაფტები შეხამებულია ტყის, ხეობისა და მწვანეხავედროვანი საფარის მქონე გორაკ-ბორცვებისა თუ მცირე ველების წარმტაც სურათებთან და მქუხაზე მდინარეების მრისხანე ტალღების ლაჟვარდოვან პეიზაჟებთან. თუშეთის ბუნებრივ თავისებურ სილამაზესთან ორგანულად შერწყმულია ლამაზი არქიტექტურით, სიპის ქვით ნაშენი და გადახურული საცხოვრებელი სახლებით, ციხე-სახლებით, ციხე-კოშკებით, ციხე-სიმაგრეებით, საომარი ციხეებით, გალავან-ციხეებით, ეკლესია-მონასტრებით, საკულტო ხატ-სალოცავი ნაგებობებით დამშვენებული თუშური ძველი სოფლები, გაშენებული მთის ფერდობებსა და წვერებზე, გორებსა და ვაკეებზე. ამჟამინდელი ოცდათექვსმეტი სოფელი და თვრამეტი ნასოფლარი, დღესაც ამაყად მდგარი ციხე-კოშკები და ციხეთა ნანგრევები თუშეთის გმირული წარსულის უტყვი მატიაწეა. თუშეთის სოფლებს განსაკუთრებით ლამაზ იერ-სახეს აძლევს

თუშური კოლორიტის შენარჩუნებით აღდგენილ ძველ საცხოვრებელ სახლებში, ციხე-სახლებში, ციხე-კოშკებში, ახალ აშენებულ სახლებში გახსნილი კეთილმოწყობილი საოჯახო სასტუმროები.

თუშეთი ორმოცდათექვსმეტი სოფლით მჭიდროდ დასახლებული მხარე ყოფილა. XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან XX საუკუნის 40-50-იან წლებში თუშმა ხალხმა თავისი საცხოვრისი მიატოვა, კახეთში ჩამოსახლდა.

მოსახლეობის გარეშე დარჩენილი საქართველოს ეს ულამაზესი მხარე – თუშეთი, ზამთარში მკვდარ სანახაობას წარმოადგენს. ცოცხლდება მხოლოდ ზაფხულში, როცა კახეთში მცხოვრები თუში ხალხი, თუშეთში თავისი წინაპრების მიტოვებულ საცხოვრის მიაკითხავენ.

ცხოვრების სირთულის მოუხედავად, თუში ხალხი როგორც კახეთში, ისე თუშეთში თავის ოჯახურ და სამეურნეო საქმიანობას შეძლებისდაგვარად მაინც ეწევა. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჩართულია და ძალზე დიდ ინტერესს იჩენენ და შესაბამის საქმიანობას ეწევიან მათთვის არატრადიციული სამეურნეო დარგის ტურიზმის განვითარების საქმეში, ისიც თუშეთში მხოლოდ სეზონურად ზაფხულში. მოსახლეობის ნაწილი – ძირითადად ქალები და ბავშვები ზაფხულში ადიან თუშეთში და იქ ისვენებენ, და შემოდგომას ალვანებში ბრუნდებიან.

დღეს, თუშეთში თუში ხალხის დაბრუნების საკითხი ძალზე აქტუალურია, რადგან თუშეთში ტურისტული რესურსების უდიდესი შესაძლებლობების გამო შესაძლებელია მარალგანვითარებული სამთო ტურიზმის განვითარება. როგორც ტურიზმის, ისე სამეურნეო საქმიანობის დარგების განვითარება ადგილობრივი მაცხოვრებლების გარეშე შეუძლებელი იქნება.

თუში ხალხის კახეთიდან თუშეთში დაბრუნების, მუდმივად დასახლებისა და ამ მხარის აღორძინების ყველაზე დიდი შესაძლებლობა გაჩნდა მაშინ, როცა დაიწყო სოფელი ფშაველი-ომალის დამაკავშირებელი 72 კმ-იანი სამანქანო გზის მშენებლობა და 1978 წლის 23 სექტემბერს თუშეთის ცენტრში სოფელ ომალოში პირველი ავტომანქანა შევიდა.

მართალია ამ გზის მშენებლობამ თუშეთს გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მოუტანა, მაგრამ კახეთიდან თუშეთში მოსახლეობის დაბრუნებისა და იქ მუდმივად დასახლების თვალსაზრისით რაიმე სიკეთე არ მოუტანია. მაგალითად, 1975 წელს თუშეთში მუდმივად ცხოვრობდა 40 კომლი 168 მოსახლით, ხოლო ეს მაჩვენებლები 2009 წელს იყო – 22 კომლი და 25 მოხუცი მოსახლე. ეს მდგომარეობა ძირითადად, დაკავშირებულია იმასთან, რომ აღნიშნული გზა გადადის კავკასიონის ქედზე, ზღვის დონიდან 2970 მეტრის სიმაღლეზე თორღვას აბანოს სერის უღელტეხილზე და დიდთოვლობის გამო წელიწადში შვიდი-რვა თვე გაუვალი ხდება და იკეტება. ასევე იკეტება კავკასიონზე გადასასვლელი უღელტეხილები, საცალფეხო და საცხენოსნო გზა-ბილიკები. ამის გამო თუშეთსა და კახეთს შორის და

პირიქით მოსახლეობის მგზავრობაც წყდება. შვიდი-რვა თვე კახეთთან კავშირის გარეშე ჩაკეტილ თუშეთში ცხოვრება არის ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ფერხდება თუში ხალხის კახეთიდან თუშეთში დაბრუნება და მისი აღორძინება.

ეს პრობლემა საბოლოოდ, რომ გადაწყდეს, ე. ი. თუშ ხალხს და ტურისტებს მთელი წლის განმავლობაში რომ ჰქონდეთ კახეთსა და თუშეთს შორის, და პირქით მიმოსვლისა და მგზავრობის საშუალება, აუცილებელია კახეთისა და თუშეთის დამაკავშირებელი მინისტრქვეშა გვირაბების გაყვანა-მშენებლობა. ერთი გვირაბი გაყვანილი უნდა იქნას მდინარე სტორის ხეობიდან ვერხოვნის ხეობამდე (ფიცრის ქალა), ხოლო მეორე გვირაბი – კახეთის მდ. ალაზნის ხეობიდან (პანკისის ხეობა) თუშეთის მდ. ალაზნის ხეობამდე (ალაზნის თავი).

ამ გვირაბების გაყვანა საბოლოოდ გადაწყვეტს, სამთო ტურიზმის განვითარების და მთლიანად თუშეთის აღორძინების პრობლემას. თუ ეს პროექტი განხორციელდა, მაშინ თუშეთს მუდმივად ეყოლება უცხოელი სტუმარი. იქ განვითარდება სამთო ტურიზმის ახალ-ახალი სახეობები – მთასვლელობა, მეკლდეურობა, სათხილამურო ირაიტიინგი და ფრის-ტაილი, რაფტინგი, პარაპლანერიზმი და სხვა.

კახეთის რეგიონის ხელმძღვანელობას ვაცნობებთ, რომ დაუკავშირდნენ საქართველოს «მთის მოყვარულთა კავშირს», რომელმაც მესტიას, ლენტეხს და ონს მოუმზადა 22 სამთო გიდი, დაკვალა და აღწერა 17 სამთო-ტურისტული მარშრუტი. ასეთი სამუშაოს ჩატარება სჭირდება კახეთის რეგიონსაც მთა-თუშეთისთვის.

კახეთის რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტში ტურიზმის, განსაკუთრებით სამთო ტურიზმის განვითარების მთელი შესაძლებლობა, მთელი სიმდიდრე თუშეთის მთიანეთში დევს. მაგრამ მისი არსებობა, თავისთავად ჯერ არ ნიშნავს პრობლემის გადაწყვეტას. აუცილებელია რეგიონის მესვეურებმა დაინახონ, სწორად შეაფასონ ის, რაც თითქოს დამალული არ არის, მიაგნონ მის გაცოცხლების, თანამედროვე «ტურისტულ ცხოვრებაში» ადაპტაციის ფორმებსა და მეთოდებს ისე, რომ არ დაუკარგონ მას საკუთარი ისტორიული ფასეულობა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თუშეთი, რომელიც წინათ მეცხვარეობის მხარედ ითვლებოდა, შეიძლება გახდეს ტურიზმის მხარედ. ამას არ უშველის მხოლოდ მთავრობის პოლიტიკური ნება, ამას სათანადო ინვესტიციებიც სჭირდება.

კახეთის რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტის პრიორიტეტებში მესამე და შემდეგი ადგილები სხვა დარგებს უკავიათ, ესენია მესაქონლეობა-მეცხვარეობა, მემარცვლეობა, საადრეო მეზოსტენობა. კიდევ უფრო უკანა ადგილებზეა – მესიმინდეობა, მელორეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მზესუმზირის მოყვანა და სხვა. ყველა მათ ადგილობრივი დანიშნულება აქვთ. რა თქმა უნდა, ისინიც უნდა განვითარდნენ. მაგრამ მათ საექსპორტო პოტენციალი (ანუ რეგიონში უცხოური ვალუტის შემოტანა) არ ექნებათ. დიას,

ქართველ მომხმარებელს სჭირდება ქართული მზესუმზირის ეკოლოგიურად სუფთა ზეთი და ეს კახეთიდან უნდა მიიღოს, სჭირდება ადრეული, ასევე ეკოლოგიურად სუფთა კიტრი და პომიდორი და ეს ლაგოდეხის სოფლებიდან უნდა მიიღოს, სჭირდება კახური ღორის ხორცი და ეს თითქმის გადაშენების პირას მისული კახური ღორის მოშენება-მომრავლებით – კახეთიდან უნდა მიიღოს და ა. შ. ბიზნესის ამ სახეების განვითარებას რეგიონის ხელმძღვანელობის მხრიდან, განსხვავებით პირველი ორი სახისგან – მევენახეობა-მელვინეობისა და სამთო ტურიზმისაგან – მხოლოდ მხარდაჭერა სჭირდება, კერძოდ, ლაგოდეხში სამაცივრე და სასაწყობო მეურნეობის მოწყობა საადრეო ბოსტნეულისთვის, მაღალკონდიციური სათესლე მასალის გამოყვანა მემარცვლეობის და მეკარტოფილეობის ზონებისთვის, ატმის და გარგლის სანერგე მეურნეობების შექმნა კახეთის მეხილეობის ზონებში, პირუტყვის პერიოდული ვაქცინაციის ჩატარება მესაქონელობის ზონებში, აქვე ჯიშთსაშენების და ხელოვნური დათესვის პუნ-

ქტების აშენება და ა. შ. ეს ჩამონათვალი არც ცოტაა და არც უმნიშვნელო, მაგრამ კახეთის რეგიონის ბიზნეს-ლანდშაფტის თავისებურება მაინც პირველი ორი დარგია – ჯერ მევენახეობა-მელვინეობა და შემდეგ სამთო ტურიზმი. პირველის განვითარება რაოდენობრივად, შეიძლება ითქვას დამთავრებულია, ახლა უნდა დაიწყოს მისი ხარისხობრივი სრულყოფა, მეორე კი რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც თავიდან ასანყობია. ასეთ დროს რეგიონს ტურიზმის უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია. განსაკუთრებით ეს ითქმის მთათუშეთში სამთო ტურიზმის განვითარებაზე. მოსახლეობა ამას თავისი ძალებით ვერ გააკეთებს. ამას რეგიონის ხელმძღვანელების ძალისხმევა სჭირდება და შეიძლება ისიც არ ეყოს...

მანანა ხარხელი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოლისი დ., გემათი პ., ტოპოგრაფიკული სურათი ბიზნეს-ლაპდილაფტი, ვ წიგნი – კურსი მბა პო სტრატეგიკული მენეჯმენტი, პოდ რედ. ლაიმი ფაეი ი რობერტი რენდელი, მ., 2007.
2. მენარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2008.
3. შენგელია ნ., ინვესტიციების ოპტიმალური გამოყენებისა და თანაფარდობის თავისებურებები, ჟურნ. «ეკონომიკა», №8, 2014.
4. 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, თბ., 2014.
5. მენარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2015.
6. ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ., რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბ., 2009.
7. კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია – 2014-2021 წ.წ., თბ., 2013.
8. ლაზარიაშვილი თ., მევენახეობა-მელვინეობის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში, ჟურნ. «ბიზნესი და კანონმდებლობა», №18, 2010.
9. ტურიზმის სტატისტიკური ანგარიში, მესამე კვარტალი, 2015; საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2015.
10. ჭანტურია მ., ტურიზმი სტრატეგიის გარეშე, ჟურნ. «ბიზნესი და მენეჯმენტი», №2, 2012.
11. არველაძე ნ., WELCOME TO GEORGIA და ტურიზმის განვითარება? ჟურნ. «საქართველოს ეკონომიკა», №9, 2007.
12. Geworld.ge/wew.php?ArtId=20988&da...
13. საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, თბ., 2010.
14. საქართველოს კანონი «მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ», თბ., 2015.
15. ქარჩავა ლ., ბიზნესგარემო საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები, ჟურნ. «ახალი ეკონომისტი», №4, 2012.